საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის
წიგნის მოყვარულთა საზოგადოება

სამეცნიერო ცენტრი „უნივერსიტეტი“

თბილისი — 1991

ს. ბოგიბერიძე

ბრძოლა

საბჭოებლოსათვის

ბარიზი
1938

სიმონ გოგიბერიძე

ბრძოლა საშობლოსათვის

1938 წელს პარიზში გამოქვეყნებული ეს თხზულება ასახავს ჩვენი ისტორიის ტრაგიკულობით აღბეჭდილ დიად ეპოპეას— 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას საქართველოში. ავტორი თავად არის მონაწილე ამ აჯანყებისა.

ვფიქრობთ, ქართველი წიგნიერი საზოგადოება გულგრილი არ დარჩება ამ გამოცემისადმი.

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გურამ კუტალაძემ

რედაქტორი მანანა ციცქიშვილი

ავტორისაგან

1921 წლის დასაწყისში საქართველომ დაკარგა თავისი დამოუკიდებლობა წითელ რუსეთთან ბრძოლაში. მე მქონდა ბედნიერება ამ ბრძოლაში მონაწილეობა მიმეღო და დაპყრობის შემდეგ ვყოფილიყავი მოწამე იმ მოვლენებისა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ საერთოდ საქართველოში და კერძოდ გურიაში 1924 წ. ბოლომდე. საკმაო დრო გავიდა მას შემდეგ. მე, სხვებთან ერთად, სამშობლო დავტოვე. საქართველო ადგას ერთხელ და სამუდამოდ აღებულ გზას და მე იმედი მაქვს, რომ ის ერთ დღეს თავის მიზანს მიაღწევს.

დღევანდელ პირობებში მეტისმეტად ძნელია, გასაგები მიზეზების გამო, ყველაფერზე ლაპარაკი ან წერა. მაგრამ განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის საჭიროა წარსულის გაშუქება. საჭიროა ვიცოდეთ. შეგვეძლო თუ არა დამოუკიდებლობის შენარჩუნება, ან მივიღეთ თუ არა ყოველივე ზომები იმისათვის, რომ ის ენერგია, რომლის მოცემა მაშინ საქართველოს შეეძლო, დროზედ და ხეირიანად გამოგვეყენებინა?

სამწუხაროდ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მეტისმეტად ძნელია იმ თაობისათვის, რომელიც წარსული მოვლენების მონაწილე იყო; არათუ ჩვენ, რომელთაც ომიც წავაგეთ და დამოუკიდებლობაც დავკარგეთ, არამედ სახელმწიფოს მქონე ერებსაც კი უჭირთ წაგებული ომის მიზეზების სასწრაფოდ გამორკვევა და ერთი, ყველასათვის მისაღები აზრის ჩამოყალიბება. ჩვენში ეს ალბათ მაშინ მოხდება, როცა საქართველო განთავისუფლდება; დღეს კი, განსაკუთრებით უცხოეთში, ყველა თავისი საკუთარი საზომით უდგება ჩვენს წარსულს. ყველა ცდილობს თავისი პირადი წარსული სინათლის შუქით მოჰფინოს და ყოველივე ნაკლი მოწინააღმდეგე პარტიას ან პიროვნებას დააბრალოს. საკითხის ასეთი მიდგომა იწვევს ფაქტების დამახინჯებას, მოვლენების გაუგებრობას, პიროვნებათა და პარტიათა შორის, ერთობის მაგივრად, შუღლსა და შეხლა-შემოხლას.

ყოველივე ეს მავნებელია არა მარტო წარსულის სინამდვილის აღდგენისათვის, არამედ, და რაც უმთავრესია, მომავალი ბრძოლისათვის.

მეორე მხრივ, ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში ხალხს არა აქვს საშუალება ასეთ საკითხებზედ წეროს და იმსჯელოს. დროთა განმავლობაში კი ბევრი რამ წარსულიდან დავიწყებას ეძლევა და მომავალში მეტად ძნელი იქნება ყველაფრის მოგონება. ამ მხრივ ჩვენ, ვინც უცხოეთში ვართ, ბევრად უკეთეს პირობებში ვიმყოფებით და ვინაიდან სხვა დახმარების გაწევა საქართველოსათვის ჩვენ არ შეგვიძლია, ჩვენი ვალია, შეძლებისდაგვარად, ეს დანაკლისი შევავსოთ. საუკეთესო საშუალება კი ამისათვის, ჩემის აზრით, იქნება ის, თუ თვითეული ჩვენგანი, უბრალო ჯარისკაცი თუ მაღალი პასუხისმგებლობის მქონე, მოიგონებს და დაწერს მიუდვომლად, რაც მან უშუალოდ ნახა ჩვენი დაღუპვის დროს თუ შემდეგ. ამნაირად შესაძლებელია საკმაო მასალა დაგროვდეს და საერთო ჯამში მივიღოთ სურათი ჩვენი ახლო წარსულისა და შეიძლება პასუხიც იმ კითხვებზედ, რომლებიც ზევით ვახსენეთ. ყოველ შემთხვევაში ეს მასალები დარჩებიან ჩვენს ჩვენებად იმ მომავალი მოსამართლეებისათვის, რომლებიც ერთ დროს, მე მწამს ჩვენს ავსა და კარგს გაარჩევენ.

მე არ ვფიქრობ, რომ ჩემი მოგონება დიდ რამეს წარმოადგენს. მაგრამ თუ ეს ჩემსავით პატარა ჯარისკაცებს ასეთსავე ნაბიჯს გააბედვინებს, და უმცროსებს უფროსებიც წაჰბაძავენ, მე ჩემს თავს ბედნიერად ჩავთვლი. ჩემი მიზანი მიღწეული იქნება.

უნდა აღვნიშნო, რომ მოვლენათა შორის სულიერი კავშირის შენახვისათვის, მე არ მივდევ მათ ქრონოლოგიურ წყობას; რომ ბევრი რამ საინტერესო გამოტოვებულია საიდუმლოების დაცვის მიზნით; რომ მოვლენებს ვაფასებ იმ შთაბეჭდილებით, რაც მე მქონდა მაშინ, არალეგალური მუშაობის დროს, რათა უფრო სწორად იქნას გადმოცემული მაშინდელი ჩვენი სულისკვეთება.

დასასრულ. უდიდეს მადლობას ვუძღვნი იმ ჩემს ამხანაგებს, რომელთაც დიდი დახმარება გამიწიეს მასალებისა და საბუთების მოწოდებით. აგრეთვე მათ, ვინც თავიანთი წვლილი გაიღეს ამ წიგნის გამოსაცემად.

ს. გოგიბერიძე

სენ-კლუ
აგვისტო, 1935 წ.

ვუძღვნი:
ვანო ღლონტს,
გიორგი სალუქვაძეს,
ვასო ჩიტაიშვილს,
ვანო ცომაიას,
სერგო ანდღულაძეს.
დათიკო ჭორიძეს.

ნაწილი I

1921 — 22 წლები გურიაში

1921 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის განკარგულებით, მე, რამოდენიმე გვარდიელთან ერთად, დავინიშნე ქალაქ გაგრაში, სადაც უნდა შექმნილიყო გვარდიის ერთი გუნდი, რომელიც დაემატებოდა სახალხო გვარდიის სოხუმის ათასეულს. ჩემი უფროსის ნებართვით მე გავიარე ერთი დღით გურიაში და გამობრუნებული ჩავები ფოთში 11 თებერვალს. სადაც გაზეთებიდან გავიგე ჩვენს საზღვარზე მყოფ ჯარის ნაწილებზე თავდასხმა, ვითომც აჯანყებული სომხის მოსახლეობისა, ჩემი თანამგზავრები უკვე წასულიყვნენ წინა გემით და მე მომიხდა მარტოდ მგზავრობა, ჯერ ნავით სოხუმამდის და შემდეგ ეტლით გაგრამდის. ამინდი იყო მეტად ცუდი, გზები თოვლისაგან თითქმის დაკეტილი და მე გაგრაში ჩავედი მხოლოდ 18 თებერვალს დილით, სწორედ მაშინ, როცა რუსის ჯარმა, მე-9 არმიის 31-ე დივიზიამ, ამ ფრონტზე შემოტევა დაიწყო. ამ მგზავრობის დროს, ყოველ დაბაში მისვლისას, მე ვეცნობოდი ადგილობრივი გვარდიის შტაბებში თბილისიდან მიღებულ ცნობებს. ეს ცნობები საერთოდ დამაკმაყოფილებელნი იყვნენ და ხალხიც ძალიან აღტაცებული იყო. ყველას ეტყობოდა, რომ ამ ბრძოლას ისინი არ თვლიდნენ იმ უბრალო ექსპედიციად, რომელსაც ჩვენ ასე დავეჩვიეთ სამი წლის განმავლობაში. მახსოვს გუდაუთში, ფოსტის უფროსმა გვარდიის შტაბს მეტისმეტად სასიხარულო ცნობები გადმოსცა: ეს ამბავი ხელად ქალაქს მოედო და ხალხის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. მიუხედავად საშინელი თოვლ-ჭყაპისა, მთელი ქუჩები სავსე იყო ქუდმოხდილი ხალხით, რომლებიც ერთმანეთს ჰკოცნიდნენ. ახალგაზრდები და მოხუცები თანასწორად მოხალისეებად ეწერებოდნენ; ყველა მოელოდა, რომ მათაც დაუძახებდნენ და სადმე

ფრონტზედ გაგზავნიდნენ. აქაური ქართველობა, როგორც მოსაზღვრე და, მაშასადამე, თეთრი თუ წითელი რუსეთის კარგად მცნობი, გრძნობდა, რომ საქართველოს ბედ-იღბალი წყდებოდა. გვარდიის შტაბში, სოხუმში, გარდა საინფორმაციო ცნობებისა, არავითარ განკარგულებას ცენტრიდან არ ღებულობდნენ, აგრეთვე ჯარის ნაწილიც, რომელიც სოხუმში იდგა. მთელი ეს კუთხე და გაგრის საზღვარი თითქოს დავიწყებული იყო. რუსებიც მშვიდად იყვნენ და მხოლოდ 18 თებერვალს მოიტანეს პირველი ეერიში. ოთხი დღის ბრძოლის შემდეგ, მათ გაარღვიეს ჩვენი ხაზი და 22 თებერვალს საღამოს შემოვიდნენ გაგრაში. წინა ხაზიდან (სოფ. პილენკოვო, მდ. ხაშუპსე) უკან დახევისას მე დანიშნული ვიყავი ზურგის მცველ ნაწილში, ჩავვარდი ტყვედ სხვებთან ერთად და ვიჯექი სოხუმის ციხეში მაისის ბოლომდე.

განთავისუფლების შემდეგ ვიმგზავრე ბათუმამდის გემით და ივნისის პირველ რიცხვებში ავედი გურიაში. ციხეში ყოფნისას მე არაფერი ვიცოდი იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა საქართველოში, თუ როგორ შეხვდა ხალხი დამოუკიდებლობის დაკარგვას და საოკუპაციო ხელისუფლებას. მე სახლში დავბრუნდი ციებით დაავადმყოფებული, ასე რომ პირველ ხანებში არსად არ დავდიოდი და ყველა ჩემი ნაცნობ-ნათესავები მოდიოდნენ ჩემს სანახავად. მათი შემწეობით, მე გავეცანი, თუ რა მოხდა სხვადასხვა ადგილას საქართველოში. ბევრი მათგანი მსახურობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჯარში, გვარდიაში. მილიციაში და სხვა დაწესებულებებში. ჩემი თხოვნით ისინი მაცნობდნენ, თუ რა ნახეს მათ ამა თუ იმ ფრონტზედ და მიხსნიდენ იმას, რაც ჩემთვის უცნობი იყო. ყველა მათგანის ნაამბობი ერთმანეთს ეთანხმებოდა: ბევრ ალაგას იყო ბევრი პირადი თავგანწირვაც, ბევრი სასიქადულო აქტიც, როგორც ჯარისკაცების, გვარდიელების თუ ოფიცრების მხრივაც, ხალხის აღტაცება გენ. კვინიტაძის სარდლობით თბილისთან პირველი გამარჯვების გამო, საერთო არევ-დარევა და ჯარის სულიერად გატეხა თბილისის დატოვების შემდეგ და ის სამარცხვინო სურათი, რაც გადაიშალა ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზედ თბილისიდან ბათუმამდის.

მათი სიტყვებით, სულ უკანასკნელ დრომდის მათ არ იცოდნენ, თუ რა მტერთან ჰქონდათ საქმე. რომ ეს ომი მათთვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთის ფრონტზედ რამოდენიმე ათასეული იდგა სახალხო გვარდიისა, თითქმის საქართველოს ყველა კუთხეებიდან მოყვანილი. მათი სიტყვით,

ის რწმენა, რომ ომი რუსეთთან აღარ მოხდებოდა, გამოწვეული იყო მთავრობის სრული სიმშვიდით. ჯარის დემობილიზაციით 1920 წლის დამლევს. ჩვენი ყოველმხრივი მოუმზადებლობა ომამდის, ომის დაწყებისას უთავბოლო, უგეგმო მობილიზაცია, რუსების ყოველმხრივ შემოტევა, ოსმალების ჩვენს ტერიტორიაზედ შემოსვლა, თბილისის დატოვება, იყვნენ მათი აზრით ის მიზეზები, რომელთაც ქართველ ხალხს ყოველივე ბრძოლა უმიზნოდ დაანახეს. და რაც უმთავრესია, მათ სიტყვებში მოსჩანდა რაღაც ფატალური შეგნება იმისა, რომ რაც არ უნდა გვექნა, რუსებს მაინც ვერ მოვერეოდით! ბრძოლის დროს მათ სრულიად არ იცოდნენ, თუ რა მტერი მოდიოდა მათზედ, და ამ მხრივ ყოველივე ცნობას მოკლებულნი, უხეში ანგარიშით ერთი მხრივ დიდ რუსეთს ხედავდნენ და მეორე მხრივ პატარა საქართველოს!

ის, რაც მე პირადად ვნახე, სამი წლის განმავლობაში სხვადასხვა ფრონტებზედ, უკანასკნელი ბრძოლა გაგრაში და შემდეგ ამ ხალხის ნაამბობი, 1921 — 24 წლამდის საქართველოში ყოფნის დროს, თითქმის ყველა უბრალო ეპიზოდების პირადი მონაწილეების საშუალებით შემოწმება, მაძლევს საბუთს ვიფიქრო შემდეგი:

რომ ის მასალა, რაც საქართველოში მოიპოვებოდა ხალხისა თუ იარაღის მხრივ, თავის დროზედ დაგროვებულიყო ერთ მტკიცე სამხედრო ორგანიზაციაში, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, თვალები არ დაგვეხუჭა და დაგვენახა აშკარა მზადება რუსეთისა ჩვენზედ დასაცემად და ერი სულიერად მოგვემზადებინა ამ ომისათვის, იმ ძალას, რომელიც ჩვენ თავზედ დაგვესხა, ჩვენ ჩვენს დამოუკიდებლობას არ გავატანდით.

რასაკვირველია, მე ვლებულობ მხედველობაში ყველა იმ პირობებს, რაც რუსეთს უადვილებდა ჩვენში მოსვლას და ანელებდა ჩვენი ხალხის მათთან ბრძოლას. და მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც ზემოხსენებულ დასკვნამდე მივდივარ. ასეთივე აზრისა იყო ბევრი ქართველი ჩემი იქ ყოფნის დროს.

ქართული ანდაზაა: „არცოდნა — არცოდვაო", მაგრამ უდიდესი ცოდვა იქნება ერის წინაშე, რომ არ ვთქვათ ის, რასაც გულწრფელად ვფიქრობთ. არ აღვნიშნოთ ის, თუ როდის და სად ვერ ვივარგეთ. თუ გვექნება ამისი გამბედაობა, ეს ნიშანი იქნება იმისა, რომ ჩვენ კიდევ ვარგივართ ბრძოლისათვის.

ქართველი ერის კეთილშობილება უსაზღვროა: ჩემი იქ ყოფნის დროს ბევრი ძმური, ამხანაგური თუ მამაშვილური საყვედური მომი-

სმენია ჩვენი ხელმძღვანელობის მიმართ, მაგრამ არასოდეს ამ საყვედურებს ლანძღვა-გინების ხასიათი არ მიუღია. არასოდეს ხალხს მათთვის ზურგი არ უქცევია და მათი ნდობა არ დაუკარგავს! მოწინააღმდეგის წინაშე ხალხი თვით ცდილობდა მათი გამამართლებელი საბუთების მონახვას! და ასეთი ხალხი ღირსია იმისა, რომ ჩვენ მას ნდობით მოვექცეთ, ჩვენი პირადი თავმოყვარეობა დავძლიოთ და ყოველივე სიმართლე ვუთხრათ.

* * *

თუ როგორ შეხვდა ხალხი თვით გურიაში რუსის ხიშტებზე დაყრდნობილ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, ეს აშკარად ჩანდა იმ ფაქტებიდან, რასაც ადგილი ჰქონდა მთელს გურიაში და რომელთაგანაც მე აღვნიშნავ მხოლოდ ორს: აპრილში გურიაში ჩამოესვენებინათ ტაბახმელასთან მოკლული სახალხო გვარდიის ბათუმის ათასეულის უფროსი კაპიტანი გრიგოლ კვაშალი. მთელი მაზრა ამ მოვლენისათვის წინასწარ მომზადებულიყო; ქალაქ ოზურგეთის და ახლო-მახლო თემების მცხოვრებნი, დელეგატები სხვა რაიონებიდან, დიდძალი ხალხი შავებში ჩაცმულნი, დიდი შავი დროშებით შეეგებნენ სამშობლოსათვის თავდადებული გმირის ცხედარს. უსიტყვოდ. სამარისებური სიჩუმით მიასვენეს ის და დაკრძალეს ოზურგეთის ქალაქის მოედანზე ეკლესიის ეზოში. საბჭოთა მთავრობამ ვერავითარი ჩარევა ვერ გაბედა. ეს ჩუმი პატივისცემა ბრძოლაში დაკარგულისადმი მთელი მაზრის მიერ, უდიდესი პროტესტი იყო სამშობლოს მოღალატეთა და დამპყრობელთა მიმართ! ამ დღეს გურიის ხალხმა, პირველად აშკარად დაანახა საბჭოთა ხელისუფლებას, რომ ის სრულიად არ შერიგებია რუსეთის საქართველოში გაბატონებას და რომ ის ბრძოლებისათვის კვლავ ემზადებოდა. თითქმის ასევე, უფრო პატარა მასშტაბით, ხდებოდა ყველა რაიონებში შეხვედრა და დასაფლავება სხვადასხვა ფრონტებიდან მოსვენებული მხედრებისა.

როცა მოახლოვდა 26 მაისი, პირველი ეროვნული დღესასწაული ქართველი ერის დაპყრობის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ თვალთმაქცურად მოინდომა, ვითომც ამ დღეობის გადახდაში მონაწილეობის მიღება. გურიის ხალხს კი თავის მხრივ თავისი მზადება ჰქონდა: ეს დღესასწაული შეუფარდეს იმავე გრიგოლ კვაშალის ორმოცი დღის თავს, ქუჩებში გამოსულ უამრავ ხალხს შეუერთდნენ ბევრი კომუ-

ნისტებიც. ხალხი კი გაემართა კვაშალის საფლავისაკენ და როგორც კი დაუახლოვდნენ ეკლესიის ეზოს, მთელს პროცესიაში ერთბაშად აფრიალდა ქართული ეროვნული დროშები და მთელმა ხალხმა, როგორც ერთმა კაცმა, უსიტყვოდ დაიჩოქა საფლავის წინაშე, დამსწრე კომუნისტები და ადგილობრივი ხელისუფლება ამას სრულიად არ მოელოდნენ. მაგრამ ამ მომენტის შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ მათაც უსიტყვოდ მიბაძეს სხვებს და ქართველი გმირის საფლავთან მუხლი მოიყარეს, რისთვისაც შემდეგში დიდი საყვედურები მიიღეს თავიანთი უფროსებისაგან.

ამ სურათის ნახვით გაბრაზებულმა ხელისუფლებამ ხალხს ალყა შემოარტყა ფეხოსანი და ცხენოსანი მილიციისა და საგანგებო რაზმის საშუალებით და მოინდომა დროშების წართმევა. მაგრამ მათი განზრახვა უნაყოფო დარჩა. ხალხი შეიკრა ბურთივით. გაიმართა მიტინგი და წარმოთქმულ იქნა სიტყვა ორი პიროვნების მიერ. ერთი ამათგანი იყო გიორგი მურვანიძე (დამფუძნებელი კრების წევრი და ქ. ოზურგეთის ქალაქის თავი) და მეორე გიორგი ნაკაშიძე. პირველს სიტყვა მიეცა, როგორც სოც. დემ. პარტიის წარმომადგენელს, ხოლო მეორეს, როგორც სოც. ფედერალისტს. მსმენელთა გადმოცემით მათ წარმოსთქვეს შესანიშნავი, პატრიოტული ცეცხლით ანთებული სიტყვები, სამშობლოს მოღალატეთა და დამპყრობელთა წინააღმდეგ მიმართული და ეროვნული ბრძოლისაკენ მომწოდებელი. ისინი ორთავენი დატუსაღებულ იქნენ მეორე დღეს. გიორგი მურვანიძემ დალია სული ორი წლის შემდეგ არალეგალურ ცხოვრებაში. ნაკაშიძე კი გადმოასახლეს საზღვარგარეთ.

* * *

თუ რა მოელოდა საქართველოს ახალი მდგომარეობის შექმნის გამო, ამაზედ ხალხის აზრი მეტად ჭრელი იყო. ფართე მასაში ზოგი ფიქრობდა, რომ ბოლოს და ბოლოს „ბოლშევიკებთან“ საერთო ენა ჩოინახებოდა და ეს საქართველოს დაპყრობა არ გადაიქცეოდა ისეთ დაპყრობად, როგორც ეს საერთოდ ხდება ასეთ შემთხვევაში. ზოგი ფიქრობდა, რომ საერთოდ რუსეთის მასშტაბით საბჭოთა ხელისუფლება ჩქარა დაეცემოდა და საქართველო კვლავ მოიპოვებდა თავის დამოუკიდებლობას. რატომღაც მეტის მეტად ზერელედ უყურებდნენ საბჭოთა ხელისუფლების „საქმიანობას“. ამბობდნენ: „ესენი აქ იმ-

ას ვერ იზამენ, რაც რუსეთში ჰქნესო.“ რაღაცნაირად ჰქონდათ დიდი იმედი საზღვარგარეთ წასული მთავრობისა. წყალწაღებულივით ეჭიდებოდნენ ყოველგვარ ხავსს, იმეორებდნენ ათასგვარ ჭორებს საზღვარგარეთელ ამბებზეზე, ბერძნების წინსვლაზეზ ოსმალეთში, თითქოს ამას ჩვენს საქმესთან რაიმე კავშირი ჰქონდა და სხვა...

მოკლედ: აწმყოზეზ და მომავალზეზ ჩამოყალიბებული აზრი ხალხში არ ყოფილა. მოწინავე პირები კი, ვინც კარგად იცოდა თუ რა მოხდა, უცდიდნენ მდგომარეობის გარკვევას ყოველ მხრივ, მომავალი სამუშაო ხაზის ასაღებად.

* * *

თავის მხრივ საოკუპაციო ხელისუფლება, პირველ დღეებში აწყობდა მიტინგებს, სადაც ხალხს ელაპარაკებოდა, თავის ჩვეულების თანახმად, მომავალ ბედნიერებაზეზ. საქართველოს დაპყრობის წინ ბოლშევიკური ორგანიზაციები გურიაში თითქმის განადგურებული იყვნენ და ეხლა კომუნისტები მთელს თავის შრომას ანდომებდნენ მათი პარტიის წევრთა რიცხვის გამრავლებას და თანდათანობით სამოქალაქო დაწესებულებებში ძველი მოხელეების შეცვლას. მანამდე კი ბევრი დაწესებულება სავსე იყო ისევ ძველი ხალხით და ისინი მუშაობდნენ ბოლშევიკების ხელმძღვანელობის ქვეშ. ამავე დროს ხელისუფლება ატარებდა შედარებით რბილი ხასიათის რეპრესიებს. საღდგომოდ 1921 წელს ყოფილიყო საერთო დაჭერები და ბევრი საზოგადო მოღვაწე თუ სახელმწიფო მოხელე დაეჭირათ რამოდენიმე კვირით.

ციხის რეჟიმი იყო რბილი, ტუსაღებს უფლება ჰქონდათ მიეღოთ ყოველგვარი გადაცემები და პირველ ხანებში ციხეში ყოფნა წარმოადგენდა ერთგვარ ყრილობას ანტი-საბჭოთა ელემენტებისა; ყოველ შემთხვევაში, ვინც დაუჭერელი გადარჩა, ცოტა შერცხვენილად სთვლიდა თავს ამხანაგების წინაშე.

რასაკვირველია, იყო ბევრი გამონაკლისი: ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო ის ხალხი, ვისაც ბოლშევიკები იცნობდნენ, როგორც შეურიგებელ მტერს, ან ვინც დამოუკიდებლობის დროს მონაწილეობა მიიღო ბოლშევიკების წინააღმდეგ რეპრესიებში. გურიაში რამოდენიმე პირი ასეთი ხალხიდან უკვე არალეგალურად სცხოვრობდნენ, იარაღით ხელში თუ უიარაღოდ. ამავე დროს საბჭოთა ადმინისტრაცია ცდილობდა ეშოვნა ხალხი, რომლის საშუალებითაც, კერძო მტრობის ხასიათის მი-

ცემით, შესაძლებელი გახდებოდა ბევრი პიროვნების მოკვლა. ამ მიზნით, უპირველეს ყოვლისა, მათ მიმართეს ისეთ პირებს, ვისაც დამოუკიდებლობის დროს. სისხლის სამართლის დანაშაულის გამო მისჯილი ჰქონდათ რამოდენიმე წლის ციხე და განთავისუფლებულნი იყვნენ საბჭოთა მთავრობის მიერ. უნდა ითქვას, რომ ასეთ ხალხშიც მათ ვერ იშოვნეს კაცი, რომელიც ფულის გულისათვის ან პირადი ინტერესის გამო მოჰკლავდა იმათ, ვისაც ხალხი ნდობით უყურებდა.

* * *

როცა გაიარა ხალხის დაბნეულობამ დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, გურიაში დაიწყო ნელ-ნელა საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ მუშაობის მოწყობა. ეს მუშაობა პირველად გამოიხატებოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციების აღდგენაში, თემების სამაზრო ცენტრთან დაკავშირებაში. მოკლედ, ეს პერიოდი იყო უმთავრესად ხანა თავისი პოზიციების ძებნისა სოც. დემ. პარტიის მიერ. აქა-იქ დაბებში არსდებოდა აგრეთვე სხვა პარტიების ორგანიზაციები. პირველ ხანებში საბჭოთა მთავრობას არ ჰქონდა აშკარა საბუთი ამ ორგანიზაციების არსებობის. მაგრამ ჩქარა მთავრობის მიერ წარმოებულ მუშაობაზე ხლხმა მთელ გურიაში გასცა მწყობრი და ერთნაირი პასუხი, რითაც ამ ორგანიზაციების არსებობა მთავრობისათვის ნათელი გახდა.

ეს ზომები მთავრობისა გამოიხატებოდა მის შეტევაში კოოპერატივების წინააღმდეგ, იქიდან ხალხის არჩეული პირების გამოსარეკად და მათ თავის ხელში ჩასაგდებად. გურიაში კოოპერატივები ძალიან იყვნენ გავრცელებული. ყველა ეკუთვნოდა ხალხს და თავისი დამოუკიდებული მუშაობით უხერხულ მდგომარეობაში აყენებდნენ მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკას და წარმოადგენდენ ერთგვარ ღერძს, რომლის გარშემო ჯერ კიდევ ტრიალებდა ყველა სფეროში უფლება აყრილი ხალხის დამოუკიდებლობა მთავრობისაგან.

კოოპერატივების გარშემო ბრძოლამ გასტანა თითქმის მთელი წელი. ამის გამო ბევრმა იგემა ციხე, დაშინება და ათასი უბედურება, მაგრამ ხალხმა მათ ხელი არ გაუშვა და ბოლოს საბჭოთა მთავრობამ გამარჯვება მოიპოვა წმინდა პოლიციური ზომების აშკარად ხმარებით.

მეორე კითხვა იყო მათი ველური პოლიტიკა ტყეების გაჩეხვის შესახებ წმინდა სადემაგოგიო მიზნით და მიწის საკითხი. თუმცა მიწა, რო-

გორც დიდი ერთეული აღარავის ჰქონდა, რომ ჩამორთმევა ყოფილიყო საჭირო.

მესამე საკითხი იყო სკოლების დაპყრობა. გურიაში სკოლები მეფის დროიდანვე ხალხის კუთვნილებას და ნაამაგარს შეადგენდნენ. უღარიბესი გლეხობა პირიდან ლუკმას იძრობდა მათ გასამრავლებლად. გურიას ჰყავდა მთელი თაობა თავდადებული მასწავლებლებისა, რომლებმაც ათასგვარ დაბრკოლებათა წინაშე შესძლეს ეს სკოლები გაემრავლებინათ და ხალხისათვის შეეყვარებინათ. საქართველოს დაპყრობის დღიდანვე საოკუპაციო ხელისუფლება შეუდგა მათ წინააღმდეგ სასტიკ რეპრესიებს, რათა ისინი დაეშინებინა და კომუნიზმის მქადაგებლად გადაექცია. 20—25 წლის ნამოღვაწარი მოხუცი მასწავლებლები თვეობით ციხეებში ლპებოდნენ და ამ დროს კი სკოლებში პატრონი არავინ იყო. როცა მთავრობამ ამ გზით თავის მიზანს ვერ მიაღწია, მან შეჰქმნა სასწრაფოდ კურსები „ახალი კადრების“ შესაქმნელად და შეუდგა ძველი, გამოცდილი ხელმძღვანელების უვიც „კომსომოლებით“ შეცვლას. წინანდელ ორკლასიან სკოლებში მასწავლებლებად ამავე სკოლის მოწაფეები „კომსომოლას“ წევრები ინიშნებოდნენ. უვიცობასთან ერთად, ესენი ათასგვარ უზნეობას ახვევდნენ თავზე ბავშვებს „კომუნისტური აღმზრდელობის“ სახით. კომუნისტურ სისაძაგლეებში ყველაზედ საზარელი ეს უმწიკვლო ბავშვების ძალით გადაგვარება იყო, და ვისაც არ შეეძლო თავის ბავშვებისათვის ოჯახში დიდი ყურადღება მიექცია, ის ხედავდა თუ როგორ ეცლებოდა მას ხელიდგან მისი მომავალი იმედი და დგებოდა დაღუპვის გზაზედ. და თუ მიუხედავად მთავრობის ასეთი ზომებისა ქართველი ბავშვების უმეტესობა მაინც ერს შერჩა, ეს მიეწერება ხალხის მიერ ამ საკითხისადმი ჭკვიანად და სათუთად მოპყრობას და აგრეთვე ოთხი წლის განმავლობაში იმ ჯოჯოხეთური სურათის ცქერას, რომელიც საოკუპაციო ხელისუფლებამ დაამყარა გურიაში და რომელსაც ბავშვის წმინდა გული ალღოთი უნდობლობით უცქერდა. ბავშვი ყოველ დღიურად ხედავდა თავის მამას, ან ძმას, ხშირად დედასაც კი, ან მეზობელს და ნათესავს გაუბედურებულს კომუნისტების მიერ და მისი გული ტანჯულთათვის ფეთქავდა. ამ ოთხი წლის განმავლობაში მთელი არალეგალური მუშობის დროს ჩვენს საუკეთესო შიკრიკებად ბავშვები ითვლებოდნენ და არ ყოფილა მაგალითი როდისმე, რომ მათ კომუნისტების წინაშე ზედმეტი სიტყვა წამოსცდენოდათ! 1922 წლის 11თებერვალს მთელს საქართველოში მოსწავლე ახალგაზრდო-

ბამ მოაწყო საქართველოზედ რუსეთის თავდასხმის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლები. დასავლეთ საქართველოში და კერძოდ გურიაში ამ გამოსვლებმა ფართე ხასიათი მიიღო და აუარებელი მოწაფე და მასწავლებელი იქმნა დატუსაღებული მთავრობის მიერ. დიდებისათვის მისაბაძი იყო ახალგაზრდების დისციპლინა, საიდუმლოების შენახვა და გასაოცარი გამჭრიახობა საფრთხის წინაშე. ის რაც ჩვენ, დიდებს, თითქმის ნაძალადევად მოგვეხვია თავზედ, მათ ბავშვობიდან თან ეზრდებოდათ, ბუნებრივად და აუცილებლად ხდებოდა და ჩვენც იმედს გვაძლევდა, რომ თვის დროზედ, ვაჟკაცად ქცეული, ეს თაობა თავის სიტყვას იტყოდა. თვით ციხეებშიც 16—17 წლის ბავშვები გასაოცარი სიმტკიცით იქცეოდნენ. გურიის კომიტეტის ერთი შიკრიკთაგანი, მოწაფე მსხალაძე დატუსაღებულ იქმნა წერილით ხელში და ჩეკა შეეცადა მისი საშუალებით მთავარი ორგანიზაციების მიგნებას. საშინელი ტანჯვა-წამება მიაყენეს ამ ბავშვს, მაგრამ მისგან ვერაფერი გაიგეს. დაბოლოს, ისეთ ველურ ზომასაც მიმართეს, რომ მარტო ამისათვისაც კი კომუნისტები სამუდამოდ საზარელი დარჩებიან მათ თვალში, ვინც იმ დროს გურიაში იყო; ამ ბავშვს გახადეს ტანზედ, ჩამოკიდეს ფეხებით და მთელი სხეული ნელ-ნელა დაუწვეს პაპიროსის ცეცხლით! ბავშვმა ამასაც გაუძლო, და როცა ის გაანთავისუფლეს, მთელი მისი სხეული პაპიროსის ცეცხლისაგან საცერივით იყო დაცრეცილი. მან განაგრძო მუშაობა და როცა ხნით მოიზარდა. აჯანყების შემდეგ ციმბირში გაგზავნეს. სამშობლოს სამსახურში ამდენი უბედურების შემდეგ, მან თავისი წმინდა სული იმათ რიცხვს შეუერთა, ვისაც სამშობლოს წინაშე უკვე ყოველგვარი ვალი მოხდილი აქვთ.

მეოთხე საკითხი იყო ეკლესიების დარღვევა. აქ მათ ეგონათ, რომ ძალიან ადვილად გაიმარჯვებდნენ, მაგრამ ყველგან სასტიკ წინააღმდეგობას შეხვდნენ. როცა მათ დაინახეს ასეთი მწყობრი შეტევა, ისინი მიხვდნენ თუ ვინ ხელმძღვანელობდა ამ მოძრაობას და მიტინგებზედ მიმართეს სოციალისტებს, რომ ამ საკითხში ჩვენ ერთნი ვართ და ხელს ნუკი გვიშლით, არამედ დაგვეხმარეთო. ხელის შეშლაზედ სოც. დემოკრატებმა, რასაკვირველია უარი უთხრეს და ეს მოძრაობა ხალხის მიერ თავისთავად წამოსროლილ მოძრაობად მონათლეს, მაგრამ დახმარებაც უარყვეს, მიუთითებდნენ რა იმაზედ, რომ სოც. დემოკრატია იცავდა რწმენის და სინდისის თავისუფლებას და რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგებული იყო ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფით. ამ საკითხ-

ის გარშემოც ბევრი ქალი და მოხუცი იქმნა დატუსაღებული და ბოლოს მთავრობამ აქაც მიმართა პოლიციურ ზომებს: ერთ ღამეს მთელს გურიაში დაესხნენ თავს მღვდლებს და ყველანი გაპკრიეს ძალით. მოჰკლეს ყოვლად საზარელ ფორმაში, მთელს გურიაში და მთელი ქართული სამღვდელოების მიერ ცნობილი მღვდელი ლავრენტი წულაძე. იშვიათი მცოდნე ქართული ენისა, ქართული ლიტერატურისა. ყოველ დარგში თავდადებული საზოგადო მოღვაწე და ხალხის მოსამსახურე. ამ მხეცური ზომების შემდეგ შეუდგნენ ეკლესიების რღვევას და ქონების კონფისკაციას.

ამავე დროს მთავრობას გაჰყავდა ხალხი ძალით ოზურგეთ-ნატანების რკინის გზაზედ სამუშაოდ, უმეელ-უსმელი, უბინაოდ და უფასოდ. სრულიად უთავბოლოდ იწყებდნენ სხვადასხვა ადგილას გზების გაყვანას, სადაც იმავე პირობებში ამუშავებდნენ ხალხს. მათ ასეთ „მოღვაწეობას“ ისინი აწარმოებდნენ ისეთი მეთოდებით, რომ ხალხისთვის აშკარა იყო, რომ მთავრობის უმთავრეს მიზანს შეადგენდა ხალხის დაბეჩავება და წელში გატეხა და ხალხიდან იმ პირთა მოშორება, ვინც მთავრობას ასე თუ ისე წინააღმდეგობას უწევდა.

ამავე მიზანს დაუმორჩილეს ხალხისთვის ძალით ჩამორთმეული კოოპერატივებიც, მათი საშუალებით მოტყუებით ჩამოართვეს ხალხს თამბაქო, აბრეშუმის პარკი, სიმინდი, ხილი, არაყი, ღვინო და სხვ. მათ საფასურად ხალხს მხოლოდ ცარიელი დაპირება ეძლეოდა. გურიის ხალხს მოესპო საშუალება გარეთ სამუშაოზედ წასვლის, შავი ზღვის ნავთსადგურებში, რკინის გზებზედ, ტყეში თუ სახელმწიფო სამსახურში.

ყველა ამ კითხვებზედ შეხლა-შემოხლის დროს ხალხი თანდათან სცილდებოდა მთავრობას, იწყებოდა უკვე იმის გარკვევა, თუ რა დაკარგა მან და ვისთან ჰქონდა საქმე დღეს. ყოველგვარ თავის უფლებას მოკლებულმა ხალხმა აღადგინა ძველი ჩვეულებები: ნათვლა, ჯვარის წერა, საეკლესიო წესით მიცვალებულის დასაფლავება, მოხუც სასულიერო პირთა პატივისცემა, დღეობები და მრავალი სხვა. მთავრობის მიერ შექმნილ პირობებში მხოლოდ ეს იძლეოდა საშუალებას ხალხის ერთმანეთთან შეხვედრისას, მისვლა-მოსვლისას, ერთგვარი თავისუფალი ცხოვრებისას და ამავე დროს არალეგალური მუშაობის წარმოებისას. ყველა ასეთი შეხვედრის დროს ხალხი აძლევდა გამოსავალს თავის გრძნობებს და აშკარად გმოსთქვამდა თავის მწუხარებას სიტყვით, სადღეგრძელოებში, ლექსებით და სიმღერებით. თვით იქ დამსწრე კომუნისტებს ხშირად აიძულებდნენ მიერთვათ

საქართველოს დამოუკიდებლობის და ყოფილი მთავრობის საღღეგრძელო. კომუნისტები და მათი ჯაშუშებიც არ რჩებოდნენ ვალში და ყველა პიროვნების მიმართ ღებულობდნენ ზომებს დრო გამოშვებით დატუსაღების სახით. ზოგს აჩერებდნენ იქვე თემში, ზოგს გზავნიდნენ სამაზრო ჩეკაში და იქ არჩევდნენ უფრო აქტიურ პირებს თბილისის ციხეებში გადასაგზავნად. ამ რეპრესიებს ატარებდნენ ან ადგილობრივი თემის ხელისუფლება, ან სარაიონო და სამაზრო ადმინისტრაცია, სამაზრო ჩეკა ამათგან დამოუკიდებლად და დრო გამოშვებით ზოგიერთი პირების წინააღმდეგ საგანგებოდ ბათუმიდან ან თბილისიდან ჩამოსული ჩეკის აგენტები. შემოიღეს ჩეკის აგენტების ჩუმად, ღამით სოფელში შემოიყვანა, რომლებიც თავს ასაღებდნენ დევნილებად და ამ გზით ცდილობდნენ დევნილი ხალხის ხელში ჩაგდებას და დახოცვას.

არალეგალური ორგანიზაციების მეთაურებს უბდებოდათ დღე და ღამე მუშაობა ყველა ასეთ, მათ წინააღმდეგ მიმართული ზომების წინასწარ გასაგებად, ხალხის გასაფრთხილებლად და მოსალოდნელი პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად. ერთი მხრივ ამდენმა რეპრესიებმა და მეორე მხრივ ხელმძღვანელების მიზანშეწონილმა მუშაობამ ხალხი გამოქნა და გაწაფა საიდუმლოების შენახვაში, დისციპლინის განმტკიცებაში, ერთმანეთთან მეგობრობაში და მთელი მაზრის მასშტაბით **საუცხოო ჩუმი კავშირის მოწყობაში.** უნდა აღვნიშნო, რომ ამ მუშაობის დროს გურიაში მთელი ანტი-საბჭოთა ელემენტები თავს იყრიდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის გარშემო: აქედან ღებულობდნენ ყოველგვარ ინფორმაციას, ბრძანებებს, ფურცლებს, გაზეთებს. ინახავდნენ არალეგალურ ხალხს, იხდიდნენ ფულს და ეხმარებოდნენ ორგანიზაციებს ყოველგვარი საშუალებებით. ყოველგვარი წინანდელი შუღლი და პარტიული განსხვავება დავიწყებული იყო და ყველა ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ მიდიოდნენ ერთიანი ფრონტის შესაქმნელად.

* * *

გურიის ორგანიზაციებმა გადასწყვიტეს 1922 წელს (თანახმად ცენტრიდან მიღებული დადგენილებისა) აშკარად ედღესასწაულათ 26 მაისი. ამ მიზნით ჩატარებული იქმნა მოსამზადებელი მუშაობა ხალხის გამოსაყვანად. დაინიშნა წინასწარ მიტინგების ადგილები, საჭირო

ორატორები და გამომუშავებულ იქმნა კრებებზედ მისაღები რეზოლუციები. საოკუპაციო ხელისუფლების დაცვის მიზნით სარაიონო ხელმძღვანელებს ქვევით არავინ არ იცოდა ადგილი, რომელიც მიჩნეული ჰქონდა ამა თუ იმ თემს.

საოკუპაციო ხელისუფლებამ იცოდა, რომ 26 მაისს შესაძლებელი იყო მომხდარიყო რაიმე მანიფესტაციები და თავის ჩვეულების თანახმად მან მიიღო გადაწყვეტილება წინ ღამით დაეტუსაღებინა ცოტად თუ ბევრად შემჩნეული პირები. ეს იცოდა ჩვენმა ხელმძღვანელობამ და უკანასკნელ დროს მან გასცა ბრძანება ყველა რაიონებში თავყრილობის ადგილის ჩვენებით და თან გამოსვლის დატათ 26-ს მაგიერ დანიშნა 24 მაისი. ეს არა თუ მტრისთვის, არამედ ხალხისთვისაც მოულოდნელი იყო და ვინაიდან წინასწარი მუშაობა კარგად იყო ჩატარებული, 24 მაისს მთელს გურიაში ხალხი მოგროვდა დანიშნულ ადგილებზედ. გაიმართა ყველგან მიტინგები. თვით ქალაქ ოზურგეთში დიდი ჯარი იდგა, ამიტომ მიტინგის ქალაქში მოწყობა შეუძლებელი გახდა. მაგრამ სამაგიეროდ ყველა დაწესებულებები დაიკეტა მოსამსახურეების გაფიცვის გამო. დაიკეტა აგრეთვე მთელი სავაჭროები მთელი დღით. ქალაქში ცხოვრება გაჩერდა და მთელი ხალხი გაეშურა ახლო რაიონებში მიტინგებზე დასასწრებად. მიუხედავად იმისა, რომ გურიაში მაშინ იდგა დიდი ნაწილები წითელი არმიისა, რომლებსაც სასწრაფო განკარგულება მიეცათ მიტინგების დასაშლელად, ყველა მიტინგებზედ ხალხმა მაინც მოასწრო სიტყვების მოსმენა და საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგ საპროტესტო რეზოლუციების გამოტანა. მხოლოდ შემდეგში იგემა გურიის ხალხმა ამისათვის სასტიკი რეპრესიები.

გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ ის მიტინგი, რომელსაც ადგილი ჰქონდა სოფელ ფიჩხის-ჯვარში, სადაც დანიშნული იყო სამი დიდი თემის: ასკანის, ნაგომარის და ხიდისთავის მცხოვრებთა შეერთებული კრება. როგორც სხვაგან, ისე აქაც ხალხმა მოაწრო თავის მოყრა და კრების გახსნა. სოფ. ფიჩხის-ჯვარი მდებარეობს ამ სამი თემის შუა გულში და წარმოადგენს საკმაოდ ამაღლებულ ადგილს. კრება იყო დანიშნული ეკლესიის გალავანში. ხალხის რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ თითქმის ნახევარი დარჩა გალავანს გარეთ ეკლესიის ეზოს ერთ მხარეზედ იმყოფება ერთი დიდი ძეგლი, რომელიც წარმოადგენს პირამიდას ოთხი მხრივ ასასვლელი კიბეებით და ფართობით, რომელზედაც თავისუფლად მოთავსდება ათი კაცი. აი, ძეგლზედ იდგა მიტინგის ხელმძღვანელი ხალხი. თავმჯდომარემ გახსნა

კრება. სიტყვა მისცა წინასწარ დახიშულ პირს, რომელმაც მოკლედ გააცნო ხალხს კრების მიზანი და წარმოუდგინა რეზოლუცია, მიმართული საქართველოს დამოუკიდებლობის ძალით მოსპობის წინააღმდეგ. კრება მიმდინარეობდა სრული სიწყნარით. ამ დროს მას ალყა შემოარტყეს სოფელ ხიდისთავიდან და სხვა თემებიდან მოსულმა კომუნისტებმა, რაიონის მილიციის უფროსის ჭანიშვილის და თანაშემწე ლომთათიძის ხელმძღვანელობით. მოსვლისთანავე მათ გალავნის გარედან მიმართეს თავმჯდომარეს დაუყოვნებლივ დაეშალა კრება. მან უპასუხა: „კრება არის მოწვეული არა თქვენს მიერ, მას აქვს სრულიად მშვიდობიანი ხასიათი და როცა ის თავის დადგენილებას გამოიტანს, მე მას უთქვენოთ დავხურავო.“ იმავე წუთში კომუნისტებმა დაუშინეს ხალხს ტყვია და შიგ შუაგულ მიტინგში გადაისროლეს ხელის ყუმბარა. პირველსავე თოფის გავარდნაზედ რამდენიმე ქალი და კაცი წაიქცა მიწაზედ. ხელმძღვანელები დარჩნენ ტრიბუნაზედ. ხალხს არ ჰქონდა გაქცევის საშუალება და იდგა ალაგზედ. ამავე დროს ერთმა ჯგუფმა დაიწყო ჩვენი ჰიმნი „დიდება“ და მას აყვა მთელი ხალხი.

ეს იყო ისეთი გრანდიოზული სურათი, რომელიც მნახველს არასოდეს არ დაავიწყდება. აი, ამ დროს გასკდა ყუმბარა და კიდევ დაცვივდა ძირს ხალხი. ერთმა ნაწილმა მოახერხა გალავნის გარღვევა და ხალხი გაექანა იქით, ვინაიდან შემოსასვლელი კარები კომუნისტებს ეჭირათ, საიდანაც ისინი განაგრძობდნენ სროლას. ხალხი გაიფანტა. ადგილებზე დარჩნენ დაჭრილები და მათი ჭირისუფალნი, რომლებიც დატუსაღებულ და გალახულ იქმნენ. იმ დღეს დაიჭრა ორმოცამდე კაცი, რამდენიმე მძიმედ და მათ შორის ერთი ქალი. ხალხი დაიფანტა თავთავიანთ სოფლებში. ბევრი გავიდა ტყეთ. ბევრი საყვედურს ვამოთქვამდა, რომ მიტინგს არ ჰყავდა შეიარაღებული მცველები და საერთოდ ყველა მოითხოვდა ჭანიშვილის და რამოდენიმე კომუნისტის აუცილებლად მოკვლას. თანახმად ცენტრიდან მიღებული განკარგულებისა, ორგანიზაციებმა მიიღეს ზომები ყოველგვარი უმიზნო გამოსვლის თავიდან ასაცილებლად, ხალხის დასაწყნარებლად და დაჭრილთა ოჯახების დასახმარებლად. მთელი გურია შფოთავდა ამ საზიზღარი აქტის გამო და თვით კომუნისტებში გაისმოდა უკმაყოფილების ხმა. იმ წამსვე მოხსნეს სამსახურიდან ჭანიშვილი და ლომთათიძე და გადაიყვანეს ბათუმში, სადაც ისინი შიშით ნახევრად არალეგალურ ცხოვრებას ეწეოდნენ და თითქმის ერთ ნახევარი წლის განმავლობაში აშკარად ვერ ამოდიოდნენ თავიანთ ოჯა-

ხებში. მიუხედავად მიღებული ზომებისა, ხალხმა მაინც გადასდგა ნაბიჯი ზოგიერთი მეტისმეტად თავგასული ჯალათების ასალაგმავად. ეს ნაბიჯი გამოიხატა იმაში, რომ ერთ მშვენიერ ღამეს გურიის სხვადასხვა თემებში უგზოუკვლოდ „დაიკარგა" რამდენიმე კომუნისტი და მათ შორის ის კომუნისტიც, რომელმაც პირადად ესროლა ყუმბარა ფოჩხის-ჯვარის მიტინგს. ეს იყო ზომა, რომელსაც გურიის ხალხი მიმართავდა უკიდურეს შემთხვევებში მეფის მთავრობის დროს ზოგიერთი პირების წინააღმდეგ. ეს ტერორისტული აქტი მით უფრო საშიში იყო, რომ როგორც უკვე ზევით მოვიხსენიე, ის გამოიხატებოდა აღნიშნულ პირთა მოპარვაში და სრულიად დაკარგვაში.

კომუნისტები იცნობდნენ ამ ზომას და ისიც იცოდნენ, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლა ძნელი იყო. მიუხედავად მათი გამოცდილებისა და სასტიკი ძიებისა, მათ ვერ აღმოაჩინეს ვერც ერთი დაკარგულის გვამი და ვერ ჩაიგდეს ხელში ვერავითარი საბუთი გარკვევით ვინმეზე ბრალდების წასაყენებლად. რასაკვირველია ეს აქტი კომუნისტებმა გურიის ხალხს შემდეგში საერთოდ ძვირად დაუჯინეს, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში არც მათ სძინებიათ მოსვენებით, ვინც გრძნობდა თავის დანაშაულს ხალხის წინაშე, დაღამების შემდეგ სახლიდან ვერ გამოდიოდა და ხშირად თავის ოჯახშიც კი არ ათევდა ღამეს. თავის მხრივ ხალხმა რაღაც გულის მოსაფხანი საშუალება ჰპოვა ამ აქტში და გურიის ორგანიზაციას დიდი შრომა დასჭირდა ზოგიერთი წათამამებული პირების დასაწყნარებლად, რომ მათ ასეთი რამე კიდევ არ ჩაედინათ.

* * *

1922 წლის შემოდგომიდან მთავრობის რეპრესიები ხალხის წინააღმდეგ უფრო და უფრო გაძლიერებულ იქმნა. ხალხი, რომელიც უკვე ოზურგეთის ციხეში იჯდა, გაცხრილულ იქმნა და ბევრი მათგანი გადაიგზავნა თბილისში. თვით მაზრაში დარჩენილებს აღარ აკმარებდნენ ძველებურად 2—3 თვე ციხეში ყოფნას: უმეტესობას აჩერებდნენ 7—8 თვით ყოველგვარი ბრალდების წაუყენებლად. ციხის პირობებიც ერთი ათად გააუარესეს წინა წელთან შედარებით. ყველა თემებში ადგილობრივი ადმინისტრაცია იჭერდა ხალხს და სთხოვდა მათ ჩაებარებინათ იარაღი, ხშირად ისეთ პირებს, რომელთაც ის სრულიად არც კი ჰქონდათ. ამავე დროს სამაზრო ჩეკა ახდენდა

პერიოდულ თავდასხმას სხვადასხვა თემებზედ, უყრიდნენ მცხოვრებლებს თავს და ურდგენდნენ მთელ თემს მოთხოვნილებას ჩაებარებინათ განსაზღვრული რიცხვი თოფის, რევოლვერის და ვაზნებისა. დაგროვილ ხალხს არტყამდნენ ალყას და არ უშვებდნენ სახლში ხშირად რამოდენიმე დღის განმავლობაში, არც აძლევდნენ საჭმლის მოტანის უფლებას. ბევრი არჩევდა მთელი ოჯახის დაღუპვას იარაღი ჩაებარებინა და ასრულებდა მთავრობის განკარგულებას. უბედურება ის იყო, ბევრს მართლაც არ ჰქონდა არავითარი იარაღი, მაგრამ ისინი დაბეზღებული იყვნენ ადგილობრივი კომუნისტების მიერ კერძო შურისძიების ნიადაგზედ და მთავრობა ასეთ პირებს თვლიდა თავის მოსისხლე მტრებად და გზავნიდა ციხეებში, სადაც ისინი ტყუილუბრალოდ ლპებოდნენ თვეების განმავლობაში და ბევრი მათგანი დახვრეტილ იქმნენ საერთო დახვრეტების დროს.

ამ რეპრესიებთან დაკავშირებით მე მაგონდება ერთი შემთხვევა: 1922 წელს, შემოდგომაზე მოვიდა სოფ. ბასილეთში, ოზურგეთის ჩეკის უფროსი მხეიძე ჯარით და მოსთხოვა სოფელს 25 თოფი, სხვებთან ერთად, ერთ ღარიბ გლეხს, მოხუც ლადიმე კოპლატაძეს, რომელიც დაბეზღებული იყო მისი ახლო მეზობლის მიერ, როგორც ყაზახურ „ვინტოვკის“ მქონე. მან ჯერ იუარა თოფის ქონა, მაგრამ როცა მხეიძემ მას მიუთითა, რომ მას აშკარა საბუთი ჰქონდა ამისა, კოპლატაძემ უპასუხა: „კი ბატონო, მართალია მე მაქვს თოფი, სწორედ ისეთი, როგორიც თქვენთვის მოუხსენებიათ. ამ თოფით წინათ მე ვებრძოდი მეფის „სტრაჟნიკებს“ და იმედი მაქვს კიდევ მომიწევს რუსებთან ბრძოლა და თოფსაც ამ დროისათვის ვინახავო“. კოპლატაძე დაატუსაღეს და გარდაიცვალა ოზურგეთის ციხეში. მხეიძემ კი თოფი მაინც ვერ მიიღო. რასაკვირველია მთელ ხალხს ეს არ შეეძლო და მთავრობამ 1922 წლის შემოდგომაზედ ჩაიგდო ხელში უდიდესი ნაწილი იმ იარაღისა რაც გურიის ხალხს დარჩენოდა დამოუკიდებლობის დროიდან. ვინც კი მოახერხა თავისი იარაღის გადარჩენა, ისიც ბევრი დაიჯანგა და გაფუჭდა მოუვლელობის გამო, განსაკუთრებით ვაზნები.

1922 წლის შემოდგომაზედ გურიაში აღგილი ჰქონდა ერთ მოვლენას: ერთ საღამოს მთელს მაზრაში დატუსაღებულ იქმნენ ყოფილი ტყის მცველები, მწყემსები და შორეულ წარსულში საქონლით მოვაჭრე პირები და ჭალია-აჭარის მთებზედ მავალი, უმეტესად ხანში შესული ხალხი და სრულიად პოლიტიკის გარეშე მყოფნი. ყველგან ერთნა-

ირად, გამოპყავდათ სახლებიდან და იქვე, თავიანთი ეზოს ახლო ხვრეტდნენ. თავის ახალგაზრდობაში რომ რაიმე დანაშაული კიდევაც ჰქონოდათ ჩადენილი ამ ხალხს, ნუთუ ამიტომ დახვრიტა საბჭოთა ხელისუფლებამ ისინი თითქმის 20—30 წლის შემდეგ?

თუ მთავრობას სურდა ამითი მოსახლეობის დაშინება ერთი მხრივ და თავისი ადმინისტრაციის გაწაფვა ხალხის ხვრეტაში მეორე მხრივ? ეს პატარა „მიზანსცენა“ ხალხმაც ასე გაიგო.

იმავე თვეებში საოკუპაციო ხელისუფლებამ გადაასახლა საზღვარგარეთ ერთი ჯგუფი ქართველებისა, რომელშიც ბევრი იყვნენ ოზურგეთის მაზრიდან. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საქართველოს თითქმის ყველა ქალაქებში იმყოფებოდნენ გურულები სხვადასხვა სამსახურში და ბევრი მათგანი იქვე განიცდიდა რეპრესიებს, ადვილი გასაგებია თუ ყველა ეს უბედურება რა სიმძიმედ აწვა ისეთ აპატარა კუთხეს, როგორიც არის გურია. ამავე წლებში მთავრობამ სისხლში ჩაახრჩო ხევსურეთის და სვანეთის აჯანყებები. მთელი გურიის ხალხი უსაზღვრო მწუხარებით უყურებდა ამ ამბებს, მაგრამ, რორგორც დანარჩენ საქართველოს, მასაც სწამდა, რომ ასე განაპირა კუთხეებში ხალხის მიერ წამოსროლილ აჯანყებას მთავრობა ადვილად შემოფარგლავდა და დაამარცხებდა. სხვადასხვა მიზეზების გამო საერთო აჯანყების პირობები მთელს საქართველოში ჯერ მზად არ იყო და სოც. დემოკრატიული პარტიის ცენტრი თბილისიდან მოუწოდებდა გურიის ხალხს არ მიეცათ საბაბი საბჭოთა მთავრობისთვის ხალხის გასაჟლეტად. მიუხედავად ცენტრის დარიგებისა და თავის ხელმძღვანელების სიფრთხილისა, გურიამ მაინც ვერ აიცილა თავიდან ის უბედურება, რომლის წინაშეც უბრალო თამაში აღმოჩნდა მის მიერ აქამდის ნანახი საბჭოთა მთავრობის „საქმიანობა“.

ჩემი მოგონების დასაწყისში მე ვახსენე, რომ საბჭოთა მთავრობა შეეცადა, თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა ისეთი ხალხი, ვინც დამოუკიდებლობის დროს ცხენში იჯდა ან დევნილი იყო საქართველოს მთავრობის მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის გამო. ბევრი მათგანი დიდი ხნიდან ცნობილი იყვნენ გურიაში, როგორც მეტისმეტად თავზე ხელაღებული ხალხი. ისინი მიდიოდნენ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში და სძარცვავდნენ ბანკებს, დაწესებულებებს და კერძო პირებს. უნდა ითქვას, რომ გურიაში მათ არასოდეს არ ჩაუდენიათ ისეთი რამ, რასაც ქურდ-ბაცაცობა ეწოდება. მიუხედავად მათი თავდაჭერისა გურიაში, ხალხი მათ ენერგიულად ებრძოდა ჯერ კიდევ მეფის

მთავრობის დროს და განსაკუთრებით დამოუკიდებლობის ხანაში. ყველას ახსოვს თუ როგორ დაიჭირა გურიის ხალხმა დამოუკიდებლობის დროს, ეგრეთ წოდებული მანწყავას ჯგუფი, რომელმაც შავ ზღვაზედ გაძარცვა გემი. ეს ჯგუფი თითქმის მთლად გურულებისგან შესდგებოდა და ამიტომ გემის გაძარცვის შემდეგ გურიას შეაფარეს თავი. მათ დაედევნა მთელი სოფლები და ეს ხალხი დატუსაღებული იქმნა. სასამართლომ ბევრ მათგანს დიდი ხნის ციხე მიუსაჯა და ისინი განთავისუფლებულ იქმნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ. აი, ამ ხალხს მიმართა სამაზრო ხელისუფლებამ. ისინი ჩარიცხულ იქმნენ სამაზრო ადმინისტრაციაში, ჩეკაში და სხვა დაწესებულებებში. მათ მიუმატეს ბევრი უპარტიო, იარაღის მოყვარული და ყოველგვარი ავანტიურის მაძიებელი ახალგაზრდა და ამრიგად შეადგინეს კარგად მოზრდილი ჯგუფი, დაახლოებით 80 კაცამდე. პირველად ეს ხალხი მთავრობამ გამოიყენა აშკარად 1921 წელს საღდგომოდ ს. მათითაიშვილის წინააღმდეგ, რომელიც თითქმის ოცი წლის განმავლობაში ებრძოდა გურიაში ყველა მავნე ელემენტებს სხვა ამხანაგებთან ერთად ხალხის დავალებით. ისინი დაესხნენ მას თავზედ თავის სახლში, მაგრამ მათითაიშვილმა მათ გაასწრო და მათი განზრახვა ჩაიშალა. ამ პირებისგან შესდგებოდა აგრეთვე ის რაზმი, რომელმაც ალყა შემოარტყა ქალაქ ოზურგეთში 1921 წელს 26 მაისის მიტინგს.

რამოდენიმე უნაყოფო ცდის შემდეგ, მთავრობამ ამოარჩია ამ ჯგუფიდან რამოდენიმე პირი და დაავალა მათ ჩუმად ზოგიერთი პირების მოკვლა. ერთი ამ ყაჩაღთაგანი ჩიგოგიძე მოკლულ იქმნა და მას ჯიბეში აღმოაჩნდა 25 კაცის სია, რომლებიც უნდა მოეკლათ, ვითომც კერძო ინტერესების გამო. არალეგალურ ორგანიზაციებს და ხალხს ძალიან ეშინოდათ ასეთი პირების. როგორც გურიის მკვიდრნი, ისინი კარგად იცნობდნენ ყოველ ბილიკს, ყველა ცნობილ თავშესაფარ კუთხეებს დეენილი ხალხისას და თუ ისინი მოინდომებდნენ, ბევრი ხალხი გახდებოდა მათი ტყვიის მსხვერპლი. უნდა ითქვას მათდა სასახელოდ, რომ მათ არც ერთი დავალება საბჭოთა მთავრობისა არ შეასრულეს. პირიქით, ძალიან ხშირად ატყობინებდნენ ხალხს მომავალ რეპრესიებს და კერძო პირებზედ ჩეკის თავდასხმას.

სცხოვრობდნენ ქ. ოზურგეთში, ღებულობდნენ ჯამაგირს, ქეიფობდნენ ქალაქში და არ ემორჩილებოდნენ მილიციას. ხშირად კიდევაც სცემდნენ ბევრ კომუნისტებს, ვინც კი მათ არ მოსწონდათ. დრო გამო-

შვებით რამდენიმე მათგანი წავიდოდა საქართველოს სხვა ქალაქებში, დაგვებოდნენ სამსახურში, გაძარცვავდნენ ამა თუ იმ დაწესებულებას და ამ „ნადავლით" ჩამოვიდოდნენ ოზურგეთში, სადაც გაიმართებოდა ქეიფი, თოფის სროლა ქუჩაში და მილიციელების ცემა-ტყეპა. საბჭოთა მთავრობა თავისი საძაგელი პოლიტიკით იმდენად ჩათრეული იყო ამ ხალხთან, რომ ის იძულებული იყო მათგან ყოველივე მოეთმინა და აშკარა ნაძარცველები, გუშინ ტყეთ გავარდნილნი, დღეს ისევ შეეფიგებინა დანარჩენების მოთხოვნით. მათი თავგასულობა იქამდის მივიდა, რომ მთავრობის მაგიერ ისინი იყვნენ სრული ბატონ-პატრონი ქ. ოზურგეთში. როცა ერთი ნახევარი ქალაქში ქეიფობდა, მეორე ნახევარი იარაღში შანსნდარი ქალაქგარეთ ფრთხილად იყო, და ამრიგად ადმინისტრაციას არ შეეძლო მოულოდნელად და ერთიანად მათი დატუსაღება. მათმა ასეთმა თავგასულობამ ბევრი არაყაჩაღი, პატიოსანი, მაგრამ გატაცებული ახალგაზრდა აიყოლია. მათაც მიყვეს ხელი მილიციელების ცემა-ტყეპას, იარაღის აშკარად ტარებას. ამრიგად, ეს ჯგუფი უფრო გაიზარდა.

საბჭოთა მთავრობა თითქმის ორი წლის ცდის შემდეგ დარწმუნდა თავისი იმედების გაცრუებაში ამ ჯგუფის ხალხის წინააღმდეგ გამოსაყენებლად. მან გადაწყვიტა საამისოდ საგანგებოდ და საიდუმლოდ მოწვეული კომუნისტური პარტიის კრებაზედ მისი მოსპობა. სამაზრო ხელისუფლებამ გაგზავნა კაცი თბილისში მთავრობასთან და ჩეკასთან მოსალაპარაკებლად. მათ შეუძლებლად მიიჩნიეს მთელი ჯგუფის ერთად ხელში ჩაგდება ოზურგეთში და გადაწყვიტეს რამენაირად მათი გაყვანა გურიიდან. ამ მიზნით მათ დაავალეს ოზურგეთის ხელისუფლებას ეცნობებინათ ჯგუფის მეთაურებისათვის, რომ ისინი ინიშნებიან მცველებად მატარებელზედ ბათუმსა და ბაქოს შორის. საერთოდ ამ ჯგუფს მეთაურობდა რამდენიმე კაცი, მაგრამ პირველი მათში იყო გ. ღლონტი და მთავრობაც მასთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. ღლონტმა მთავრობის წინადადება აცნობა თავის ამხანაგებს. მათ ეუბნა-აიღეს მთავრობის განზრახვაზედ, მაგრამ ეს არ შეიმჩნიეს და დასთანხმდნენ, მხოლოდ მათი მომავალი სამსახურის პირობების გამოსარკვევად მათ მოითხოვეს უფლება გაეგზავნათ თბილისის ჩეკაში თავისი კაცი, ვინაიდან მთავრობის სიტყვით ეს რაზმი უნდა ყოფილიყო ჩეკას განკარგულებაში. გაგზავნილ იქმნა ე. კვაშალი, რომელიც მთელი ჯგუფის სახელით დასთანხმდა ჩეკის წინადადებას, იმ განსხვავებით, რომ ისინი ივლიდნენ მხოლოდ ბათუმსა და თბილისს შორის. ჩეკაც თავის მხრივ

დაეთანხმა ამ წინადადებას.

ამრიგად, ამ შეთანხმების შემდეგ, ღლონტმა გაიყვანა ოზურგეთიდან თავისი ამხანაგები, ჩავიდნენ ლანჩხუთში და მოთავსდნენ მათთვის საგანგებოდ მიჩნეულ ვაგონებში. საბჭოთა ხელისუფლების ზოგიერთ პირებს, უნდოდათ მაშინვე მოეწყოთ მათი ჟლეტა, მაგრამ უმეტესობა არ დასთანხმდა, ვინაიდან შეეშინდათ, რომ ძალების სიმცირის გამო ყაჩაღები მათ მოერეოდნენ. თანახმად დადებული პირობისა, როცა ჯგუფის ერთი ნახევარი ბათუმისაკენ წავიდოდა, მეორე უნდა ყოფილიყო შორაპანში, სადაც მათ ენიშნებოდათ მუდმივი ბინა, და როცა პირველი ნახევარი დაბრუნდებოდა ბათუმიდან, მას გამოცვლიდა მეორე და გაყვებოდა მატარებელს თბილისამდის. ამ დროს შორაპანში სამხედრო კომისრად იყო ზემოხსენებული მანწკავა, ყოფილი ოფიცერი და ყოფილი ყაჩაღი. ის იქმნა დაბარებული თბილსში ჩეკის მიერ, როგორც საბჭოთა მთავრობისათვის მეტად სანდო პირი და მას ჩეკამ გააცნო თავისი განზრახვა ყაჩაღების დახოცვის შესახებ. ვინაიდან მანწკავა იყო ყოფილი ამხანაგი ღლონტისა და ბევრი სხვების, მას დაეკალა დაეგროვებინა ისინი ერთ და იმავე დროს შორაპანში ისე, რომ ღლონტს ეჭვი არ აეღო და ნელ-ნელა მოემზადებინა ადგილობრივი კომუნისტები.

დანიშნულ დროს უნდა ჩამოსულიყო თბილისიდან ობოლაძე ქართული ჯარის ორი გუნდით და შეერთებული ძალით მოეხდინათ ყაჩაღების განიარაღება და შემდეგ დახვრეტა.

მანწკავამ ეს დავალება მიიღო, მაგრამ, როცა შორაპანში ჩამოვიდა, იმ წამსვე დაიბარა ღლონტი და აცნობა მას საქმის ვითარება. თან დაუმატა, რომ ასეთი ღალატის ჩადენა მას არ შეეძლო და ამავე დროს ამ საიდუმლოების გაცემისათვის მას არ ასცდებოდა დახვრეტა. აბიტომ ეან გასწირა თავისი მდგომარეობა და სიცოცხლეც და შეუერთდა ღლონტის ჯგუფს. მისივე განკარგულებით მათ განიიარაღეს შორაპნის კომუნისტები, წაართვეს ორი ლუისის ტყვიის მფრქვეველი, გაძარცვეს ფოსტა და სხვა დაწესებულებები და სასწრაფოდ გაემართნენ ფეხით გურიისაკენ იმერეთ-გურიის მთებით. ობოლაძემ სდია მათ, მაგრამ ვერ მოუკრა გზა, დაბრუნდა რკინის გზაზედ, ჩასხა თავისი რაზმი მატარებელში და საჩქაროთ გაექანა ოზურგეთისაკენ. ამავე დროს მან აცნობა ოზურგეთის ხელისუფლებას მოეხდინათ თავინათი ძალების მობილიზაცია და შეეკრათ გზები ყაჩაღებისათვის სანამ ისინი გურიაში ჩავიდოდნენ და გაიფანტებოდნენ.

სამაზრო ხელისუფლებამ სასწრაფოდ შეკრა ყველა ის გზები, რომლებიც გადმოდიან გურიაში იმერეთიდან, იმერეთ-გურია-აჭარის მთების ხაზზედ. ამ ადგილებში ამ დროს უკვე დიდი თოვლი იყო. ღლონტის რაზმი ჩაცმული იყო მეტად მსუბუქად, არ ჰქონდათ საჭმელი და ჰყავდათ ავადმყოფები. მიუხედავად ყოველივე ამისა ღლონტმა გაფანტა კომუნისტების რაზმები, დაჰყო თავისი რაზმი ჯგუფებად და დაეშვა გურიაში, სადაც ყველა მათგანმა მიაშურა თავ-თავის სოფელს. მათ დაკარგეს მხოლოდ ერთი კაცი, გვარად ლოლაძე, რომელიც ტიფით იყო ავად და დატოვებულ იქმნა სოფ. ზოტში ქართველ მუსულმანისას. ის მოჰკლეს კომუნისტებმა რამოდენიმე დღის შემდეგ.

ამგვარად, გურია გაიესო ერთი მხრივ ამდენი შეიარაღებული დევნილებით და მეორე მხრივ ობოლაძის რაზმით, რომელიც გაძლიერებულ იქმნა რუსის ქვეითთა და ცხენოსანთა ჯარით; აგრეთვე მთელი გურიის კომუნისტებით, რომლებიც დღე და ღამ თოფ ქვეშ იყვნენ. ობოლაძემ მოსვლისთანავე აიღო შეურიგებელი გეზი: მან დაიჭირა და დახვრიტა ადგილზევე ყველა ის ხალხი, ვინც რაიმე დახმარება გაუწია ყაჩაღებს, თუნდაც საკუთარი სურვილის წინააღმდეგ. მაგალითად: მწყემსები, რომელთა დანაშაული იმაში გამოიხატა, რომ ამ დროს ისინი იყვნენ მთების კალთებზედ და ყაჩაღებმა ისარგებლეს მათი კარვებით და სურსათით. ასეთი უბრალო ხალხი, უნებლიედ ხელის შემწყობნი ან მეგზურნი, გახდნენ ობოლაძის პირველი მსხვერპლი გურიაში. ობოლაძე დაესხა თავს აგრეთვე მანწკავას ოჯახს, დასწვა. სახლი და თავისი ხელით შეაგდო ცეცხლში მანწკავას ახალგაზრდა ბიძაშვილი. თითქმის ბავშვი და დასწვა. მან შეირიგა ორი-სამი კაცი ღლონტის ჯგუფიდან, შემდეგ აწამა ჩეკაში და ამრიგად მიიღო ცნობები ყველა იმათ შესახებ ვინც რაიმე დახმარებას უწევდა ყაჩაღებს. აღმოაჩინა ღლონტის მიერ გადამალული ორი ტყვიის მფრქვეველი და იქაც დახვრიტა რამოდენიმე კაცი სრულიად გარუკითხავად. შემდეგ გამოირკვა, რომ გარდა ერთისა, სხვებმა არაფერი იცოდნენ ამ საქმეზე. ჩააყენა ეკზეკუციები ყველა სოფლებში, ხალხის ბინებში და ხალხის ხარჯზედ. ახდენდა კრებებს და სთხოვდა ხალხს დახმარება გაეწიათ მისთვის ყაჩაღების წინააღმდეგ დევნაში. ურჩობისათვის მიუთითებდა იმ მაგალითებზედ, რაც მან ჩაიდინა გურიაში ჩამოსვლის შემდეგ. მისი გამოსვლა კრებებზედ იყო ყოვლად უხეში, ლანძღვა-გინებით სავსე. ამათრახებდა თავის ხელით ვინც არ მოსწონდა ღა გზავნიდა საშაზრო სატუსაღოში.

გურიის არალეგალური ორგანიზაციების ხელმძღვანელობა დადგა მეტისმეტად რთული საკითხის წინაშე: ეს ყაჩაღები დღიდგან საქართველოს დაპყრობისა იყვნენ საბჭოთა მთავრობის სამსახურში, დღეს ისინი გადაიქცნენ მის მოსისხლე მტრად. მთავრობა თავისი ბილწი პოლიტიკით დარჩა ზნეობრივად შერცხვენილი ხალხის წინაშე და ამასთანავე სასაცილოდ დამარცხებული თავის განზრახვებში ყაჩაღების მიმართ. დღეს ის გამოდის და ხალხს სთხოვს დახმარებას და ანადგურებს მათ ვინც მას მისი აზრით წინ ეღობება. ყაჩაღებს ჰყავთ მშობლები, ნათესავები, მეზობლები, ნაცნობები, დადიან ჯგუფებად 4—5 კაცი, და სარგებლობენ ამ ხალხის ბინით, საჭმელით და ტანისამოსით. ხალხმა იცის, თუ რა მოელის ყაჩაღის შენახვისათვის, მაგრამ მაინც უწყობს მას ხელს. ხშირად მისდა უნებურად. წარმოიდგინეთ გლეხი, რომელსაც გათენებისას ესტუმრა 4—5 ყაჩაღი, თუნდაც უცნობი, რა უნდა ჰქნას მან? ჯერ ერთი, მას არ შეუძლია გამოვიდეს სახლიდან, რომ სურდეს მათი დაბეზღება და ეს რომც მოახერხოს, ხომ გაიყლიტა მთელი ოჯახი სროლის დროს? თუ ის აცნობებს მთავრობას ყაჩაღების წასვლის შემდეგ, მთავრობას არ სჯერა მისი გულწრფელობა და ხვრეტს მას, სახლს უნგრევს, საქონელს ართმევს, ქალებს ატუსაღებს და ერთი სიტყვით მთელ ოჯახს ანადგურებს. ამავე დროს მთავრობა და მთელი მისი პოლიტიკა ხალხს სძულს, ეზიზღება და მისი ტრადიციის მიხედვით მისი სიპატია იმათ მხარეზეა, ვინც ამ მთავრობას აწუხებს. ვინც ასე თუ ისე მათ ებრძვის.

ამ მხრივ ყაჩაღები მეტის მეტად თავგასული იყვნენ: დადიოდნენ სოფლებში აშკარად, ისროდნენ თოფებს, სცემდნენ კომუნისტებს და ართმევდნენ იარაღს. მათ არ ესმოდათ თავინთი ნაბიჯის სიმძიმე და არც არალეგალურ ორგანიზაციებს შეეძლოთ მათი ჭკუაზედ დარიგება. ერთი იმიტომ, რომ ისინი მაინც თავის ჭკუაზედ დადიოდნენ და მეორედ და უმთავრესად იმიტომ, რომ საბჭოთა მთავრობა ეძებდა საბუთს, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის დაემტკიცებინა ყაჩაღებთან კავშირი და ვინ იყო იმისი თავდები, რომ ესა თუ ის ყაჩაღი ხვალ ისევ ჩეკისტი არ გახდებოდა? რეპრესიები გრძელდებოდა, ხალხი ეკონომიურად ნადგურდებოდა, ორგანიზაციები იშლებოდა, იარაღები იკარგებოდა და საფრთხეში ვარდებოდა პოლიტიკურ შეიარაღებულ თუ უიარაღო დევნილთა ბედი.

ხალხი წათამამებული ყაჩაღების გულადობით და აღშფოთებული ობოლაძის სიმხეცით უფრო და უფრო თანაგრძნობას უწევდა პირველთ.

ადვილი წარმოსადგენი იყო თუ რით გათავდებოდა ამ ორი ძალის ჭიდილი. გურიის არალეგალური ორგანიზაციების სამაზრო კომიტეტმა გასცა განკარგულება თავის ორგანიზაციებში, მორიდებოდნენ ყოველივე პროვოკაციას და გადაერჩინათ თავისი ძალები. თვით კომუნისტებშიც იყვნენ ისეთები, რომლებიც მეტის მეტად უკმაყოფილო იყვნენ ობოლაძის პოლიტიკით, მაგრამ ისინი ვერაფერს გახდნენ. ობოლაძის მკვლელობის შემდეგ, ამ ნაწილმა უკმაყოფილო კომუნისტებისა, მიმართეს წერილობით, რასაკვირველია საიდუმლოდ, გურიაში დამსჯელი ექსპედიციის უფროსს ი. ტალახაძეს, სადაც უხსნიდნენ მას ობოლაძის აღვირახსნილ პოლიტიკას და სიმხეცეს, რაც გურიაში სრულიად გამოუსადეგი, უმიზნო და პირიქით, მავნებელი იყო. აფრთხილებდნენ მასაც. მაგრამ შედეგი ამას, რასაკვირველია, ხალხის სასარგებლოდ არაფერი არ მოუტანია, შეიძლება კი პირიქით.

ობოლაძე კარგად იცნობდა გურიის სოფლებს იმ დროიდგან, როცა ის თვით იყო ყაჩაღად მეფის მთავრობის დროს. დათარეშობდა ყველა იმ კუთხეებში, სადაც ადგილმდებარეობის მხედვით ყაჩაღისათვის ადვილი იყო თავის შენახვა. მოუყრიდა ხალხს თავს თემებში და ქუჩური ლანძღვა-გინების შემდეგ ავალებდა: „გადაეცით ყაჩაღებს, მე დღეს მივდივარ ამ სოფელში და თუ ლაჩრები არ არიან დამხვდნენ გზაზეო“. სოფელ ასკანაში, რომელიც მუდამ ცნობილი იყო, როგორც დევნილების ბუდე, მან მიმართა ხალხს ასეთი სიტყვებით: „ამდენი ხანია გურიაში ვარ, დღე და ღამე დავდივარ და ერთს ყაჩაღს ვერ შევხვდი. ასეთი ლაჩრები არიან და თქვენ კი მათ ბინას აძლევთ, ისინი კი თქვენს ცოლ-შვილს ნამუსს ხდიანო“. აღელვებული ხალხიდან გამოვიდა ერთი მოხუცი, და მიმართა ობოლაძეს: „ბიძია, არ დაგავიწყდეს, რომ გურიაში ხარ, იცოდე, რომ აქ მასეთ შეურაცხყოფას არ შეგარჩენენო.“ ობოლაძემ უპასუხა: „შენ ალბათ კავშირი გაქვს ყაჩაღებთან. მე შენ არ დაგიჭერ იმ პირობით, რომ ჩემს სიტყვებს მათ გადასცემო“. (ეს მოხუცი ობოლაძის მკვლელობის შემდეგ დააპატიმრეს და რამოდენიმე თვეს იჯდა ციხეში. გადარჩა დახვრეტას, როგორც მოხუცი და მთელს მაზრაში ცნობილი თავისი სიმართლით და პატიოსნებით). ობოლაძემ დაიჭირა გიორგი ღლონტის მეუღლე და რამდენიმე დღის შემდეგ გაუშვა ასეთივე დავალებით მისი ქმრის მიმართ. ობოლაძის უსინდისობა და თავგასულობა იქამდისაც მივიდა, რომ იმ თემებში სადაც ის თავს ინახავდა დევნილობის დროს (ლიხაურში და სხვ.), განსა-

კუთრებული სისასტიკით ემუქრებოდა იმ ოჯახებს, სადაც ის იმალებოდა; იმ მოტივით, რომ აღბათ ეხლაც თქვენა ხართ ყაჩაღების შემნახველიო.

ამავე ხანებში ყაჩაღებმა მოჰკლეს მაზრის ცხენოსანი მილიციის უფროსი კომუნისტი მდინარაძე, ყოვლად საზიზღარი პიროვნება. ობოლაძე ამან უფრო გაახელა და უფრო და უფრო მოუმატა რეპრესიებს. ამრიგად ობოლაძეს და ყაჩაღებს შორის გაიმართა ნამდვილი დუელი, შუაში კი ისრისებოდა ხალხი. არალეგალური ორგანიზაციები უძლური იყვნენ რაიმე გაეკეთებინათ. ეს ორი ძალა ეძებდა ერთმანეთის შეხვედრას: ობოლაძე თავის ძლიერებაში დარწმუნებული, ყაჩაღები ჩიხში მიმწყვდეული, შურის ძიების ნიადაგზე შემდგარი და გათამამებული იმით, რომ მათი აზრით მთელს გურიას სურდა ობოლაძის სიკვდილი. ეს შეხვედრაც მოხდა 1923 წლის თებერვალში, ოზურგეთის მახლობლად, ოზურგეთ-ლიხაურის გზაზედ.

ნაწილი II

1923 წელი გურიაში

ობოლაძის რაზმი იმ დღეს იდგა სოფ. ლიხაურში, თვითონ კი იყო ქ. ოზურგეთში. ყაჩაღები უცდიდნენ შემთხვევას თუ როდის გაემართებოდა ის ოზურგეთიდან რომელიმე სოფლისაკენ. ობოლაძე არ ენდობოდა არც ერთ თავის ხელქვეითს, და როცა ის განაცხადებდა, რომ დღეს ის ამ რაიონში მიდის, სინამდვილეში სრულიად სხვა ადგილას წავიდოდა. ამ დღესაც ყაჩაღები მას ერთი მიმართულებით ელოდნენ, მაგრამ გაიგეს, რომ ობოლაძე ჩაჯდა ეტლში მხოლოდ ორი კაცის თანხლებით და გაემგზავრა ლიხაურში თავის რაზმისაკენ. მისი დაწევა უკვე გვიანი იყო. ყაჩაღებმა გადასჭრეს თითქმის მთელი ოზურგეთი ნაშუადღევის სამ საათზედ და გავიდნენ ლიხაურის გზაზედ, იმ

იმედით, რომ საღამოს ობოლაძე დაბრუნდებოდა ისევ როგორც წავიდა, ან ცოტა მეტი ამალით. ღლონტის ჯგუფი შესდგებოდა სულ 12 კაცისაგან. მათ საფარად ამოირჩიეს ლიხაურის გზაზედ გათხრილი ძველი სანგრები. ეს დღე იყო პარასკევი, როცა ოზურგეთში იმართება ბაზრობა. ბევრი ლიხაურელი მცხოვრები წააწყდა თავზედ ჩასაფრებულ ყაჩაღებს. ღლონტმა ისინი ერთხანს არ გაუშვა იმ შიშით, რომ ვინმე აცნობებდა მთავრობას მათ აქ ყოფნას, მაგრამ იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი, რომ მათი გაჩერება ყოველად შეუძლებელი გახდა. ხალხი მიხვდა თუ რისთვის იყვნენ აქ ჩასაფრებულები და პირიქით, ამხნევებდნენ მათ: „ღმერთმა ხელი ჰოგიმართოთ, გაგვიშვით, არავინ გაგცემთ, ობოლაძე ყველაფრის ღირსიაო.“

ეს ხალხი დაბრუნდა ლიხაურში და არც ერთი მათგანი არ აღმოჩნდა, რომ მთავრობა ან ობოლაძე გაეფრთხილებინოს, იმდენად ძლიერი იყო ხალხში ობოლაძისადმი სიძულვილი. მისმა სიმხეცემ ხალხს ყოველგვარი სიფრთხილის გრძნობა დაუკარგა და არავინ ფიქრობდა იმას, თუ მის მოკვლას რა მოჰყვებოდა.

ობოლაძემ გამართა ლიხაურში ქეიფი. დასწვა ორი ოჯახი. დააპატიმრა ერთი გლეხი, ხავთასი თავისი შვილით, მოხსნა მთელი თავისი რაზმი და გაემართა ოზურგეთისკენ. ეს რაზმი შესდგებოდა ერთი რუსული ესკადრონისაგან, ერთი ქართული გუნდისა და მილიციის ნაწილებისაგან. ქართული გუნდის უფროსები იყვნენ ორი ქართველი ოფიცრები: სანიკიძე და ჩუბინიშვილი. ამრიგად, ღლონტის ანგარიში არ გამართლდა და მათ დაურჩათ საქმე ამოდენა ძალასთან. წინ მოდიოდა რუსის ესკადრონი, უკან რამოდენიმე მანძილზე ეტლი, რომელშიდაც ისხდნენ ობოლაძე, სანიკიძე და ჩუბინიშვილი და წინ ედგათ დიდი ჩაფით (გურული ჭარიკა) ღვინო, უკან კი ქართული ნაწილები მოსდევდა. ამდენი ძალების დანახვაზე ყაჩაღებში რყევა დაიწყო: ვესროლოთ თუ არაო. ღლონტი არ დაიბნა და უთხრა მათ, რომ ეხლა თავის შველაზედ ლაპარკი ზედმეტია და გაქცევით უფრო საფრთხეში ჩავაგდებთ თავს, ვიდრე შეტევითო. ეს იყო სულ წუთის საქმე. მათ განაბეს სული და ესკადრონი სულ ახლოს მოუშვეს, რომ ობოლაძე დაენახათ. მას იცნობდა პირადად მხოლოდ ერთი მათგანი, გვარად სირაძე. გამოჩნდა ეტლი და სირაძემაც აცნობა თავის ამხანაგებს ობოლაძის შიგ ყოფნა და უთხრა: „თქვენ გინდ ესროლეთ და გინდ არაო“ და მოემზადა სასროლად. მაშინვე გავარდა 12 კაცის თოფი და სანიკიძე და ჩუბინიშვილი უსულოდ დაეცნენ ძირს. ობოლაძე კი, დაჭრილი გადახტა ეტლი-

დან, ამოეფარა გზის პირას დაყრილ მოსაკენჭ ქვის გროვას და დაიწყო მაუზერიდან სროლა. ყაჩაღების ერთმა ნაწილმა დაუშინა რუსებს, რომლებიც ცხენებიდან ჩამოხტნენ და მიწაზედ დაწვნენ. ღლონტი ამოვარდა საფარიდან და ერთი კაცით გაექანა ობოლაძისაკენ. ობოლაძემ იშვიათი ვაჟკაცობა გამოიჩინა და კიდეც დასჭრა ღლონტი მსუბუქად ყელში, მაგრამ ამ უკანასკნელმა ხელის ყუმბარა დაახეთქა თავზედ, მივარდა, ერთი ტყვიაც დაახალა, იარაღი აპყარა და მიუბრუნდა რუსებს, აუტეხა სროლა და საშუალება მისცა პირველ ჯგუფს გასულიყო მახლობელ გორაკზედ, საიდანაც იმათ ხელახლა გახსნეს ცეცხლი და ღლონტმაც უშველა თავს. ამრიგად, ისინი გავიდნენ ამ საქმიდან სრულიად უვნებლად. ყველაფერი ეს მოხდა ისე სწრაფად, რომ რუსებმა თოფის გასროლაც კი ვერ მოახერხეს, და უკან მომავალი ჯარი-კი ხელმძღვანელობას მოკლებული, დაიბნა და დროზედ ვერ მოეხმარა თავის უფროსებს. მთელი რაზმი ისეთი მთვრალი აღმოჩნდა, რომ სროლის ხმაზედ ოზურგეთიდან მოსულმა მილიციამ მოუსწრო მათ სრულიად დაბნეულებს. რუსებს ცხენები მიეტოვებინათ და ღამის სიბნელეში ერთმანეთს ვეღარ სცნობდნენ. საშინელი არეულობა იყო. იმასაც კი ვერ ამბობდნენ თუ როგორ მოხდა თავდასხმა. ჩაფიც არ დაენდოთ ყაჩაღებს და მისი ნამსხვრევები ჩვენებს სასაცილოდ დარჩათ და კომუნისტებს კი სამარცხვინოდ.

* * *

აი, ამნაირად დაიწყო, განვითარდა და დასრულდა საბჭოთა ხელისუფლების ორი წლის მოღვაწეობა გურიაში. ამ ხნის განმავლობაში ბევრის სიცოცხლე, ოჯახი და თავისუფლება გახდა მსხვერპლი სოციალიზაციო ხელისუფლების უმსგავსო პოლიტიკისა და როცა ეს პოლიტიკა სამარცხვინოდ დამარცხდა, მთავრობამ ეს მარცხი გურიის ხალხს დააბრალა, სიბარულით ჩასჭიდა ხელი დიდი ხნის ნანატრ საბაბს და აშკარად შეუდგა ხალხის განადგურებას. მოპკლეს ობოლაძე და მთავრობა იმავე დღეს შეუდგა რეპრესიებს: პირველ ყოვლისა დასწვეს და გაანადგურეს იმ ყაჩაღთა ოჯახები, რომლებიც ოზურგეთში და მის მიდამოებში სცხოვრობდნენ. მეორე დღიდანვე შეუდგნენ მთელს მაზრაში ასევე სახლების დაწვას ან დაშლას და წაღებას. იმავე საღამოს გამოიყვანეს ოზურგეთის სატუსაღოდან 13 კაცი, წაიყვანეს ობოლაძის მკვლელობის ადგილას და იქვე დახვრიტეს. ბევრი მათგანი უკვე დიდი

ხნიდან იყვნენ დატუსაღებულნი და არც კი იცოდნენ თუ რა ხდებოდა გარეთ. ამავე რიცხვში დახვრიტეს სრულიად უდანაშაულოდ 20 წლის ისიდორე კალანდაძე, სოფ. ხიდისთავიდან, რომელიც ჯარში გაწვევამდე თავის სოფელს არ მოსცილებია და იმ დროს შვებულებიდან ბრუნდებოდა. წაავლეს ხელი და განუკითხავად დახვრიტეს სხვებთან ერთად. დახვრიტეს აგრეთვე ლიხაურიდან ობოლაძის მიერ წამოყვანილი გლეხი ხავთასი თავისი შვილით.

რამდენიმე დღეში ჩამოვიდა თბილისიდან ჯალათი ტალახაძე და შეუდგა თავის საქმიანობას. თვით ტალახაძე მოთავსდა ოზურგეთში თავისი შტაბით. მთელს მაზრაში ჩააყენა რუსის ჯარის ნაწილები, შეკრა შთის კალთები, რომ ყაჩაღებს გურიიდან გასვლა არ შესძლებოდათ და შეუდგა მეთოდურად მათ მოსპობას. მეორე მხრივ მან მოიტანა სასტიკი შეტევა პოლიტიკურ ხალხზედ. უნდა აღვნიშნო, რომ ობოლაძის მოკვლამდის მთელს საქართველოში ბევრი ხალხი იქმნა დახვრეტილი საოკუპაციო მთავრობის მიერ, მაგრამ ყველა ესენი იხვრიტებოდნენ როგორც მხედრები, შეთქმულების მომწყობნი, ან როგორც ჩოლოყაშვილის და სვანეთის მოძრაობებთან კავშირის მქონენი, ან წარსულში კომუნისტების წინააღმდეგ ცნობილი მებრძოლნი. ერთი სიტყვით ყოველგვარი ბრალდებით, გარდა ერთისა: რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრობისათვის. აქამდის საოკუპაციო ხელისუფლება გაურბოდა ამ ბრალდებით ხალხის ხვრეტას. მით უმეტეს, რომ ათასი სხვადასხვა ხრიკებით ის მაინც ახერხებდა თავისი მიზნის მიღწევას. ეხლა კი სრულიად აშკარად დააყენეს პოლიტიკური პარტიების განადგურების გზას. ამ გზაზედ ტალახაძის პირველი მსხვერპლი გახდა ოზურგეთში ორი სოციალ-დემოკრატი: ერთი მოხუცი გლეხი, პარტიის ძველი წევრი, იშვიათი პატიოსანი ადამიანი, სამსონ ქავჟარაძე. ის გამოიყვანეს ციხიდგან და შეიყვანეს ჩეკის სარდაფში. იქ მას წარუდგინეს გამზადებული წერილი ხელის მოსაწერად, რომლითაც მას უნდა ეღიარებინა ობოლაძის მკვლელობა სოციალ-დემოკრატების მიერ მოწყობილ ტერორისტულ აქტად, დაეგმო ეს პარტია, ეცნო რომ საქართველოში მოხდა გასაბჭოება თვით ხალხის მიერ და ათასი სხვა. ერთი სიტყვით, ის სერიული წერილი, რომლითაც შემდეგში ასე აივსო კომუნისტური პრესის ფურცლები. ამასთანავე მას უთხრეს, რომ ამ წერილზედ ხელის მოწერა ნიშნავდა მის განთავისუფლებას, უარის თქმა კი ადგილზე დახვრეტას. მან ეს წინადადება ზიზღით უარყო და ჯერ კიდევ ფეხზე მდგომს შუბლში ჰკრეს ტყვია. მისი ქართული, ჭკვი-

ანი ტვინი სარდაფის კედლებს შეანარცხეს და მომავალი ტუსაღებისათვის დასტოვეს ნიშნად!

მეორე პიროვნება იყო, ძველი სოციალ-დემოკრატი, ფოთის მუშა, ყოფილი ფოთის გვარდიის შტაბის წევრი, ტიფო ჟღენტი. მასაც მიმართეს იმავე წინადადებით, როგორც პირველს. ჩვენს სამაზრო პარტიულ ხელმძღვანელობას ჰქონდა საშუალება ამ სცენის გაცნობის და თვით კომუნისტებიც არ მალავდნენ ჟღენტის იშვიათ ვაჟკაცურ ქცევას ამ დროს. მისი პასუხი დაახლოებით იყო ასეთი: მე ამდენი ხანია სოციალ-დემოკრატი ვარ და ჩემი შეგნებით ყალბად მიმაჩნია ის გზა, რომლითაც თქვენ სოციალიზმის დამყარებას ფიქრობთ. მაგრამ დღეს ამას მნიშვნელობა არა აქვს, ჩემი ოჯახის გულისათვის მე შემიძლია თავი დავნარო თქვენი ძალის წინაშე, მაგრამ ამ წუთში მე ვდგევარ აქ როგორც ქართველი და არასოდეს და არავითარი შიშის წინაშე არ ვიტყვი იმ ტყუილს. რომ საქართველოს გასაბჭოება მოხდა თვით ქართველი ერის ხელითო. ის გაიყვანეს და იმ ღამესვე დახვრიტეს. ამ ორი კაცის ქცევა და სიტყვები დახვრეტის წინ აშკარა საბუთი იყო იმისა, რომ ქართველ ხალხში რაღაც ახალი რამ მოხდა, რომ მან თავისი თავი იცნო, რომ ის ერად იქცა და მიუხედავად იმისა, რომ ამ დღიდან მას აშკარად მხოლოდ ქართველობისათვის ხოცვა-ჟლეტა დაუწყეს, მისი აღორძინებული ეროვნული შეგნების დამარცხება არავითარ ძალას აღარ შეეძლო!

ამავე დროს ოზურგეთის მაზრიდან გადაგზავნეს თბილისში დიდი ხნით დატუსაღებული ხალხი, შეუერთეს იქ მყოფი გურულების ერთ ჯგუფს და დახვრიტეს ერთად 92 კაცი, სულ გურულები. ამათში ერია ერთი იმერელი ახალგაზრდა ყმაწვილი თარგამაძე, რომელიც მისდა საუბედუროდ იმ ხანებში დაინიშნა მასწავლებლად ლანჩხუთში, მოხვდა ამ დაჭერილთა რიცხვში და მათთან ერთად მივიდა სამშობლოს სამსხვერპლოზედ.

ამ დახვრეტის შემდეგ ტალახაძის საქმიანობა აეწყო მანქანასავით, ყველა თემში ხალხის ხარჯზე იდგა რუსის ქვეითთა და ცხენოსანთა ჯარი, დღიან ღამიანად ახდენდა ჩხრეკას თვითოეული ოჯახის, თვითეული პატარა ტყის და შემჩნეული ადგილების. შექმნეს ყველა თემებში ერთგვარი კომისიები თვით ადგილობრივი პირებისაგან შემდგარი, რომელსაც უმატებდნენ თითო-ოროლა კომუნისტს. მათი მოვალეობა იყო მთავრობისთვინ გაეწიათ ყოველგვარი დახმარება დევნილებთან ბრძოლაში: ღამე დარაჯობის მოწყობით, მთავრობისათვის არასაიმედო პი-

რთა სიების შედგენაში, სურსათ-სანოვაგის მოკრებაში, გადასახადების გაწერაში და სხვ. ყველაზედ მეტად ეს გადასახადები აწვებოდა ხალხს. ფული არ იყო. არც იძლეოდნენ ვადას და ხალხი იძულებული იყო მარჩენალი ხარი და ძროხა გაეყიდა, რომ ამით კიდევ უარესი უბედურება თავიდან აეცილებინა. ყველაზედ ცუდ მდგომარეობაში ისევ ეს კომისიები იყვნენ. რაიმეს მომიზეზება მთავრობის დავალების თავიდან ასაცილებლად მათ არ შეეძლოთ და ძალაუნებურად, თავისი სურვილის წინააღმდეგ უნდა ეკეთებინათ ხალხის გამანადგურებელი საქმე. უიარაღოდ მალული ხალხი, ასეთი რეპრესიების წინაშე, მოკლებულნი დამალვის ყოველგვარ საშუალებას, ოჯახის წევრების გადარჩენის მიზნით ბარდებოდნენ მთავრობას და ბევრი მათგანი აწერდა ხელს მთავრობის მიერ წინასწარ გაზადებულ ტექსტებზედ. მაგრამ მათთვის არც ეს იყო საკმარისი: ისინი მიყავდათ სამაზრო ჩეკაში და სთხოვდნენ გაეცათ თუ სად ინახავდნენ თავს, ვისთან ჰქონდათ კავშირი, სად იმალებოდნენ დანარჩენი დევნილები. ხშირად აძლევდნენ წინადადებას წასულიყვნენ ამ დევნილთა სანახავად, რომ დაერწმუნებინათ ისინი მთავრობას ჩაბარებოდნენ და სხვა, ვინც ამას არ ასრულებდა, მისი ოჯახი ნადგურდებოდა. ბევრი იგზავნებოდა თბილისში და ბევრი ადგილობრივად გამოცხადებულ იქმნენ მძევლებად, იმ შემთხვევისათვის თუ ვინმე გაბედავდა მთავრობის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მოწყობას.

ის ხალხიც კი, ვინც პირადად გაუტეხელი აღმოჩნდა, იძულებული გახდა დევნილთა შენახვაზედ უარი ეთქვა, ვინაიდგან არავინ იცოდა, რომ ეს დევნილი მეორე დღეს არ წახდებოდა და მის გუშინდელ მასპინძელს არ გასცემდა. თვით გ. ღლონტის ჯგუფი, ტანისამოს-შემოგლეჯილი, ტყვია-წამალ-შემოლეული, უქმელ-უსმელი და ხალხთან კავშირ-მოწყვეტილი, ნელ-ნელა ხდებოდა რუსის ტყვიის მსხვერპლი, მაგრამ მათ ბრძოლაში სიკვდილის ბედნიერება მაინც ჰქონდათ. დღე და ღამ გურიის სოფლებში ისმოდა თოფისა და ტყვიის მფრქვეველის ხმა, მთელი მაზრა ახლად დაპყრობილ ქვეყანას წარმოადგენდა, რომელსაც მტერი ანადგურებდა. ყაჩაღები იბრძოდნენ ვაჟკაცურად, მაგრამ მაინც განადგურებულ იქმნენ. ერთი ნაწილი ღლონტის მეთაურობით გავიდა საზღვარგარეთ. ერთი პატარა ჯგუფი მანწკავას მეთაურობით, ყოველივე საშუალებას მოკლებული, იძულებული გახდა ბათუმის მთავრობას შერიგებოდა, იმ განზრახვით, რომ ისინი ბათუმიდგან საზღვარგარეთ გამოსვლას მოახერხებდნენ. მაგრამ მთავრობამ

მათ დაასწრო და შერიგების პირველ ღამესვე დაესხნენ თავზე ჯარისა და მილიციის ნაწილებით და წინადადება მისცეს იარაღი აეყარათ და სახლიდან გამოსულიყვნენ. რამდენიმე მათგანი, უფრო ქართველი მუსულმანები, იმ იმედით რომ სიცოცხლეს შეინარჩუნებდნენ, ჩაბარდნენ მთავრობას. სამი კი—მანწკავა, ანდღულაძე და სირაძე დიდი ხნის სროლის შემდეგ მოკლულ იქმნენ. მათ მოასწრეს მხოლოდ ორი სომეხი ჩეკისტის მოკვლა. ასე დათავდა ამ ყაჩაღების ბედი, მას შემდეგ რაც მათმა მთავრობასთან ჯერ შერიგებამ და შემდეგ ბრძოლამ გაანადგურა მთელი მაზრა და მთელს საქართველოში ხელი გაუხსნა საბჭოთა მთავრობას პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლის გამოსაცხადებლად.

შენდობა მათ: მათ ხშირად არ იცოდნენ თუ რას იქმოდნენ, მაგრამ ცხოვრების სიდუხჭირის გამო სწორ გზას ამცდარნი, ეროვნული უბედურების დროს, მამა-პაპათა მიერ შთამომაელობით გადმოცემული ალღოთი მაინც იგრძნეს თუ სად იყო მათი ადგილი. თუ არ იცოდნენ რა უნდა ეკეთებინათ, გრძნობდნენ მაინც იმ უმთავრესს, თუ რა არ უნდა ეკეთებინათ. თუ არ იცოდნენ როდის, სად და ვისთან ერთად დაეკრათ, როდესაც მტერს ურტყამდნენ, ურტყამდნენ ქართველურად, ვაუკაცურად, ერთი ათს. გასაოცარი სიმამაცით,მომზიბლავი სიკოხტავით. მათ შეუპოვრობას განცვიფრებაში მოჰყავდა რუსები, და თვით ხალხში, სადაც მათ ქცევას ანგარიშის მიხედვით დამღუპველად ხთვლიდნენ, უმეტესობა მოზიბლული ჰყავდათ. ჭეშმარიტად მხოლოდ ქართველი ერის სრულ თავისუფლებას შეუძლია ამ ერის ბევრი და მრავალფეროვანი თვისებები, დროთა უკუღმართობის გამო დამახინჯებულნი, გაასწოროს, ყოველ მხრივ განავითაროს და ერთ ეროვნულ კალაპოტში მოქცეული, დაუშრეტელ მდინარედ ქართველი ერის მარადისობისათვის ადინოს...

მთავრობის რეპრესიების ტალღა მოედო მთელ საქართველოს და კომუნისტური გაზეთები აივსო ნაძალადევად ხელმოწერილი წერილებით. ამავე დროს მთავრობა აწყობდა მიტინგებს, სადაც გამოყავდათ ეს შეშინებული ხალხი და მათი პირით მოუწოდებდნენ ყველას ხელი აეღოთ საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაზედ, დაეგმოთ წარსული და ამოსდგომოდნენ მხარში კომუნისტურ პარტიას „სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის“.

ყოველივე ამ მოვლენის ლოგიკური დასკვნის გასაკეთებლად მთავრობამ გადაწყვიტა 1923 წელში ზაფხულისათვის ეგრედ წოდებული

„სალიკვიდაციო კონფერენციის“ მოწვევა, სადაც ოფიციალურად უნდა დასამარებულიყვნენ ქართული მებრძოლი პარტიები.

მიუხედავად ამდენი რეპრესიებისა, საოკუპაციო ხელისუფლება სასტიკად მოტყუვდა თავის იმედებში და ქართული პოლიტიკური პარტიები და მთელი ერი გამოვიდა ამდენი გამოცდილებიდან უფრო შეერთებული და გაკაჟებული. გაწმენდილნი ყოველგვარი სუსტი და მერყევი ელემენტებისაგან და სამარადისოდ ერთი ეროვნული იდეალისაკენ მიმართული. თუ როგორ სწარმოებდა და ვითარდებოდა ამ საშინელი რეპრესიების დროს პოლიტიკური ორგანიზაციების მუშაობა, თუ როგორ მზადდებოდა პასუხი საოკუპაციო მთავრობის მიერ განზრახული „კონფერენციებისათვის“, ამაზედ ქვევით.

* * *

გურიაში მკვიდრი პოლიტიკური ორგანიზაციების აღდგენის დღიდანვე საერთოდ საქართველოს მასშტაბით საკითხებისადმი დამოკიდებულება ემორჩილებოდა ცენტრიდან მიღებულ დირექტივებს. ადგილობრივ საკითხებზედ კი ზრუნავდა გურიის კომიტეტი, რომელიც თავის დადგენილებებს ატარებდა ცხოვრებაში „სარაიონო“ და სათემო ორგანიზაციების საშუალებით. ადვილად გასაგები მიზეზების გამო მე აქ არ შევუდგები ორგანიზაციების დაწვრილებით დახასიათებას, ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს ორგანიზაციები გამოდგნენ მეტის-მეტად მოქნილნი და უკიდურესი რეპრესიების დროსაც კი, ზეველე შეფასებით განადგურებულნი, მაინც ახერხებდნენ მთავარი ხერხემლის შენარჩუნებას. არალეგალურად მომუშავე ხალხის რიცხვი, მინიმუმამდის დაყვანილი, ბრძოლაში გაკაჟებულნი და უშიშარი ხალხისაგან შემდგარი, საშუალებას აძლევდა გურიის კომიტეტს ყოველდღიურად მთელი გურიის სურათი თვალწინ ჰქონდა და საჭირო განკარგულებები. **იდეალური კავშირის** საშუალებით სასწრაფოდ მიეწოდებინა მთელი მაზრისათვის. სახელმწიფო აპარატის ხელში მყოფნე საოკუპაციო ხელისუფლების განკარგულებებს ამა თუ იმ კუთხეში უკვე მომზადებული პასუხი ხვდებოდა. მტერი შედეგების მიხედვით ხედავდა ამ კავშირის მოძრაობას და ამავე დროს უძლური იყო მასთან ბრძოლაში. სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წყობა ისეთი იყო, რომ რომელიმე ერთი პირის ან თუნდაც ერთი მთელი ერთეულის ჩავარდნაზედ, მთავრობის წინ ისეთი გაუვალი კედელი იმართებოდა, რომლის იქით ის ვერაფერს

ხედავდა. იღუპებოდა და იკარგებოდა მხოლოდ პიროვნება ან ერთეული, მთელი სხეული კი უფრო გაფრთხილებული, უვნებლად რჩებოდა. ამ განუწყვეტელი ბრძოლის დროს ხშირად ყოფილა შემთხვევა დიდი თანამდებობის პირის ჩავარდნისაც, მისი გატეხისა, გუშინდელი თანამებრძოლების წინააღმდეგ აშკარად გამოსვლისა, მაგრამ აქაც მხოლოდ მისი გახრწნილი ლეში შერჩენია ჩეკას ხელში. როდესაც ჩვენი ერი განთავისუფლდება, მაშინ გამოჩნდებიან პირები ამ ორგანიზაციების ასაწერად და მათი ძლიერების საიდუმლოების გამოსამჟღავნებლად. დღეს კი ვინც ამ ორგანიზაციებს იცნობს, მან იცის, რომ ამ მხრივ ჩვენ არაფერი გვაქვს საძებარი სხვა ქვეყნების განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში. როგორიც არ უნდა დარჩეს მომავალში საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის პოლიტიკა, რა მიმართულების ხალხიც არ უნდა დარჩეს ამ პოლიტიკის სათავეში, არალეგალური მუშაობის საწარმოებლად საუკეთესო იარაღი იქნება ის სისტემა, რომელზედაც აგებული იყვნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციები გურიაში 1921 წლიდან 1924 წლამდე.

გურიის კომიტეტი არ კმაყოფილდებოდა მარტო განკარგულების გაცემით; თავის ორგანიზაციების საშუალებით ის თვალ-ყურს ადევნებდა ამ ბრძანებების ცხოვრებაში გატარებას და თავის ხალხის საშუალებით ეხმარებოდა მოსახლეებს მოქმედების დროს, მუდმივ გვერდში ედგა მას. ემსუბუქებდა რეპრესიების შედეგებს და ამხნევებდა მორალურად. თვით ეს კომიტეტი, თითქმის მუდამ მთელი თავისი შემადგენლობით არალეგალურად მყოფი, ოჯახაწიოკებული, სარაიონო და სათემო ხელმძღვანელები თავიანთი სიმტკიცით ციხეებში, ტყვიის წინაშე, სამშობლოს სამსხვერპლოზედ ყოველგვარი პირადი ბედნიერების უანგაროდ ბრტანით, დიდებულ მაგალითს აძლევდნენ ხალხს და განსაკუთრებით იბყრობდნენ ახალგაზრდობას. პიროვნებები იღლებოდნენ, ძირს ეცემოდნენ, მტრის ბანაკშიაც გადადიოდნენ, მაგრამ მათ ალაგს სულ ახალ-ახალი კადრები იკერდნენ. მუშაობა შეუწყვეტლად მიმდინარეობდა, ბრძოლა გრძელდებოდა. ვით ჩანოქნილი წმინდა სანთელი, ბებრძოლთა რიგები ყოველგვარ სუსტთაგან, ყოველგვარ ჭუჭყისაგან იწმინდებოდნენ და ერთ ეროვნულ ოჯახად ქცეულ სამშობლოს სადარაჯოზედ იდგნენ.

ცარიელ სიტყვებს ამ შედეგების მოცემა არ შეეძლო, საჭირო იყო მოქმედება და მაგალითი. ბევრს სხვადასხვა საშუალებათა შორის, რომელთაც მე აქ არ ვასახელებ, იყო ერთი, რომელმაც განსაკუთრე-

ბით დიდი ნაყოფი მოიტანა ხალხის გამხნევებაში და რაზედაც მე მი-ნდა შევჩერდე.

საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი ეკონომიური პოლიტიკით სრულიად მოშალა ხალხის ისედაც ღარიბი და სუსტი აღებ-მიცემობა. ქვეყანა სიმშილის კარამდე იქმნა მიყვანილი და თვითეული ოჯახის საზრუნავს მხოლოდ დღიდან დღემდის ლუკმა პურის შოვნა შეადგენდა. ასეთ პირობებში, განსაკუთრებით მწვავე იყო დატუსაღებულთა და დევნილთა ოჯახების ბედი. საბჭოთა ხელისუფლება სხვადასხვა სახის ძალდატანებასთან ერთად. უპირველესად და უმთავრესად, თავის მოწინააღმდეგეების ოჯახების სიმშილით წელში გატეხას მიმართავდა. მოხუცი დედები, წვრილშვილიანი ცოლები დილიდან საღამომდის იდგნენ აღმასკომის კარებთან და სთხოვდნენ ადგილობრივ კომუნისტებს, ეშუამდგომლათ სამაზრო ხელისუფლებასთან მათი ოჯახის დატუსაღებულ წევრთა ან გასათავისუფლებლად, ან რაიმე გარკვეული ბრალდების წასაყენებლად და საქმის დასაჩქარებლად. კომუნისტების პასუხი მუდამ ერთი იყო: „თქვენ აქ სიმშილით კვდებით, სახლში მუშა არა გყავთ, ის კი იქ ლპება. წადით, ნახეთ, უთხარით მოაწეროს ხელი და ხელად გამოაგდებენ გარეთ.“ სიმშილის გარდა დევნილთა ოჯახების წევრებს თვეობით აპატიმრებდნენ და ციხეებში უდიერად ებყრობოდნენ. ერთი დევნილის დედას, ღრმად მოხუცებულ ადამიანს, ოზურგეთის ჩეკის გამომძიებელმა გვანცალაძემ თავისი ხელით სცემა და „ცხვირ-პირი სისხლით შეუღება. მთელი მაზრა მოწამე იყო ამ აქტისა და ბევრი სხვისა, რომლებსაც ჩეკის მსხვერპლნიც მუქარის ქვეშ საიდუმლოდ ინახავდნენ. ყველა ეს ზომები. სხვებთან ერთად ნელ-ნელა სტეხდნენ ტუსაღის სიმტკიცეს და ის აწერდა ხელს, გამოდიოდა გარეთ და ამ პირველი ნაბიჯის შემდეგ ვარდებოდა ისეთ მახეში, რომ უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა და თანდათანობით მტრის მხარეზედ გადადიოდა. გურიაში და მთელ საქართველოში მტრის ბანაკში ვადასულთა ასი პროცენტი ამ საშინელი რეპრესიების მსხვერპლნი იყვნენ და არაგულწრფელად კომუნისტური ხელისუფლების ერთგულნი, როგორც ამას მთავრობა აცხადებდა.

აი, ამ საშინელ მდგომარეობას მიაქცია დიდი ყურადღება გურიის კომიტეტმა და შექმნა განსაკუთრებული სამაზრო, სარაიონო და სათემო ორგანოები, რომელთა მოვალეობას მხოლოდ ტუსაღთა და მათი ოჯახების მატერიალურ მდგომარეობაზედ ზრუნვა შეადგენდა. თვით ციხეში მყოფ ტუსაღთათვის მოეწყო სისტემატურად დახმარების გზაკ-

ნა სანოვაგისა და ტანისამოსის სახით. ყველა ეს საიდუმლოების დაცვის მიზნით თვითეულ ტუსაღს ეგზავნებოდა ინდივიდუალურად ნათესავების სახელით და მათივე სამუალებით. რაც უნდა მცირე ყოფილიყო ეს დახმარება, ის მაინც აღწევდა თავის მიზანს: ტუსაღმა იცოდა, რომ მასზედ ვიღაცა ზრუნავდა და მისი ოჯახიც სიმშილით არ მოკვდებოდა. ეს საკმარისი იყო მათდა გასამხნევებლად. გურიის კომიტეტის ერთადერთ შემოსავალს შეადგენდა პარტიის წევრების საწევრო გადასახადი. ვინაიდან ფული ხალხს არ ჰქონდა და ის არც არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა, ის შეიცვალა სხვა შემოწირულობით: იკრიფებოდა სიმინდი, ფურცელი თამბაქო, არაყი, თაფლი, ყველი, შაში, ხორცი, ბველი ტანისამოსი, საქალამნე ტყავი და სხვა. პარტიის წევრთა გარდა ეს შემოწირულობა შემოდიოდა უპარტიო ხალხისგან და სხვა პარტიების წევრებისგან. ყველა ეს გროვდებოდა სოფლებში, იგზავნებოდა თემში, იქიდან რაიონში და შემდეგ მაზრაში. სამაზრო ხელმძღვანელობა კი, საიმედო ვაჭრების და ოჯახების საშუალებით აწყობდა დაგროვილი სანოვაგის განაღდებას და შემდეგ ნელ-ნელა აწვდიდა ტუსაღებს ზემოხსენებული გზით. თვით ოჯახების მიმართ მოეწყო ადგილობრივი დახმარებანი: ნადის სახით უთესავდნენ და უვლიდნენ ყანებს, უკრეფდნენ ყურძენს, უმზადებდნენ შეშას, მოსავდნენ ბავშვებს, ეხმარებოდნენ ექიმით და წამლით ავადმყოფებს და დროგამოშვებით გზავნიდნენ ოჯახის რომელიმე წევრს ტუსაღის სანახავად. შეხვედრისას ისინი ერთმანეთს აცნობდნენ მათ მდგომარეობას და ორივენი გამხნევებულნი ბრუნდებოდნენ: ერთი საკანში, მეორე ოჯახში. სურსათ-სანოვაგის დაგროვების საქმე იმდენად კარგად იყო აწყობილი, რომ ხშირად მაზრა დახმარების მიღების მაგივრად თვით ეხმარებოდა ცენტრს.

ამ დახმარების ირგვლივ მთელს ხალხში განსაკუთრებული დამოკიდებულება დამყარდა, ყველანი თავს ნათესავებად და ერთი ოჯახის წევრებად გრძნობდნენ, შენი და ჩემი აღარ არსებობდა. ყველა ცდილობდა მეტი წვლილი გაეღო, განსაკუთრებულ თავდადებას იჩენდნენ ქალები. უნდა ითქვას, რომ ყველა გაჭირვების დროს ქალები უფრო პროტესტანტული სულით იყვნენ გაჟღენთილნი, ვინემ მამაკაცები. ისინი თავის ბუნების მიხედვით უფრო გრძნობით უცქეროდნენ ყველა ტანჯულის ბედს, უფრო ნაკლებად, ვინემ კაცები ურიგდებოდნენ ოჯახის გაღარიბებას, ყოველგვარი საოჯახო ნივთის გაცვეთას, და ახლის შეძენის შეუძლებლობას, ხელისუფლების შეურაცხმყოფელ ჩხრეკებს

ოჯახებში ღამით და ათას სხვას. თავიანთი დიდედების მიერ ნაანდერძევი, დროებით მიძინებული ქართველი ქალობა, მათში ნელ-ნელა იღვიძებდა და უბრალო უკმაყოფილოთაგან მათ ნამდვილ დედა-კაცებად, ხშირად ვაჟებზე უფრო თავდადებულად აქცევდა. ამ ხანებში წარმოებული ბრძოლის ისტორიაში ქართველი ქალის მოღვაწეობას საუკეთესო ფურცლები უკავია და ეს ფურცლები, ჯერ მხოლოდ ერის გულში საიდუმლოდ შენახული, მომავალ თავისუფალ საქართველოში საამკარაოზედ მოეფინებიან და მომავალი თაობის სახელმძღვანელოდ გახდებიან.

ამრიგად, ჭკვიანად დაწყებულმა პატარა საქმემ მოლოდინს გადააჭარბა, ქართველი ხალხის საუკეთესო თვისებები მოძრაობაში მოიყვანა, ერთმანეთს დაუკავშირა და ხალხის ერად გადაქცევას ხელი შეუწყო.

საქართველოში საოკუპაციო ხელისუფლების მოქმედება, არალეგალური პრესის გაზეთების და ფურცლების საშუალებით, ხალხს ეცნობოდა და ღირსეულად ფასდებოდა. ქართული ფულის გაუქმება, საქართველოს ძალად ამიერკავკასიის ფედერაციაში შეყვანა, შავი ზღვის ნავთსადგურების დახურვა, ქართული ჯარის რიცხვის შემცირება, თვით საქართველოს კომუნისტურ პარტიაში, ეგრედ წოდებულ „უკლონისტთა“ ჯგუფის დაარსება, ამ ჯგუფის მიზნები, მისი განადგურება მოსკოვის ბრძანებით, ყოველივე ეს საუცხოო საბუთებს იძლეოდნენ ხალხში ეროვნული მუშაობის გასაჩაღებლად, მის შეგნებაში იმ რწმენის სამუდამოდ ღასამყარებლად, რომ მხოლოდ სრული დამოუკიდებლობა მისცემდა ერს საშუალებას ყოველმხრივ განვითარებულიყო, თავისი თავის პატრონი გამხდარიყო და ერთა შორის თავისი შესაფერი ადგილი დაეჭირა. ის დემოკრატიული მოთხოვნილებები, რაც წინათ საქართველოში მოქმედი პარტიების საერთო მოთხოვნილებას შეადგენდნენ, მაგრამ ხშირად ბევრს მხოლოდ ლამაზ სიტყვებად მიაჩნდა, დღეს ხალხისთვის აუცილებელი გახდნენ. ისტორიაში არნახული ჩეკის მიერ გამეფებული წესები, ადამიანის პირუტყვად გადაქცევა, ფეხქვეშ გათელვა, ხალხს აიძულებდა ეს იდეები მოეგონებინათ და მათი ერთგულნი გამხდარიყვნენ.

* * *

საქართველოს დაპყრობის პირველ დღეებში ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ იქნა ამნისტია პოლიტიკურ პარტიათა წევრების და

ეროვნული მთავრობის მოხელეთა მიმართ. ამან ხელი არ შეუშალა კომუნისტებს გადაედგათ ნაბიჯი ზოგიერთი პირების მოსასპობად. პირველ რიგში მათ მიზანში ამოიღეს ისინი, ვინც მათ განსაკუთრებით ებრძოდნენ იარაღით ხელში. თვითეულ მათგანს საიდუმლოდ დაენიშნათ მკვლელები. ერთ მათგანს, ს. მათითაიშვილს, აშკარად დაესხენ თავზედ თავის ოჯახში, როგორც ეს ზევით მოვიხსენიე. ამ შემთხვევამ ეს პირები გააფრთხილა და რამოდენიმე მათგანი შეუდგნენ არალეგალურ ცხოვრებას იარაღით ხელში. ყველასათვის აშკარა იყო, რომ მათ დასვენება არ ასცდებოდთ და არც მთავრობა ფარავდა თავის განზრახვას მათდამი. ამრიგად, ისე როგორც მეფის მთავრობის დროს, გურიას გაუჩნდა რამდენიმე იარაღიანი დევნილი, რომელთაც ხალხი ინახავდა. განსაკუთრებული იერიში მთავრობას მიჰქონდა სამ მათგანზე: ესენი იყვნენ: ს. მათითაიშვილი და თ. მუხაშავრია, მეფის დროს დევნილნი, დამოუკიდებლობის დროს დაუღალავი მებრძოლნი კომუნისტებისა და ყოველგვარ ავაზაკების წინააღმდეგ. მესამე იყო ალეზესი გოგუაძე, რუსის ჯარიდან არტილერისტი, დამოუკიდებლობის დროს ჯავშნიანი მატარებლის ხელმძღვანელი თავის ძმებთან ერთად. ოშვიათი ვაჟკაცი, მხედრის ყოველივე ღირსებით დაჯილდოებული. სოფლად განთქმული მეურნე, მთელი გურიისათვის საყვარელი პიროვნება.

ეს ხალხი ცხოვრობდა ტყეთ პატარ-პატარა ჯგუფებად, 3—4 კაცი. ინახავდნენ თავს. ერიდებოდნენ ყოველგვარ პროვოკაციას და უცდიდნენ მდგომარეობის განვითარებას. მათი შენახვა, მათთვის ბინების მიცემა, ადგილიდან ადგილზედ გადაყვანა, ადმინისტრაციის მიერ მათ წინააღმდეგ ზომებისათვის თვალ-ყურის დევნება, მათთვის საჭმაროდ ამ ცნობების მიწოდება, იწვევდა განსაკუთრებული ორგანიზაციის არსებობას, რომელიც ჯერ ამ როლით კმაყოფილდებოდა. თანდათანობით რეპრესიების გაძლიერებასთან ერთად დევნილთა რიცხვი მატულობდა, მათი შენახვა მეტ შრომას მოითხოვდა და მათი დამხმარე ორგანიზაციებიც იზრდებოდნენ, ერთმანეთთან კავშირებს ამყარებდნენ, პოლიტიკური ორგანიზაციებიდან დამოუკიდებლად ვიარსებებოდნენ და უფრო და უფრო ძლიერი ხდებოდნენ. ზემოხსენებული სამი პირის საშუალებით ეს ორგანიზაციები გურიის კომიტეტს უკავშირდებოდნენ, მისგან დირექტივებს ღებულობდნენ და მის განკარგულებას ემორჩილებოდნენ. თითქმის ოთხი წლის მანძილზე არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ რომელიმე ამ დევნილთაგანს რაიმე პირადი გამოსვლა მოეწყოს მთავრობის მოხელეების

მიმართ, თუმცა ისინი და მათი ოჯახები თაავიდანვე საშინელ რეპრესიებს განიცდიდნენ. გარდა შემთხვევით მოხდარი შეტაკებებისა, ისინი გაურბოდნენ ხელისუფლებასთან შეხვედრას. ერთი მხრივ იმიტომ, რომ ამით ხალხისთვის აეცილებინათ ზედმეტი ტანჯვა და მეორეც იმიტომ, რომ მათ სავსებით შეთვისებული და შეგნებული ჰქონდათ ის გზა, რომელზედაც სოციალ-დემოკრატიული პარტია იდგა: ძალების დაზოგვა, ხალხში მუშაობა, მთელი ერის ერთი მიზნისათვის დარაზმვა და შესაფერ პირობებში საჭიროების მიხედვით მოქმედება. თუ პოლიტიკური ორგანიზაციები ხალხის აღსაზრდელად წმინდა საპროპაგანდო მუშაობას ეწეოდნენ, მას შემდეგ, რაც ეს დევნილთა ორგანიზაცია გაძლიერდა, მათ მიეცათ განსაკუთრებული დავალება და მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ეს დავალება, შესაძლებლობის ფარგლებში პირნათლად შეასრულეს. პირველ ხანებში ეს დავალება ასე ეთქვათ, თავისთავად წამოსროლილ იქმნა ადგილობრივი პირობების გამო, მაგრამ ბოლო ხანებში მან გარკვეული ხასიათი მიიღო და ის მონათლულ იქმნა სამხედრო მუშაობად.

დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ გურიაში დარჩა საკმაო იარაღი, მათ შორის რამდენიმე ტყვიის მფრქვეველი. საოკუპაციო ხელისუფლება შეუდგა მათ შეგროვებას და პირველ ხანებში მან ძალადაუტანებლად განაიარაღა ისეთი პირები, ვინც ფრონტებიდგან სახლში მოიტანეს იარაღი. ბევრს არ შეეძლო უარის თქმა იარაღის ქონებაზე, ვინაიდან ეს მთავრობისათვის აშკარა იყო. ბევრს არც მიაჩნდა საჭიროდ თოფების შენახვა და საერთოდ არც უნდოდათ მთავრობისათვის საპროვოკაციო საბაბი მიეცათ. მიუხედავად ამისა, როგორც ვთქვით ზემოთ, ხალხში საკმაოდ დარჩა იარაღი. როცა შემდეგში რეპრესიების დროს ხალხს გაუჭირდა და მთავრობამ კიდევ მრავალი იარაღი იგდო ხელთ, ყველა სოფლებში პოლიტიკური ორგანიზაციების წინაშე თავისთავად დაისვა კითხვა: რა ურჩიოთ ხალხს, ან პარტიის წევრებს, მისცენ იარაღი თუ არა? იმ დროს ხალხი უკვე გარკვეულ პოზიციას ადგა მთავრობასთან დამოკიდებულებაში და სცდილობდა იარაღის შენარჩუნებას, ისე რომ თვითონაც არ იცოდა რატომ და რისთვის. თავისთავად ეს ხალხი იყვნენ სხვებზედ უფრო იარაღის მოყვარულნი, ვინაიდან არც პირველ ხანებში და არც შემდეგ რეპრესიების დროს არ გატყდნენ და აქაიდის თავისი თოფები შეინარჩუნეს. ამავე დროს გამოირკვა, რომ სრულიად კერძო პირებს ჰქონდათ დამალული ლუისის ტყვიის მფრქვეველები და ამ გაჭირვების დროს აცნობეს

ეს ორგანიზაციებს და მოითხოვდნენ გარკვეულ ინსტრუქციებს მომავლისათვის. გურიის კომიტეტმა ერთხელ კიდევ ურჩია ხალხს მარტო თოფებისათვის ოჯახები არ აეწიოკებინათ, ან ტყეთ არ გავარდნილიყვნენ და ამავე დროს გადასწყვიტა მიეღო ზომები ამ იარაღის მოსავლელად, რომელიც ამ რეპრესიების შემდეგ ხალხში კიდევ დარჩებოდა. აი, ამ იარაღებზე ზრუნვა დაევალა პოლიტიკურ შეიარაღებულ დეტაჩმენტთა იმ პატარა ჯგუფებს, რომლებიც გურიაში დაფანტულნი იყვნენ. ეს ხალხი თავის ცხოვრების პირობების გამო იძულებული იყო ხშირად ბინა ეცვალა, სოფლიდან სოფელში ევლო და მებინავეთ, მეგზურად და შიკრიკად ყოლოდათ ყველაზედ უფრო სანდო, გამოცდილი და ყოჩაღი ხალხი. ამ ხალხის საშუალებით ისინი უკავშირდებოდნენ მათ, ვისაც იარაღი ჰქონდათ. ამხნევებდნენ მათ, აწვდიდნენ ზეთს. ვისაც სახლში აღარ შეეძლო იარაღის შენახვა, თითონ მიჰქონდათ ეს იარაღი, აწყობდნენ შესაფერ ადგილებზედ პატარ-პატარა საწყობებში და უვლიდნენ მათ. ტყვიის მფრქვეველები ჩამოერთვა მათ პირველ შემნახველებს და მათი შენახვა მოეწყო უფრო სხვანაირად. ამდენი იარაღისათვის ზეთის შესაძენად მოეწყო კავშირი რკინის გზის მუშებთან და მათი შემწეობით გურიაში შემოდიოდა ფუთობით იარაღის ზეთი, რომელიც შემდეგ ურიგდებოდა სოფლებს. განსაკუთრებით სათუთი შესანახი აღმოჩდნენ ტყვიის მფრქვეველები. ამაზედ მრავალი შრომა დარჩა საჭირო, მაგრამ ვიტყვი მოკლედ, რომ ისინი აჯანყებამდის შენახულ იქმნენ მშვენიერ მდგომარეობაში თავისი ვაზნებით და სროლის დროს არასოდეს არ გაფუჭებულან. ვინც მაშინდელი გურიის მდგომარეობას იცნობს, მისთვისაც კი ძნელია წარმოიდგინოს ის ენერგია, თავგანწირვა და ფიზიკური შრომა, რაც დევნილებმა ამ საქმეს დაახარჯეს. ამ მუშაობას მოყვა კიდევ მეორე შედეგი, უფრო დიდი მნიშვნელობის, ვინემ იარაღის შენახვა: ეს იყო იმ ძალის გაცნობა, ვინც ყოველგვარ რეპრესიებს გაუძლეს, აღმოჩდნენ ყოველგვარ საქმეში საიდუმლოების საუკეთესო შემნახველნი. თავი ეჭირათ დინჯად, ტყუილ უბრალოდ სიტყვებს არ ისროდნენ და მომავალს იმედით უყურებდნენ, თავიანთი სულისკვეთებით იმ წრეებს თანაუგრძნობდნენ, რომლებიც მტერთან შეიარაღებული ბრძოლებისათვის მზადებას მოითხოვდნენ. ეს მუშაობა იმდენად გაიზარდა, რომ ბოლოს საჭირო გახდა მისი ერთ მწყობრ ორგანიზაციად ჩამოყალიბება. ეს ორგანიზაცია აეწყო ისეთ პრინციპებზედ, როგორც ყოფილი სახალხო გვარდია: სათავეში სამაზრო შტაბი, მაზრაში სამი რაიონი სარაი-

ონო შტაბებით და ამათ ქვევით სათემო და სასოფლო ხელმძღვანელები.

სამაზრო შტაბი ერთი პირის საშუალებით შედიოდა გურიის კომიტეტში და მასვე ემორჩილებოდა. სარაიონო შტაბი შედგებოდა სამი პირისაგან: ერთი თავმჯდომარე და ორი ამხანაგი თვითეული განსაკუთრებული მოვალეობით და პასუხისმგებლობით. თემში ერთი ხელმძღვანელი, რომელსაც უშუალო კავშირი ჰქონდა სოფლის ხელმძღვანელობასთან. სოფლებში კი ათეულები, ორ ხუთეულად დაყოფილი, ერთი ხელმძღვანელით. ყველა პირი იცნობდა მხოლოდ ერთ პირს, მას ზევით და მას ქვევით მყოფ ორგანიზაციაში მხოლოდ ხელმძღვანელებს, დანარჩენებს კი მხოლოდ რიცხვით. მოკლედ ასეთი იყო ამ ორგანიზაციების წყობა, თავიანთ მოძრაობაში კი მათ ბევრი რამ ახასიათებდათ, რაც გამოცდილებაზე იქნა აგებული და რაზედაც აქ მე არ ვილაპარაკებ. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ეს ორგანიზაცია აღმოჩნდა საუცხოოდ დაცული საიდუმლოების შენახვის მხრივ და დამოუკიდებლობის დროს არა თუ გვარდიაში, არამედ თვით ჯარში არნახული დისციპლინის მქონე. დღიდან სამხედრო ორგანიზაციების დაარსებისა, აჯანყებამდე, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ამ ორგანიზაციის რომელიმე ერთეული ჩავარდნილიყოს, ან რომელიმე სხვა ბრალდებით დაჭერილ მის წევრს ამ ორგანიზაციის არსებობა გაეცეს. საოკუპაციო ხელისუფლებამ იცოდა ან ფიქრობდა, რომ გურიაში სამხედრო მუშაობა არსებობდა, და ესეც რომ არ ყოფილიყო, ის თვითონ ცდილობდა სადმე ისეთი საბუთი ჩაეგდო ხელში, რომ ამ ორგანიზაციის არსებობის აღმოჩენით პოლიტიკური პარტიებისათვის აჯანყებისათვის მზადება დაებრალებინათ და შესაფერი ზომები მიეღოთ ხალხის წინასწარ გასანადგურებლად.

მათი ცდა უნაყოფო დარჩა. იყო შემთხვევები, როცა რომელიმე სამხედრო ორგანიზაციის წევრი ხელში ჩაიგდეს, უარი ათქმევინეს თავის წარსულზედ, მაგრამ სამხედრო ორგანიზაციის შესახებ კი ასეთი პირებისგანაც ვერაფერი მიიღეს. **ასეთი ძლიერი იყო ამ ორგანიზაციის დისციპლინა.**

ობოლაძის მოკვლის წინ ერთმა სარაიონო შტაბმა მიიღო ცნობა, რომ გურია-იმერეთის საზღვარზედ, სადაც უკანასკნელი ფრონტი იყო, ერთ ყოფილ გვარდიელს ჰქონდა ტყვიის მფრქვეველი და მოითხოვდა ორგანიზაციასთან დაკავშირებას. სარაიონო კომიტეტმა გაგზავნა იქ თავისი კაცი, თავისუფალი მცხოვრები საჭირო ზეთით. ამ პირმა ინა-

ხელა ტყვიის მფრქვეველი, დაშალა, გასწმინდა და ასწავლა გვარდიელს მისი მოვლა. ეს გვარდიელი იყო 26 წლის ახალგაზრდა იონა ჭკუასელი. ფრონტის დაშლის შემდეგ, მას თავის ნაწილიდგან, რომელიც მისსავე სოფელთან იდგა, გადაემალა ეს ტყვიის მფრქვეველი ისე, რომ არავინ მის მეტმა არ იცოდა. როცა რეპრესიები გაძლიერდნენ, მან გადაწყვიტა დაკავშირებოდა სარაიონო შტაბს და გადაეცა მისთვის ეს ტყვიის მფრქვეველი. იმ ხანებში მხოლოდ ერით კაცის გაგზავნა მოხერხდა მასთან და ახლო მომავალში კი ტყვიის მფრქვეველი უნდა წამოეღო შტაბს. ტალახაძის ჩამოსვლამ ამ განზრახვას ხელი შეუშალა და ჭკუასელი გაცემულ იქმნა ვიღაცის მიერ. რომელმაც ალბათ თვალი შეასწრო მას, როცა ის ტყვიის მფრქვეველს სწმენდდა რაიონიდგან ესულ კაცთან ერთად. ჩეკა დაესხა თავზედ მის ოჯახს,უძებნელად იპოვნა ტყვიის მფრქვეველი, დაატუსაღა ჭკუასელი და მთელი ოჯახი: მოხუცი დედ-მამა, ძმა და დები. ეს მოხდა საშინელი რეპრესიის ხანაში. მთელი ოჯახი წამოიყვანეს ოზურგეთში ფეხით, წვიმიან და თოვლიან ცივ დარში. იონა კი დატვირთული იყო თავის ტყვიის მფრქველით. ოზურგეთში დახვრეტები გაჩაღებული იყო. ჩეკას ეზოში დიდი ზეიმით შეიყვანეს ეს ხალხი. სარდაფის ერთი ფანჯარა გამოდიოდა ეზოში. სარდაფში მყოფი ტუსაღები მოაწყდნენ ფანჯარას, ჩეკის კიბეებზე ამავალ იონას ერთმა ტუსაღმა ქვევიდან ჩუმად შესძახა: „არ შეშინდე, ბიჭო“. იონამ დინჯად, ყველას გასაგონად ზევიდან ჩამოსძახა: „შიში ვერ იხსნის სიკვდილსაო!“ გურიაში ბევრი ხალხი აწამეს ჩეკისტებმა. ბევრი გმირულად მოკვდა, მაგრამ არავის არ მოუხდენია ისეთი შთაბეჭდილება, როგორიც იონა ჭკუასელმა. მთელ ოჯახთან ერთად ის საშინლად სტანჯეს, ოზურგეთიდან თბილისში გადაგზავნეს. იქ მის თვალწინ მოხუცი დედა-მამა, ძმა და გასათხოვარი დები საშინლად აწამეს, ძმას დახვრეტით დაემუქრენ, მაგრამ იონა იდგა, როგორც ურყევი კლდე. მას სთხოვდნენ დაესახელებინა მხოლოდ ერთი პირი, ვისთანაც კავშირი ჰქონდა, და ამ გზით ჩეკას მთელი ორგანიზაციის გახსნა უნდოდა. არ ვიცი მისი ოჯახი გამოიჩენდა თუ არა ასეთ სიმტკიცეს, რომ იონას საიდუმლო რომელიმე მათგანს სცოდნოდა. ამდენი ტანჯვა-წვალების შემდეგ ალბათ ჩეკაც დარწმუნდა, რომ მათ არაფერი იცოდნენ, მაგრამ იონას გასატეხად მათ მისი თვალის წინ აწამებდნენ. მთელი ჩვენი ორგანიზაცია საშინელი გულის ტკივილით ადევნებდა თვალს ამ ერთი კაცის მთელი ჩეკის აპარატთან ბრძოლას და ბოლოს რამდენიმე თვის შემდეგ ეს ბრძოლა დამთავრდა იონას

სრული გამარჯვებით: უკანასკნელ ტანჯვის ღამეს, ერთ საკანში მოთავსებული მის ოჯახს იონა გამოაცალეს და სამშობლოს ღირსეული შვილი, სამშობლოს მოღალატეებმა ლაჩრულად, ხელ-ფეხ შეკრული დახვრიტეს. მისი ოჯახი განთავისუფლებულ იქმნა რამოდენიმე დღის შემდეგ. ჭკუასელის ქცევა თავიდან ბოლომდე, მისი სიტყვები, მისი სიკვდილი, კიდევ ერთი დიდებული საბუთი იყო იმისა, რომ საქართველო ერად იქცა, და რომ მისი ისტორიის წიგნი, მტრის მიერ ძალად დახურული, ხელახლა გაიშალა და მის ფურცლებზედ ქართლოსის შვილებმა ღირსეულ წინაპართა სიების გვერდით თავიანთი სახელების წერა იწყეს...

მთლიანად საქართველოში მდგომარეობის განვითარებასთან ერთად, გურიის ორგანიზაციაც ვითარდებოდა, უფრო გარკვეულ ამოცანებს ისახავდა წინ. ეხლა მისი მოქმედება ცოცხალი ძალების აღრიცხვასა და დამზადებაში გამოიხატებოდა. ამ მუშაობაში განსაკუთრებული სიფრთხილე იყო საჭირო თვით ხალხის მიმართ: არ უნდა ჰქონოდა ადგილი რაიმე გადაჭარბებას ან სიჩქარეს, რომ ამას ხალხში უსაფუძვლო ილუზიები არ გამოეწვია, ამ აღრიცხვის მნიშვნელობას ჭკვიანი განმარტება მისცემოდა, რომ ამით თავიდან აგვეცილებინა, ერთი მხრივ საოკუპაციო ხელისუფლების უდროოდ შემოტევა და მეორე მხრივ, და რაც უმთავრესი იყო, უდროო გატაცებით ხალხში რეაქციის გამოწვევა, ეს ამოცანა ისე კარგად იქმნა შესრულებული, რომ მიუხედავად იმ დიდი მანძილისა, რაც ჩვენ მუშაობის დაწყებიდან აჯანყებამდის გავიარეთ, ფართე მასაში აჯანყების ამბავი მხოლოდ თოფის გავარდნასთან ერთად დაიწყო.

ტექნიკურად ეს აღრიცხვა დიდებულად იქმნა ჩატარებული. მის დახასიათებაზედ მე არ შევჩერდები, აღვნიშნავ მხოლოდ ორ რამეს:

პირველი — ა) მთელი ჩვენი ძალები ჩვენ ორ ნაწილად გავყავით; პირველ ნაწილში ჩაირიცხნენ მხოლოდ ისინი, ვისაც თავიანთი თოფი ჰქონდათ და იყვნენ ყოფილი, გამოცდილი ჯარისკაცები თუ ეკარდიელები. ეს პირობა აუცილებელი იყო. ამ ნაწილს ჩვენ განსაკუთრებით ვუვლიდით და ვერიდებოდით მათ ყოველგვარ პოლიტიკურ მუშაობაში ჩაბმას, რომ ამით მათი განადგურება თავიდან აგვეცილებინა. მათი რიცხვი ჩვენ საკმაოდ მიგვაჩნდა გურიის გასანთავისუფლებლად პირველსავე შეტევაზედ. მათი დანიშნულება უნდა ყოფილიყო მტრის რეგულარულ ამ ჩონის და სამაზრო მილიციის ნაწილებთან ბრძოლა.
ბ) მეორე ნაწილში ჩაირიცხნენ ისინი, ვინც იარაღთან შეჩვეულნი იყ-

ვნენ, მაგრამ არ ჰქონდათ რეგულარული სამსახურის სტაჟი. ამათაც ჰქონდათ თოფები, ან ვისაც არ ჰქონდა, უნდა პირველსავე რიგში შეიარაღებულიყვნენ მტერზედ წართმეული თოფებით. ამ ნაწილის ამოცანა უნდა ყოფილიყო პირველი შეტევის დროს თავთავიანთ თემებში მოქმედება ადგილობრივი კომუნისტების განსაიარაღებლად და დასატუსაღებლად. ამავე ნაწილს, პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად უნდა ვამოეყო პირველსავე შეტევასთან ერთად გამოცდილი ხალხი ადგილობრივი ადმინისტრაციის მოსაწყობად, მეზობელ თემებთან კავშირის აღსადგენად და ფრონტებზე მყოფთათვის სურსათ-სანოვაგის და სასანიტარო დახმარების მისაწოდებლად.

ბ) ზემდეგებს ზევით უფროს შემადგენლობის აღწერას აწარმოებდნენ მჭოლოდ სამაზრო და საარაონო შტაბები. ეს გამოწვეული იყო სიფრთხილით. ოფიცრებს, ვინც ჩვენ მხედველობაში გვყავდა ამა თუ იმ თანამდებობისათვის, საარაონო შტაბები აწვდიდნენ დრო გამოშვებით საჭირო ცნობებს, ისე კი მათ არავინ აწუხებდა. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით რომ მათ თავიანთი მოვალეობა უჩვენოდაც კარგად იცოდნენ და გავურბოდით მათი ისედაც მცირე რიცხვის უდროოდ მოსპობას. ჩვენი შეხედულება მათზე სავსებით გამართლდა და თავის დროზედ ისინი თავიანთ ადგილებზედ აღმოჩნდნენ.

დ) ცნობები გროვდებოდა საარაონო შტაბებში და ეგზავნებოდა სამაზრო შტაბს, პირველ ხანებში თვეში ერთხელ, ბოლოს ყოველ 15 დღეში. ეს ცნობები იწერებოდნენ პატარ-პატარა ქაღალდზედ განსაკუთრებული წესით, და სამაზრო შტაბს ეძლეოდა ნათელი სურათი ცალ-ცალკე პირველი და მეორე ხარისხის მხედრების რიცხვის, სამხედრო სპეციალობისა და შეიარაღების შესახებ. აგრეთვე აღრიცხვაზედ აყვანილი იყო სატრანსპორტო საშუალებები: ცხენი, ხარი, ეტლი, ყველაფერი რაც ჩვენების ხელში იყო.

მეორე — თავისი ძალების აღრიცხვასთან ერთად სამხედრო შტაბი ახდენდა მტრის ძალების აღრიცხვას. მეფისა და დამოუკიდებლობის დროს ერთს მაზრას, სამ საბოქაულოდ გაყოფილს. პირველ ხანებში ასეთივე ადმინისტრატიული დაყოფა დასტოვა საბჭოთა ხელისუფლებამ, მაგრამ შემდეგში ხალხის წინააღმდეგ უფრო მოხერხებულად ბრძოლის წარმოებისათვის, მან შეჰქმნა ახალი ადმინისტრატიული წყობა. გურია სამის მაგივრად დაყოფილ იქმნა 9 მუდმივ და ერთ დროებით რაიონებად. თვითეულ რაიონში იყო მილიცია შემდეგი შემადგენლობით: მილიციის უფროსი, მისი თანაშემწე (დაბებში დამატებით უფროსი მილი-

ციონერი) და 8-10 მილიციელი. სარაიონო პარტიული კომიტეტის მდივანი, აღმასკომის თავმჯდომარე და მილიციის უფროსი იყვნენ რაიონის ბატონ-პატრონი. გარდა ამ მუდმივი მილიციისა, მათ ხელში იყო სათემო მილიცია და სოფლის კომისრები, აგრეთვე ადგილობრივი კომუნისტები, შეიარაღებულნი და მორიგეობით მილიციასთან ერთად მომუშავენი.

ოზურგეთში იყო ქალაქის მილიცია, სამაზრო მილიცია და სამაზრო მილიციის განსაკუთრებული ცხენოსანი რაზმი, სამხედრო წესზედ განწყობილი და ყაზარმებში მოთავსებული და ყოველ წუთს მზად მყოფი საჭირო მიმართულებით წასასვლელად. ოზურგეთში იდგა სამაზრო „ჩონის" შტაბი, მცირე კადრით, რომელიც პერიოდულად ახდენდა კომუნისტების მობილიზაციას და ავარჯიშებდა მათ სამხედრო წესების მიხედვით. რამდენადაც მე მახსოვს, მაზრის მილიციის შტატი შედგებოდა 203 კაცისაგან. ამას ემატებოდა სისხლის სამართლის მილიცია. ოზურგეთში არსებობდა სამაზრო ჩეკა, საჭირო შემადგენლობით და ყველა რაიონებში თავისი რწმუნებულებით და საიდუმლო აგენტებით. რუსის და ქართველი ჯარის ნაწილების რიცხვი მატულობდა რეპრესიების დროს და იკლებდა შემდეგ, მაგრამ არასოდეს არ ყოფილა შემთხვევა, რომ მაზრა სრულიად დაცლილიყოს: ერთი გუნდი ქვეითთა ჯარისა და ერთი ცხენოსანი ასეული მაინც იმყოფებოდა მუდმივად გურიაში.

მაზრა რაიონებთან და რიაონები სოფლებთან დაკავშირებული იყვნენ ფონტითა და ტელეფონით. დიდი რეპრესიების დროს, ყველა ეს ძალები მოქმედებდნენ შეთანხმებულად, ერთი სარდლობის ქვეშ და საჭიროების მიხედვით სულ რამოდენიმე ათეულ წუთში შეკრავდნენ ამა თუ იმ რაიონს.

ყველა ეს ძალები ჩვენს სამხედრო შტაბს აღრიცხვაზე ჰყავდა აყვანილი, თვითეული დარგი ცალ-ცალკე, თავისი შეიარაღებით, და დანიშნულებით. გარდა რიცხობრივი აღრიცხვისა, უმთავრესი ყურადღება ექცეოდა მტრის ძალების ბრძოლის უნარიანობის შესწავლას. ამ მიზნით მთელი პირადი შემადგენლობა იმყოფებოდა მუდმივი თვალყურის დევნების ქვეშ. თვითეული პიროვნების ხასიათი, სიმტკიცე, ცოდნა, სუსტი მხარეები, ნათესაური ან მეგობრული დამოკიდებულება ჩვენებთან თავდადება საბჭოთა ხელისუფლებისათვის, სიმკაცრე და ლმობიერება რეპრესიების დროს, შესწავლილი იქმნენ და ამის მიხედვით აჯანყების წინა თვეებში საოკუპაციო ხელისუფლების ძალები ჩვენს აღრი-

ცხვაში გაყოფილ იქმნენ ორ ნაწილად: პირველი, ისინი ვინც უნდა განიარაღებულ იყვნენ პირველსავე შეტევაზედ, და მეორე, დაბალი და არა აქტიური პარტიის წევრები და სხვადასხვა მოხალისენი. რომელნიც საშიშ ძალას არ წარმოადგენდნენ და თავის თავად განიარაღდებოდნენ ჩვენს პირველსავე გამარჯვებასთნ ერთად. თვალყურის დევნების ქვეშ იყენენ აგრეთვე ახალგაზრდა კომუნისტები „კომსომოლისტები" და მტრის საიდუმლო აგენტები. რომ შემდეგ განმეორება არ დარჩეს საჭირო, აღვნიშნავ რომ საერთო რიცხვი მტრის ძალებისა აჯანყების წინა თვეებში უდრიდა 3000—3500 კაცს, გარდა ჯარის ნაწილებისა, რომლის რიცხვი იცვლებოდა ხშირად მდგომარეობის მიხედვით.

ამ ორმაგი მუშაობის წარმოება ითხოვდა დიდ ენერგიას, გამოცდილებას, ხალხის პირადად ცნობას და მათ თვალში ურყევი ნდობის ქონას. ყველა ამ თვისებებით დაჯილდოვებული იყო შეიარაღებულ დევნილთა ის ნაწილი. რომელიც გურიაში მოღვაწეობდა თითქმის 20-25 წლის მანძილზედ, დამოუკიდებლობის დროს გაეცვნენ სახელმწიფო მუშაობის ადმინისტრაციის თუ სამხედრო დარგში და ხელახლა ტყედ გასულნი სრული მიუდგომლობით აფასებდნენ წარსულის დადებით და უარყოფით მხარეებს. მათი ახალი ამხანაგები, დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ტყედ გასულნი, მათგან იღებდნენ არალეგალური მუშაობის ეამოცდილებას და ბევრ იმ თვისებებს, რაც გურიაში მუდამ ახასიათებდა სახალხო საქმისათვის დევნილებს: გამძლეობა ყოველივე გასაჭირის დროს. უაღრესი, იდეალურ-რაინდული თავდადება ამხანაგისათვის, ასკეტური დამოკიდებულება ყოველგვარი სიამოვნებისადმი, მორიდება მოსაცლეობის, იარაღის ხმარა მხოლოდ საერთო მიზნისათვის ან უკიდურეს შემთხვევაში და სხვა... თვით მტერი დიდ ანგარიშს უწევდა მათ და მუდამ დამარცხებული პირადად მათთან ბრძოლაში, შურს ძიობდა მათ ოჯახებზედ. აუწერელია ის ტანჯვა, რაც მათმა მოხუცმა დედ-მამამ, წვრილმა ცოლ-შვილმა და ნათესავებმა იგემეს ხელისუფლებისაგან მთელი სამ ნახევარი წლის განმავლობაში მათ ბეკური საშუალებებით ებრძოდნენ, მაგრამ მხოლოდ ერთი მათგანი იმსხვერპლეს და ისიც თითქმის შემთხვევით.

ეს იყო ალფესი გოგუაძე. ობოლაძის მოკვლის შემდეგ მერვე დღეზედ მთავრობა დაესხა მის ოჯახს სახლების დასაშლელად. ალფესი, იმ დროს ტიფის ნიშნებით ავადმყოფი, მარტოდ ოჯახში მისულიყო. როდესაც მის ეზოში მილიციელები შევიდნენ მან დინჯად იარაღი აისხა, სახლიდან გამოვიდა და თავისი მშეექარე ხმით უბრძანა მათ ხელი არ

ვაენძრიათ. გოგუაძეები, ყველა ძმები, სცხოვრობდნენ ერთ ეზოთ. რამოდენიმე სახლებში და ყველა ესენი, თავიანთი ცოლშვილით უნდა ჩავარუნილიყვნენ საფრთხეში, თუ ეზოში მოხდებოდა სროლა, აი, ამას მოერიდა ალფესი და თან დარწმუნებული, რომ ეზოში ასე ჯგუფად სახლის კარებთან მოსული მილიციელები, მის სახლში ყოფნას არ მოელოდნენ მაშასადამე სხვა ძალა არ ყავდათ, აუჩქარებლად გამოვიდა ეზოდან შარაზედ. აი, ამ დროს მას დაუშინეს უკნიდან იქვე ჩასაფრებულმა მილიციელებმა და პირველსავე სროლაზედ სასიკვდილოდ დასჭრეს, რის შემდეგაც მან სროლით ცოტა მანძილი კიდევ გაიარა და დაეცა ძირს. მისი ანგარიში არ გამართლდა და მისი ოჯახისათვის თავის განწირვა უნაყოფო აღმოჩნდა: ოჯახი დაანგრიეს და ნელ-ნელა სხვა ძმებიც ციხეთა და გადასახლებით მოსპეს.

თავის მხრივ ხალხიც კარგად იცნობდა დევნილებს და ჰქონდათ მათი უსაზღვრო სიყვარული და ნდობა. იმ საშინელი რეპრესიების დროს, როცა ტალახაძემ ღლონტის ჯგუფის უმრავლესობა მოსპო და დანარჩენი იძულებული გახდა საზღვარგარეთ გასულიყო, როცა უიარაღო პოლიტიკურ დევნილებსაც არ ჰქონდათ გასაქანი, იარაღიანი დევნილები გურიას არ მოსცილებიან, მათი შემნახავი და დამხმარე ორგანიზაციები არ მოშლილან და როცა ყველა და ყველაფერი რუსის ჯარმა მიწასთან გაასწორა, მხოლოდ ისინი იდგნენ ფეხზედ და ამათ შეაფარეს თავი გურიის კომიტეტის და სხვა პარტიული ორგანიზაციების მეტისმეტად დევნილმა წევრებმა.

მოკლედ, 1921 წლიდან აჯანყებამდის გურიის დევნილებმა ითამაშეს ედიდესი როლი სამხედრო მუშაობის მოწყობაში, ამ ნიადაგზედ ხალხის დარაზმვაში და მის ბრძოლის ველზედ გამოყვანაში. ამ მუშაობასთან ერთად ისინი ხშირად შველოდნენ გურიის კომიტეტს თავის პოლიტიკურ მუშაობაში და თავიანთ ზურგზედ გადაჰქონდათ ბევრი ტექნიკური მუშაობა.

* * *

ტალახაძის ხელით საოკუპაციო ხელისუფლებამ მოსპო ღლონტის ჯგუფი, დახვრიტა რამოდენიმე ასეული პოლიტიკურ პარტიათა წევრები, გაანადგურა ეკონომიურად მთელი მაზრა, შეიძინა დაშინებულთა შორის ახალი წევრები კომუნისტურ პარტიაში, მიიღო მრავალი ხელწერილი წარსულის უარყოფისა და მომავალში მორჩილებისა და ამ შედეგების მიხედვით სრულიად გამარჯვებულად იგრძნო თავისი თავი.

მთელს საქართველოში თავისი „მოღვაწეობის“ დასაგვირგვინებლად ის შეუდგა მზადებას ეგრედ წოდებული სალიკვიდაციო კონფერენციის მოსაწვევად. ამ მიზნით ხელისუფლებამ დაიწყო „ხელ-მოწერილთა“ შორის კრებების მოწვევა დელეგატების ვითომდა ასარჩევად. კომუნისტურმა პრესამ აიღო განსაკუთრებული ხაზი და ცდილობდა მოეჩვენებინა ხალხისათვის, რომ ამ კონფერენციაზედ მართლაც რაღაცა საერთო ენა უნდა გამონახულიყო მთავრობასა და ხალხს შორის, რომ მოშავალ-ში ყველას მიეცემოდა საშუალება საბჭოთა მთავრობას გვერდში ამოსდგომოდა „აღმშენებლობის“ ნიადაგზედ. საერთოდ ეს სიტყვა „აღმშენებლობა“ იმ დროს ყველას პირზედ ეკერა, მას თავისი მოტრფიალენი და თეორეტიკოსები ჰყავდა. ამ გზით ზოგი ეროვნული ძალების გადარჩენას ფიქრობდა, ზოგი კომუნისტებზედ გავლენის მოხდენას, ზოგს მართლად გულწრფელად სწამდა, რომ რუსეთზე დაყრდნობილ საბჭოთა მთავრობასთან უნაყოფო ბრძოლას ისევ რამენაირად მორიგება სჯობდა და სხვა. მე არა მაქვს მიზნად ეს მოძრაობა ავწერო მთელი საქართველოს მასშტაბით, ამიტომ მის განვითარებაზედ და დასასრულზედ მხოლოდ ზერელედ ვილაპარაკებ. ჩვენს მაზრაში კი როგორც მთავრობა შეუდგა ამ-მუშაობას, ჩვენი მიწაში ჩაფლული ორგანიზაციები სწრაფად გამოცოცხლდნენ და შეუდგნენ საწინააღმდეგო მუშაობას. და აი, ამ მუშაობის დროს საბჭოთა ხელისუფლება დარწმუნდა, რომ მისმა რეპრესიებმა უნაყოფოდ ჩაიარეს, რომ მიუხედავად ამდენი მსხვერპლისა, ან სწორედ ამიტომ, ხალხმა შეინარჩუნა ის, რაც ბრძოლაში არის მთავარი, წინააღმდეგობის სული. მთავრობას წინასწარ ჰყავდა დანიშნული პიროვნებები კონფერენციაზედ დელეგატად გასაგზავნად, და კრებებს მხოლოდ ფორმისათვის აწყობდნენ, რომ ამით მეტი ფასი მისცემოდა მათ დელეგატებს. გურიის კომიტეტმა დაიწყო მუშაობა ორ ფრონტზედ. პირველი: პირადი შეხვედრების, საიდუმლო კრებების თუ არალეგალური ფურცლების საშუალებით (სხვათა შორის გურიის კომიტეტს ჰქონდა ერთი პატარა სტამბა) გაჩაღდა ბრძოლა ხელმოწერილ ხალხში იმ ილუზიების გასაფანტავად, რაც მათ ჩეკამ სიკვდილის შიშით ჩაუნერგა და მეორე, მიტანილ იქმნა იერიში სადელეგატოდ გამზადებულ პირებზედ. ყველა ასეთ პირებს მიეჩინა ისეთი ხალხი, ვისაც ისინი ვერ გასცემდნენ პირადი დამოკიდებულების გამო, აგრეთვე ნათესავები, ხშირად საკუთარი ოჯახის წევრებიც. ყველა ესენი დღე და ღამ ჩასჩიჩინებდნენ მათ მოღალატურ როლზედ, მიუთითებდნენ დახვრეტილი და ციხეში მყოფი ამხანაგების მაგალითზედ, მეზობლების გა-

ნადგურებულ ოჯახებზედ, საბჭოთა მთავრობის სიფლიდეზედ და მისი დაპირებების სიყალბეზედ. ამგვარად ბევრმა „დელეგატმა“ უარი სთქვა კონფერენციაზედ წასვლაზედ, ზოგმა თავი ავად გაიხადა, ზოგი მაზრიდან სრულიად წავიდა და ზოგმა კი მიიღო თავის თავზედ კონფერენციაზედ მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვის წარმოთქმა. აშკარა კრებებზედ ხალხი მიდიოდა და თავისი შეკითხვებით ოფლში სწურავდა მთავრობისაკენ სამუდამოდ გადასულ პირებს, კრებებს დასასრულს არ აძლევდნენ და ხშირად უშედეგოდ შლიდნენ. ეს მუშაობა მიმდინარეობდა მწყობრად მთელს მაზრაში და მთავრობა ბრაზ-მორეული, რამოდენიმე კვირის წინათ პოლიტიკური პარტიების მისამართზედ სულთათანას მგალობელი, დღეს თვითონვე სიტყვით და პრესით ადასტურებდა, რომ ეს პარტიები ისევ ფეხზედ იდგნენ, ებრძოდნენ მას და ზედიზედ შეტევაზედ გადადიოდნენ. ვინ არ მოიყვანეს ოზურგეთში ცენტრიდან, რუსეთიდგანაც კი გვაახლეს „ძვირფასი სტუმრები“: რენეგატი მარტინოვი, ბუხარინი და სხვები, მაგრამ კონფერენციაზედ წასულ დელეგატებში უმეტესობა მაინც მისი მოწინააღმდეგე იყო. ამ კონფერენციაზე გურიის დელეგატებს აღარც კი ენდენ და გარდა ერთი ორი მეტის მეტად წამხდარი პიროვნებისა, არავინ მუშაობაში არ გაურიეს. საერთოდ კონფერენციამ არ გაამართლა მთავრობის იმედი, ბევრმა იქვე აშკარად ამხილა მისი ნამდვილი შინაარსი და მთელი პოლიტიკური პარტიების მაგივრად, მთავრობამ თავის გვერდით მხოლოდ მათი ღირსებითაც და რიცხვითაც უმნიშვნელო ნაწილი ამოიყენა. ამ კონფერენციის შემდეგ არალეგალურ პრესაში იბეჭდებოდა ისევ ჩვენსკენ მობრუნებული ხალხის წერილები და ამით ბათილდებოდა მათ მიერ შიშის ქვეშ გაცემული დაპირებები. ბევრი ამ ხალხიდან და თვით ყოფილი დელეგატები არალეგალურ ცხოვრებას შეუდგნენ, შემდეგ აჯანყებაში მიიღეს მონაწილეობა და სხვებთან ერთად მსხვერპლს იღებდნენ. აღსანიშნავია, რომ კომუნისტურ მთავრობაზედ ყველაზედ უფრო ბრაზ-მორეული და შურის ძიებაზედ შემდგარი ეს ხალხი იყო.

აქვე მინდა აღვნიშნო ერთი დიდი მარცხი, რომელიც ჩვენ ამ ხანებში მოგვივიდა და რომელმაც მეტისმეტად დიდი ზარალი მოგვაყენა.

საოკუპაციო ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღიდან, რამოდენიმე წინდახედული პირის თაოსნობით, საბჭოთა სამაზრო ადმინისტრაციაში და ჩეკაში შეყვანილ იქმნა რამოდენიმე ახალგაზრდა, რომელთაც პირადი თვისებებისა და ოჯახური ნათესაური მდგომარეობის მიხედვით, ეს პირები აუცილებლად საიმედოდ და სამუდამოდ ურყევ-

ლად სთვლიდნენ. ᲐᲐᲗ ეს შეხედულება სავსებით გაამართლეს. თითქმის სამი წლის განმავლობაში ყოველდღიურად აწვდიდნენ ჩვენს სამაზრო ცენტრს საბჭოთა მთავრობის ყოველივე გადაწყვეტილებას, ცენტრიდან მიღებულ ცნობებს, კომუნისტური პარტიის საიდუმლო დადგენილებებს, ადგილობრივად განზრახულ რეპრესიებს და საბუთებს საბჭოთა მთავრობის საქმიანობის შესახებ ყველა დარგში. საშინელი იყო ამ ხალხის მდგომარეობა: ყოველ წუთში ისინი ელოდნენ თავიანთი მოღვაწეობის გახსნას და მაშასადამე აუცილებელ დახვრეტას და ოჯახების განადგურებას. რა გვქონდა ჩვენ რომ ეს ხალხი მოგვესყიდა, ან რით შეგვეძლო მათი დაშინება, რომ ჩვენი ცნობების მომცემნი გამხდარიყენენ? არაფერი. ამ მდგომარეობაში მათ შეგნებულად ჩაიყენეს თავიანთი თავი, და ამ საშინელ მდგომარეობაში ყოველ წუთში, დღე და ღამ სიკვდილის შიშის მოლოდინში სამი წელი ემსახურნენ თავიანთ სამშობლოს.

მათ მიემატათ ერთი პიროვნება, რომლის ბედი მეტის მეტად ამაღელვებელია. ეს იყო ძველი, იდეური კომუნისტი მარტიან კიღურაძე, ძმა დიდი ხნიდან გარდაცვალებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცნობილ მოღვაწე ლავროსი კიღურაძის. ეს კაცი გულწრფელად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ძალიან მომზადებულიც იყო და დიდი თანამდებობაც მიიღო საქართველოს დაპყრობის შემდეგ. მაგრამ საშინელი იყო მისი სულიერი ტრაგედია. როცა ის დარწმუნდა თავის შეცდომაში. როცა მიხვდა რომ ერის ღალატში მონაწილეობა მიიღო და მოინდომა მისი შეცდომის გამოსწორება, დიდი ცდების შემდეგ დაუკავშირდა გურიის კომიტეტს. იყო სამაზრო ჩეკის მთავარი მდივანი და აწვდიდა ჩვენებს ყოველგვარ ცნობებს. მეტის თქმა მათზედ ეხლა შეუძლებელია, უნდა ვთქვა მხოლოდ, რომ მათი თავდადება და ღვაწლი ჩვენს მაშინდელ მუშაობაში დაუფასებელი იყო.

1923 წელს შემოდგომაზედ ეს ორგანიზაცია ჩავარდა თითქმის მთლიანად: კიღურაძე დახვრიტეს, ერთი პირი თბილისში გასატეხად და ოასახვრეტად აყვანილი, გასაოცარი მოხერხებით გაიქცა ჩეკიდან, სასწრაფოდ ჩამოვიდა გურიაში და მოასწრო ეცნობებინა საქმის ჩავარდნა იმათთვის, რომელთაც არაფერი იცოდნენ და კიდევ სამსახურს განაგრძობდნენ. ამით ისინიც გადაარჩინა და ეს ხალხი შეუერთდა გურიის დევნილებს. ამ ამბავმა დიდი ალიაქოთი გამოიწვია მთელს მაზრაში, შთავრობამ საეკვოდ გამოაცხადა მთელი თავისი აპარატი, ბევრი კომუ-

ნისტი მოხსნილ იქმნა თანამდებობიდგან, ბევრი დაქვეითებული თუ გადაყვანილი საქართველოს სხვა კუთხეებში. ამ შემთხვევის გამო ბევრი ხალხი დაატუსაღეს, მათ შორის კიღურაძის ძმა, ოფიცერი, კოპრონი კიღურაძე, რომელიც შემდეგ დახვრეტილ იქმნა თბილისში.

ამ ორგანიზაციის ჩავარდნამ დიდი ზარალი მოგვაყენა და გაგვინახევრა შანსები არალეგალური მუშაობის წარმოებისა. გადაუჭარბებლად შეიძლია ვთქვა, რომ ეს ორგანიზაცია ჩვენ აჯანყებამდის შეგვენარჩუნებინა, ქ. ოზურგეთში მოქმედებისათვის აჯანყების დროს ის ითამაშებდა უდიდეს, გადამწყვეტ როლს.

* * *

კონფერენციის შემდეგ ცხოვრება ჩადგა ჩვეულებრივ კალაპოტში; ნელი, მაგრამ შეუჩერებელი რეპრესიები ადგილობრივი ჩეკისა და ადმინისტრაციის ძალებით წარმოებული,დატუსაღება, თვეობით ციხე, გადასახლება, გაშვება. ისევ მოულოდნელად დატუსაღება, ოჯახების ნგრევა და სხვა. მთავრობა დარწმუნდა, რომ მისი პოლიტიკით ხალხი სამუდამოდ მტრად გადაიკიდა, ის უკვე აღარ ეძებდა შემარიგებელ საშუალებებს და ცდილობდა ნელ-ნელა მთელი უფროსი თაობა მოესპო, მას უკვე აღარ სწამდა, რომ შიშით ან მოფერებით ამ თაობას გარდაქმნიდა. მთელი მისი მუშაობა ამ მხრივ გადატანილ იქმნა ახალგაზრდობაზედ: გაჩაღდა ბრძოლა სკოლებში, პროპაგანდა-აგიტაცია და სკოლის კარები დაიხურა პოლიტიკურად არასაიმედო ხალხის შვილებისათვის. ათასგვარი შეღავათებით და საჩუქრებით სცდილობდნენ უღარიბესი ოჯახების შვილების მოსყიდვას, კომსომოლაში ჩაწერას. ერთხელ მათ კლანჭებში მოხვედრილს პიროვნებას აკეთებინებდნენ ისეთ რამეს, რომლის შემდეგ მას ხალხისაკენ მოსაბრუნებული პირი აღარ ჰქონდა. თავის მხრივ ხალხს უკვე აღარ სჭირდებოდა პროპაგანდა-აგიტაცია საბჭოთა მთავრობის დასაფასებლად, თუ წინათ კიდევ რაღაცას მოელოდნენ მისგან, ეხლა ეს იმედი სრულიად გაჰქრა. თუ წინათ კერძო ლაპარაკში ნაცნობ კომუნისტებს ეკამათებოდნენ პოლიტიკურ კითხვებზედ, ეხლა ამის სურვილი აღარავის ჰქონდა. ორივე მხარე სამუდამოდ დასცილდა ერთი მეორეს, ორთავენი საკუთარს პოზიციებზედ იდგნენ. სასოწარკვეთილებამდის მისული ხალხი წყალწაღებულივით უბრალო ბავსსაც კი ეჭიდებოდა, რომ ამ მდგომარეობიდან აძოსულიყო.

ეს წელიწადი 1923, მოკლედ შეიძლება დახასიათდეს აძხაირად: ხალხის სრული განკურნება საბჭოთა მთავრობაზედ დამყარებული ილუზიებისაგან, ყველა წრეში და განსაკუთრებით ახალგაზრდობაში ანტი-რუ-

სული სულისკვეთების ჩამოყალიბება, ეროვნული საკითხისადმი ერთხელ და სამუდამოდ უპირატესობის მინიჭება სხვა სოციალურ-პოლიტიკურ შინაარსის საკითხებზედ, ამ საკითხის გარშემო მთელი ერის დარაზმვა. ამავე დროს 1921 წელთან შედარებით ხალხის, როგორც მებრძოლი ერთეულის, ძლიერ შესუსტება ქონებრივად და იარაღის მხრივ, მისი ხელმძღვანელი წრეების (როგორც მაგალითად პოლიტიკური მოღვაწენი, ინტელიგენცია, მხედრები) უაღრესად შემცირება დახვრეტების, ციხეებისა და გადასახლების საშუალებით. ერთი სიტყვით 1923 წლის ბოლოს ჩვენ უკვე გვქონდა ის, რაც არ გვქოდა (ძველ ხალხში) 1921 წელში. ესე იგი მტკიცე და ურყევი გადაწყვეტილება დამოუკიდებლად ცხოვრებისა, და არ გვქონდა ის, რაც გვქონდა 1921-ში და რაც ნელ-ნელა გაგვინახევრა საოკუპაციო ხელისუფლებამ სამი წლის განმავლობაში. მართალია, ამ ქონებრივმა და ფიზიკურმა ზარალმა შეგვაძენინა ის. რაც საუკუნეობით დაკარგული იყო, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ, რამდენადაც მთელი საქართველოს მდგომარეობას მე ვიცნობდი და მახსოვს, იმ დროს საქართველო წარმოადგენდა ცალფრთა მოტეხილ არწივს, ბრძოლის გუნებაზედ შემდგარს, მაგრამ ბრძოლისათვის უკვე წინასწარ განახევრებულს.

აი, ამ მდგომარეობაში და სულიერი განწყობილებით ჩვენ შეეედით იმ ხანაში, როცა საქართველოში დაიწყო აჯანყებაზედ ლაპარაკი, ეს იყო 1924 წელი, თებერვალი.

ნ ა წ ი ლ ი III

მზადება აჯანყებისათვის

1924 წელს 2 თებერვალს გურიაში შედგა სოციალ-დემოკრატიული პარტიის სამაზრო კონფერენცია. ამ დღეს დელეგატებმა პირველად მოისმინეს თბილისიდან ჩამოსული, ციხიდან ახლად განთავისუფლებული, ვანო ღლონტის პირით, ცენტრალური კომიტეტის და დამკომის პრინციპიალური გადაწყვეტილება აჯანყების მოწყობის შესახებ. ეს იყო მხოლოდ ცნობისათვის და არავითარი განკარგულება ამ ცნობას თან არ ახლდა. ეს ცნობა სამაზრო დ სარაიონო პარტიულ და სამხედრო პასუხისმგებელ პირებს არ გასცილებია და ხალხმა ამის შესახებ ჩვენის მხრივ არაფერი იცოდა. მაგრამ 1924 წლის გაზაფხულის თვეებში მოხდა ისეთი ფაქტები, როგორიც იყო საზღვარგარეთიდან ხალხის ჩამოსვლა, ჩვენს წინააღმდეგ კამპანიის გაჩაღება, და აგრეთვე რეპრესიების გაძლიერება. ყოველივე ამან მთელ საქართველოში განსაკუთრებული დაჭიმული სულიერი მდგომარეობა შექმნა და არავინ იცოდა თუ რა ხდებოდა სინამდვილეში.

გურიის სამაზრო კომიტეტი და სამხედრო შტაბი გაეცნო მდგომარეობას საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ვალიკო ჯუღელის საშუალებით, რომელმაც დაჰყო გურიაში დაახლოებით ერთი თვე, ამ ხნის განმავლობაში ჯუღელი ეცნობოდა გურიის მდგომარეობას, ნაწილ-ნაწილად პასუხისმგებელი პირების ნახვით და ბოლოს, მისი თბილისში წასვლის წინ, დანიშნულ ვადაზე მოხდა გურიის კომიტეტის და სამაზრო და სარაიონო შტაბების წარმომადგენელთა კრება. ამ კრებაზე ჯუღელმა გააკეთა მოხსენება მისი და სხვების ჩამოსვლის შესახებ. მისი სიტყვით, მათი ჩამოსვლა გამოწვეული იყო იმ წერილებით, რომელთაც საზღვარგარეთელი ხელმძღვანელობა ღებულობდა დამკომისაგან. დამკო-

ში. ამბობდა ჯუღელი. გვაცნობს რა საქართველოს მდგომარეობას, საჭიროდ სცნობს შეიარაღებული ბრძოლის დაწყებას და შესაძლებლად მიაჩნია პირველ დაკვრაზედ საქართველოს განთავისუფლება, იმ იმედით, რომ საზღვარგარეთ მყოფი მთავრობა შესძლებს თავის მ'ხრივ. მორალური და ქონებრივი დახმარების აღმოჩენას, აჯანყების პირველსავე დღეებში. ჩემი და ჩემი ამხანაგების მოვალეობა გამოიხატება სწორედ იმაში. რომ ადგილობრივად გამოვარკვიოთ, მართლა შეუძლია თუ არა საქართველოს თავისი ძალებით თავისი თავის განთავისუფლება. რაც შეეხება, საზღვარგარეთიდან რაიმე დახმარების მიღებას, მან ამის შესახებ სიტყვასიტყვით განაცხადა შემდეგი: „არავითარი დახმარების იმედი საზღვარგარეთიდან ჩვენ არ უნდა გვქონდეს აჯანყების მოხდენამდის და თუ ჩვენ, აჯანყებით პირველსავე დაკვრაზედ გავნთავისუფლდებით და დაახლოებით ერთ თვეს შევძლებთ მტერს გავუმკლავდეთ, ამ ხნის განმავლობაში ჩვენები აუცილებლად რამეს მოახერხებენ“-ო. საერთო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ჯუღელმა იმაზე მეტი ვერაფერი გვითხრა, რაც ჩვენ თვითონ ვიცოდით: რუსეთს ამ დროს არავითარი საშინაო და საგარეო გართულება არ ჰქონია და არც არაუინ ეძებდა რაიმეს საბაბს მასთან შესაბმელად. ჩვენის მხრივ, ჩვენ მას გავაცანით ჩვენი აზრი აჯანყების შესახებ. რამდენადაც ჩვენ ვიცნობდით საქართველოს მდგომარეობას, ჩვენ არ გვქონდა დიდი იმედები ერთი დაკვრით გამარჯვებისა და მით უმეტეს შემდეგ ერთ თვეს რუსეთთან პირისპირ გაძლებისა. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ის კუთხეები, სადაც ნაწილობრივ აჯანყებებს უკვე ჰქონდა ადგილი, იმდენად განადგურებულნი იყვნენ, რომ ვერავითარ საგრძნობ ძალას ვეღარ მოგვცემდნენ ახალ აჯანყებისათვის, და ეს ჩვენი აზრი სავსებით გამართლდა აგვისტოს დღეებში. რაც შეეხება ქალაქებს და განსაკუთრებით კი თბილისს, იქ ჩვენს ეპვებს ფანტავდა ის რწმენა, რომ დამკომი არავითარ შემთხვევაში არ დაიწყებდა მოძრაობას, თუ მას არ ექნებოდა დიდი შანსები იქ უეჭველი გამარჯვებისა. ჩვენის მხრივ, ჩვენ არავითარ გავლენის მოხდენას არ ვცდილობდით დამკომზედ აჯანყების საწინააღმდეგოდ ან სასარგებლოდ, და სრული სიმშვიდით ველოდით მის განკარგულებებს. ორივე მხრიდან აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ჯუღელმა ერთხელ კიდევ გაიმეორა, რომ აჯანყება არავითარ შემთხვევაში არ მოხდებოდა, სანამ ის პირადად არ გაეცნობოდა თბილისის და ჩოლოყაშვილის რაზმების მდგომარეობას. აჯანყების დამარცხების შემდეგ მტრები და ბევ-

რი მოყვრებიც ლაპარაკობდნენ იმ დაპირებების შესახებ, რომელიც ვითომ ჩვენ მივიღეთ საზღვარგარეთიდან. ჩემი სინდისის წინაშე ვაცხადებ და ამის მოწმენი არიან მთელი მაზრის მაშინდელი ხელმძღვანელები, რომ ჯუღელს არ უთქვამს ერთი ღერი სიტყვა იმაზედ მეტი, რაც ზემოთ მოვიხსენიე. ჯუღელის განცხადების შემდეგ, თვითეულს ჩვენთაგანს შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ აჯანყება ან სრულიად არ მოხდებოდა, ან ჯერ კიდევ ის შორეული საკითხი იყო. თვით აჯანყების შესახებ საერთოდ საქართველოს მასშტაბით ჩვენ არ გვილაპარაკია, მხოლოდ აღვნიშნეთ ის რომ, თუ აჯანყება მოხდებოდა, აუცილებელ პირობად მიგვაჩნდა პირველსავე რიგში თბილისის აღება.

თავის მხრივ ჯუღელი ვერ ბედავდა რაიმე გარკვეული აზრის გამოთქმას, ვინაიდან ის არ იყო გაცნობიერი მთელი საქართველოს მდგომარეობას, მაგრამ გურიაში მოქმედების შესახებ კამათის დროს, ის იმ აზრისა იყო რომ მოძრაობა დაწყებულიყო თემებში. შემდეგ გადასულიყო რაიონებში და იქიდან მაზრაში, ესე იგი ქვევიდან ზევით, მაშინ როდესაც ყველას ეს გეგმა მიუღებლად მიგვაჩნდა. ჩვენის აზრით, როგორც მთელ საქართველოში, ისე გურიაშიც, ჩვენ პირველივ ცენტრებზედ უნდა დაგვერტყა. საერთოდ ამ დღეს ჩვენ უფრო ზოგადი ხასიათის ბაასი გვქონდა, ვინაიდან იმ საღამოსვე ჯუღელი უნდა წასულიყო თბილისში და ჩვენ კი მეორე დღეს უნდა გამოგვემუშავებინა ადგილობრივად სახელმძღვანელო გეგმა. ეს ასეც მოხდა, ვალიკოს წასვლის გადადება შეუძლებელი იყო, ის დაგვემშვიდობა და წავიდა გურიიდან, რომ შემდეგ აღარასოდეს აღარ გვენახა.

მეორე დღეს კრებაზედ ჩვენ შევუდექით დაწვრილებით გურიაში სამოქმედო გეგმის გამომუშავებას. ამ კრებას დაესწრნენ გურიის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი სალუქვაძე, სამხედრო შტაბის თავმჯდომარე პოლკოვნიკი ვანო ცომაია, ორივე ორგანიზაციის რამოდენიმე წევრი, სარაიონო შტაბების წარმომადგენლები და რამოდენიმე შეიარაღებული დეტალი. ჩვენი და მტრის ძალების დაფასების შემდეგ, იმის გათვალისწინებით, თუ რა ცვლილება შეიძლებოდა მომხდარიყო ამ მდგომარეობაში, ან რა პირობებში შეიძლებოდა აჯანყების დაწყების ბრძანების მიღება, რომ არაფერი შემთხვევის ანაბარა არ დარჩენილიყო, ჩვენ გამოვიმუშავეთ ორი გეგმა:

1) ოზურგეთის აღება პირველსავე ღამეს საამისოდ მთელი მაზრიდან გამოყოფილი ძალებით და ყველა რაიონებზედ თავდასხმა; ამ პუნქტების აღებისთანავე, თემების გაშმენდა იმ ძალების საშუალებით, რომ-

ლებიც ჩვენ აღრიცხვაში მეორე რიგის რაზმელებად გვყავდა აღნიშნული; პირველი რიგის რაზმელების მიხმარება საერთო მდგომარეობის მიხედვით ბათუმის თუ ქუთაისის მიმართულებით.

ტეხნიკურად ეს გეგმა ასე უნდა შესრულებულიყო: თვით ოზურგეთის რაიონს, რომელიც სხვებთან შედარებით მეტისმეტად დაზარალებული და სუსტი იყო და ამოცანა კი ყველაზედ ძნელი ჰქონდა, არ შეეძლო ქალაქის აღება, ამიტომ გადაწყდა შემდეგი: თვითეული რაიონი გამოჰყოფდა ოზურგეთისათვის 50 კაცს, რაც შეადგენდა 150 კაცს, ორი ლუისის ტყვიის მფრქვეველით; ამას დაემატებოდა თვით ოზურგეთის რაიონის ხალხი. ეს ძალა ჩვენ საკმაოდ მიგვაჩნდა მოულოდნელი თავდასხმით ოზურგეთის ასაღებად. თუ ამნაირად ოზურგეთის ძალების გამოყოფა არ მოხერხდებოდა, სახეში გვქონდა მეორე საშუალება, რომელიც ჩოხატაურის რაიონს უნდა მოეცა და რომლის ავტორი ს. მათითაიშვილი იყო. ჩოხატაურის რაიონი მდიდარი იყო ხალხით და იარაღით. განსაკუთრებით კარგი მოწყობილი იყო ორი გუნდი: ერთი სურების და მეორე ხიდისთავის. მათითაიშვილის აზრით სურების გუნდს დაევალებოდა თავისი რაიონის უყურადღებოდ დატოვება და ჩოხატაურში ჩამოსვლა პირველი დაკვრისათვის. ეს სავსებით შესაძლებელი იყო ჩვენ მიერ გამოანგარიშებული დროის, მანძილის და სავალი გზის მდგომარეობის მიხედვით. ეს საშუალება ანთავისუფლებდა ხიდისთავის გუნდს, რომელიც მთლიანად მიყვანილი იქნებოდა ოზურგეთზედ.

2) მეორე გეგმა იყო: თავდასხმა რაიონებზედ, გაწმენდა მაზრის და შეერთებული ძალებით ოზურგეთზე წასვლა. ეს გეგმა მიღებული იყო იმ შემთხვევისათვის, თუ დროს უქონლობის გამო, ან მტრის მიერ წინასწარ მიღებული ზომები შეუძლებელს გახდიდნენ პირველი გეგმის შესრულებას.

ეს მეორე გეგმა არ მოითხოვდა იმდენ წინასწარ მზადებას, რამდენსაც პირველი და ამიტომ ყველა რაიონებს მიეცათ ამოცანები პირველი გეგმის მიხედვით. სამხედრო ხელმძღვანელად მთელს მაზრაში დანიშნული იყო ვანო ცომაია, რომელიც, დღიდან საქართველოს დაპყრობისა, არალეგალურად ცხოვრობდა, იცნობდა მთელ მაზრას საუცხოოდ და იყო ჩვენი სამხედრო შტაბის სულის ჩამდგმელი. ამ დადგენილების გამოტანის შემდეგ ყველანი წავიდნენ თავიანთ რაიონებში. სალუქვაძე და ცომაია კი წავიდნენ ოზურგეთის მიმართულებით იქაური მდგომარეობის მოსაწესრიგებლად.

ოზურგეთის რაიონში იმალებოდა შეიარაღებულ დევნილთა ერთი

პატარა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა პარმენ ჭანუყვაძე და რომელმაც ასე სამწუხაროდ გაითქვა თავი ემიგრაციაში. ამ პიროვნებამ არა ერთი ზარალი მიაყენა ჩვენს საქმეს საერთოდ და კერძოდ, ჩვენს აჯანყებასაც, ამიტომ იძულებული ვარ რამდენიმე სიტყვით შევჩერდე მასზედ. რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალებისა და საერთოდ ფრონტის დარღვევის შემდეგ, ჭანუყვაძე დაბრუნდა თავის სახლში და რამოდენიმე ხნის შემდეგ შევიდა სამსახურში სახალხო გვარდიაში, როგორც ოფიცერი. სამსახურში ის ცნობილი იყო როგორც პირადად ყოჩაღი და დისციპლინის მქონე ოფიცერი, მაგრამ დამოუკიდებლად მოქმედების დროს ინიციატივას მოკლებული. მაშინდელ აფორიაქებულ მდგომარეობაში, პირადი პასუხისმგებლობის წინაშე, ის უცბად კარგავდა წონასწორობას და კერძო ცხოვრებაში წყნარი და დინჯი, ის ხდებოდა საშინლად ანჩხლი და დაბნეული, ყველასათვის აუტანელი. ეს მისი ნაკლი ყველამ იცოდა და ამიტომ ერიდებოდნენ მის მარტოდ საქმეზე მიშვებას. გურიაში ბოლშევიკების მიერ მოწყობილი გამოსვლების ჩაქრობის შემდეგ, მან მიიღო მონაწილეობა სხვებთან ერთად სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის სისრულეში მოსაყვანად. აი, ამიტომ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ის გახდა დევნილი და შეუდგა სხვებთან ერთად იარაღით ხელში მალვას, ვინაიდან ის დარწმუნებული იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლება მას დახვრეტდა. პირველ ხანებში ის ამ მდგომარეობას ადვილად ურიგდებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც სხვებთან ერთად მისი ოჯახი რამოდენიმეხელ დაზარალდა და თან საქართველოს განთავისუფლება ახლოს არ ჩანდა, მას დასჩემდა მეტისმეტად ნერვიულობა. პირველად ეს მხოლოდ მასთან მყოფმა ამხანაგებმა შეამჩნიეს, რომელთაც ხშირად ის უმიზეზოდ ეჩხუბებოდა და იყო შემთხვევები, რომ იარაღითაც გაიწია ზოგიერთ მათგანზედ. შემდეგ სხვა ამხანაგებთან და პარტიულ პასუხისმგებელ პირებთან დაიწყო ჩივილი თავის მდგომარეობაზედ და მისი ოჯახის შეწუხებაზედ. სრულიად არ უწევდა ანგარიშს სხვების მდგომარეობას, ამბობდა, რომ ის არასოდეს რომელიმე პარტიის მიმდევარი არ ყოფილა და შემთხვევით გაება ბოლშევიკებთან ბრძოლაში. ერთი სიტყვით ის ნანობდა, რომ ბარიკადების აქეთა მხარეზედ მოხვდა და ამით თავისი ცხოვრება დაღუპა. ამხანაგები ხედავდნენ ყოველივე ამას და ერიდებოდნენ მის გაღიზიანებას. მიუხედავად იმისა, რომ ქონებრივად მისი ოჯახი ყველაზედ უკეთესად იყო, და ორი მისი ძმები სამსახურში იყვნენ (ერთი მათგანი წითელი კურსანტი), ჩვენი ორგანიზაცია მას განსაკუთრებით ანგარიშს უწევდა და ყვე-

ლაზე მეტად მას ებმარებოდა. ამ მხრივ ის გურიის ყველა დევნილებში განსაკუთრებული იყო და მისი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, ხშირად ისეთ საქმეზედაც უძახოდნენ, სადაც სხვები უფრო გამოსადეგი იყვნენ. როგორც ოზურგეთის რაიონის მცხოვრები, მას სრულიად ბუნებრივად მიაჩნდა თუ აჯანყება მოხდებოდა, იმ რაიონში ხელმძღვანელობა მას დაკისრებოდა. სამაზრო შტაბი კი არ სცნობდა მას ამ მეტად საპასუხისმგებლო რაიონში ხელმძღვანელობის ღირსად და ცდილობდა დაენიშნა იქ უფრო სავარგისი ოფიცერი. ისე რომ ჭანუყვაძეს თავი შეურაცხყოფილად არ ეგრძნო და რაც უფრო სახიფათო იყო, გაჯავრებულს რაიმე სისულელე არ ჩაედინა. ამდენად სახიფათო კაცად მიაჩნდა ის შტაბს და სწორედ ამ საკითხის მოსაწესრიგებლად გაემგზავრენ ოზურგეთის რაიონში სალუქვაძე და ცომაია. ეს მგზავრობა ჩვენთვის კატასტროფულად დამთავრდა: ცომაია და სალუქვაძე დაიჭირეს ჩეკისტებმა. მათ ორივემ გაქცევა სცადეს, ცომაია დასჭრეს ფეხში და ორთავენი ისევ შეიპყრეს. დღეს შეუძლებელია ამ მოვლენაზედ ფარდის ახდა გასაგები მიზეზების გამო, მაგრამ შემიძლია სრული პასუხისმგებლობით ვსთქვა, რომ ეს უბედურება მოყვა ჭანუყვაძის ჯიუტობას, განზე ვადგომას და აბეზარი ბავშვივით მუდამ მუქარას და საყვედურებს. რასაკვირველია, არავის არ უფიქრია მაშინ და არც დღეს, რომ ის იმ დროს პოლიტიკურად საეჭვო პირი იყო, ან ამ მარცხთან რაიმე პირდაპირი კავშირი ჰქონდა.

სალუქვაძის და ცომაიას ჩავარდნა უფრიდა ჩვენთვის ყველა იმ ზარალს, რაც სამი წლის მანძილზე განვიცადეთ. პირველი იყო გურიის კომიტეტის ჯერ წევრი და შემდეგ თავმჯდომარე. ამ ხნის განმავლობაში მთელი მუშაობა მის თვალწინ და შემდეგ მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. მთელი პარტიული ორგანიზაციების ძაფები მის ხელში იყრიდნენ თავს, თავის გამოცდილებით და ავტორიტეტით, მტკიცე, ურყევი ნებისყოფით ის წარმოადგენდა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების სულსა და გულს. ასევე აფასებდა მას ჩეკა. მაგრამ მიუხედავად ათასგვარი ზომებისა ის აქამდის უვნებელად დრჩა. მის ხელშეუხებლობაში ჩვენ სრული დარწმუნებული ვიყავით და მისი დაჭერა პირდაპირ თავზარდამცემი დარჩა ჩვენთვის. მდგომარეობას ის ართულებდა, რომ თავიდანვე მისი თანამშრომლები მასთან აღარ იყვნენ: ზემოხსენებული ვანო ღლონტი ხელახლა დაჭერილი იყო. მეორე მისი ამხანაგი ვასო ჩიტაიშვილი, რომელიც დაპყრობის შემდეგ ეროვნულ ნიადაგზედ აღზრდილი და დამწიფებული ახალგაზრდობის თვალი იყო, ცენტრალური კო-

მიტეტის განკარგულებით გადაყვანილი იყო ბათუმში არალეგალური მუშაობის საწარმოებლად. ასე თავმომძვრალი და კიდევ მეტი დარჩა სამხედრო ორგანიზაცია. ვანო ცომაია დაპყრობის დღიდანვე საშინლად დევნილი, არალეგალურად ცხოვრობდა. იცნობდა მთელს გურიას პირადად, როგოც ჩვენებს, ისე მტერს, შესწავლილი ჰქონდა ყოველმხრივ ჩვენი და მტრის მდგომარეობა, სამხედრო მუშაობის დაწყების დღიდანვე იყო მისი ხელმძღვანელი. მთელი ჩვენი იმედები მასზედ იყო დამყარებული, ვინაიდან ზემოხსენებული თვისებების გამო მისი შემცვლელი ჩვენ არავინ გვყავდა (პოლკოვნიკი ვიქტორ ინწკირველი, რომელიც ჩვენთვის ერთ დროს დიდი იმედი იყო, არალეგალური ცხოვრების დროს ტიფით ავად გახდა და გარდაიცვალა 1922 წელში). ადვილი საქმე არ იყო ასეთი ხალხის უცბად შეცვლა, მაგრამ პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობა მაინც უკეთესი იყო. იმ წამსვე სათანადო ორგანოები ჩაუდგნენ საქმეს სათავეში, თვით სალუქაძის ადგილი კი დაიჭირა ერთმა გურიის კომიტეტის წევრმა, გურიისათვის ახალმა კაცმა, რომელიც თუმცა გურიის ორგანიზაციებს პირადად ცოტას იცნობდა, მაგრამ ისე ერთობ დიდი ცოდნისა და გამოცდილების პირი იყო. აჯანყების წინა კვირეებში ეს პირი საქმეებს ეცნობოდა და საგსებით კიდევ არ იყო მზად იმ ამოცანების შესახვედრად, რაც ჩვენ აჯანყებამ დაგვიყენა წინ. ცომაიას შეცვლა კი ჩვენთვის სრულიად შეუძლებელი დარჩა. ადგილობრივად მომუშავე ოფიცრები მხოლოდ თავიანთ რაიონებს იცნობდნენ, და საერთოდ მაზრის მასშტაბით ხელმძღვანელობისათვის საჭირო იყო ცოდნასთან ერთად სამხედრო ხარისხი და ავტორიტეტი.

ამ მიზნით გურიის კომიტეტმა, სამხედრო შტაბთან შეთანხმებით მიმართა ცენტრს, გამოეგზავნა გურიაში ვინმე ცნობილი სამხედრო პირი. ეს აუცილებელი იყო მით უმეტეს იმიტომ, რომ ცენტრი ჩვენ გურიის განთავისუფლების გარდა გვავალებდა ამოცანად თუ წინასწარ არა, აჯანყების პირველი დღიდანვე სასწრაფოდ ბათუმის დახმარებას. ესე იგი ჩვენი მოძრაობა მაზრით არ უნდა განსაზღვრულიყო და მას უფრო ფართე ხასიათი ჰქონოდა. საამისოდ ცენტრმა გურიაში გამოგზავნა გენერალი ყარალაშვილი, რომელიც საუბედუროდ პირველად ბათუმში ჩავიდა, იქვე დაატუსაღეს და დახვრიტეს აჯანყების პირველ დღეებში.

ამ უბედურებებს ზედ ერთვოდა ისიც, რომ ვალიკო ჯუღელი დატუსაღებულ იქმნა თბილისში, რამაც დიდი გავლენა იქონია ჩვენზედ იმ მხრივ, რომ ეს მარცხი მოწმობდა ცენტრში მომუშავე ოგრანიზაციების

ნისუსტეს, ჩეკის მიერ ჩვენი მზადების ცოდნას და ფართე მასაში კი ყოველივე ეს ქმნიდა მეტისმეტად გაურკვეველ მდგომარეობას. ჩვენგან ხალხმა არაფერი იცოდა, მას კითხვებზე პასუხს ვერ ვაძლევდით და მტრის გაზეთები კი ათას არასაიმედო ეპვებს ბადებდნენ. ამავე დროს მთელ მაზრაში ხელისუფლება დღე და ღამ ფეხზე იდგა, მთელი სოფლები გაკრული იყო, ხდებოდა მათი ძალების ღაგროვება რაიონებში, საიდუმლოდ პარტიული კრებები და სხვა, რაც აშკარად მოწმობდა მათ მზადებას რაღაცა განსაკუთრებული მოვლენისათვის. ყველა ეს ჩვენი მარცხი ერთი მხრივ, და მტრის მზადება მეორე მხრივ, ჩვენ გვაძლევდა საბუთს გვეფიქრა, რომ აჯანყება აღარ მოხდებოდა ან გადაიდებოდა მაინც უფრო სხვა დროისათვის. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენ მაინც მზად ვიყავით ყოველივე შემთხვევისათვის. ამ ორჭოფულ მდგომარეობას ბოლო მოუღო თბილისიდან დამკომის მიერ გამოგზავნილმა კაცის ჩამოსვლამ.

აგვისტოს 20-ს გურიის კომიტეტს ესტუმრა თბილისიდან დამკომის მიერ გამოგზავნილი კაცი, გარკვეული დავალებებით. ის ცნობა, რაც მაშინ ამ პიროვნებამ გურიის კომიტეტს მიაწოდა, აჯანყების დამარცხების შემდეგ განმეორებულ იქმნა მის მიერვე უფრო მრავალრიცხოვანი ამხანაგების წინაშე. მან გადმოგვცა შემდეგი:

„აჯანყების წინა ხანებში მე ვიჯექი ციხეში, ციხიდან გამოსვლისას გავიგე, რომ დამკომი აპირებდა აჯანყების მოწყობას. ვიცნობდი რა საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობას, ეს ნაბიჯი მიმაჩნდა უდიდეს შეცდომად და ერის დაღუპვად. შევეცადე ამ მიმართულების წინააღმდეგ ბრძოლა. მაგრამ არაფერი გამოვიდა. ბოლოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკას სახელზედ დავსწერე უკანასკნელი მიმართვის წერილი ამ სათაურით: „ვაი დამარცხებულთა“, სადაც ერთხელ კიდევ მოვაგონებდი მათ, მათი ნაბიჯის სიმძიმეს, დამარცხების აუცილებლობას და საშინელ მსხვერპლს, რომელიც ამ დამარცხებას მოჰყვებოდა. მაინც არაფერი გამივიდა და პასუხად მივიღე, რომ აჯანყების მოწყობას აღარაფერი ხელს აღარ შეუშლიდა. დავინახე რა ჩემი ცდის უნაყოფობა, განვუცხადე უფროს ამხანაგებს, რომ მიუხედავად ჩემი პირადი შეხედულებისა, განზედ გადგომას და აჯანყების გარედან ცქერას მირჩევნია ქართველ ხალხთან ერთად ვიყო მის უბედურებაში და თუ სადმე საჭირო ვარ მომიხმარეთ-თქო. ამ ჩემ განცხადების შემდეგ მომცეს დავალება წამოვსულიყავი გურიაში და პოლიტიკური ხელმძღვანელობა

გამეწია აჯანყებისათვის. წამოსვლის წინ დამკომი კატეგორიულად დაჰპირდა, რომ აჯანყების დატას მე მივიღებდი ერთი კვირით წინ და რომ დამკომს ურყევი გადაწყვეტილება ჰქონდა პირველსავე რიგში თბილისისათვის დაერტყა და ის აეღო. ამ ჩემი მოხსენების შემდეგ მე შეეკითხე გურიის კომიტეტს ადგილობრივი და მახლობელი ქალაქების და მაზრების მდგომარეობის შესახებ. მათი პასუხის და მათ მიერ დასმული კითხვების შემდეგ, ჩვენ მივედით იმ დასკვნამდის, რომ ჩვენი აჯანყება წინასწარ განწირული იყო, და შეეცადეთ ერთხელ კიდევ მიგვემართა დამკომისათვის მოეხსნა ან გადაედო აჯანყება. ამ მიზნით გავგზავნეთ თბილისში სპეციალური კურიერი, რომელმაც მხოლოდ დამკომის ერთი წევრის ნახვა მოასწრო, ვინაიდან სხვები უკვე ქალაქ გარეთ გასულიყვნენ. ეს კაცი დაბრუნდა გურიაში 27 აგვისტოს, რასაკვირველია უპასუხოდ.

26 აგვისტოს კი ნაშუადღევის პირველ საათზედ, მოვიდა სპეციალური კურიერი, რომელმაც მოგვიტანა აჯანყების დაწყების ბრძანება და დატა... 28 აგვისტო! მიუხედავად იმ დაპირებისა, რაც დამკომს მე ბომბა ჩემი წამოსვლის წინ!"

ბათუმიდან მომავალი გენერალი ფურცელაძე დატუსაღებული იქნა. ადგილობრივი კაცი, ოფიცერი, რომელიც უკანასკნელი შემთხვევისათვის, მისი სურვილის წინააღმდეგ, გურიის კომიტეტს ჰყავდა მხედველობაში გურიის აჯანყების სახელმძღვანელოდ, რჩება თავის რაიონში. დროს უქონლობის გამო, წინასწარ გამომუშავებული გეგმა № 1, რჩება განუხორციელებელი, და ძალაუნებურად, გურიის სამხედრო ორგანიზაციას უხდება მოქმედება თანახმად № 2 გეგმისა. ესე იგი, რაიონებზედ თავდასხმა პირველად და შემდეგ შეერთებული ძალებით ოზურგეთზედ წასვლა და მისი აღება.

ნაწილი IV

აგვისტოს აჯანყება გურიაში

ვალიკო ჯუღელის გურიაში ყოფნის დროს მომხდარ სამაზრო პარტიული კომიტეტის და სამხედრო ხელმძღვანელების გაერთიანებული კრების შემდეგ ყოველივე მიწერ-მოწერას დამკომთან აწარმოებდა სამაზრო პარტიული კომიტეტი, სამხედრო სარაიონო ხელმძღვანელები კი დაბრუნდნენ თავიანთ რაიონებში და უცდიდნენ მდგომარეობის განვითარებას.

როგორც ვიცით, გურია ჩვენ გაყოფილი გვყავდა სამ სამხედრო რაიონად: ჩოხატაური, ლანჩხუთი და ოზურგეთი.

ჩოხატაურის რაიონი:

ამ რაიონში შედიოდნენ კომუნისტური ადმინისტრატიული წყობის მიხედვით შემდეგი რაიონები: ნაგომარი, ხიდისთავი, ჩოხატაური, საჭამია-ერი, სურები და რკინის გზის სადგური საჯავახო. ყველა ეს რაიონები გამაგრებულნი იყვნენ ისე, როგორც ზევით აღვწერე კომუნისტების საადმინისტრაციო აპარატი. კერძოდ, ჩოხატაურის რაიონი იყო ყველაზე უფრო ძლიერი კომუნისტების რიცხვით, აგრეთვე რამოდენიმე მთის თემებით, რომელთა მოსახლეობაც მთლიანად კომუნისტური იყო და ცნობილი იყო ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის დროიდან, როგორც კომუნისტური ხელისუფლებისათვის თავდადებული.

ლანჩხუთის რაიონი:

ამ რაიონს შეადგენდა ნიგოითის მთის ორივე მხრის კალთებზედ მდებარე გურიის ნაწილი, მდინარე სუფსით და ჩოხატაურის რაიონით განსაზღვრული. ცენტრი ქ. ლანჩხუთი, აკეთის და სუფსის რაიონი და მთელი რკინის გზის ხაზი საჯავახოდან სუფსის სადგურამდის. გარდა

ადგილობრივი კომუნისტური პარტიის წევრებისა და მუდმივი ადმინისტრაციისა, ამ რაიონს ექცეოდა მთავრობისაგან განსაკუთრებული ყურადღება, რკინის გზის თავისუფალი მოძრაობის უზრუნველსაყოფად. საჭიროების დროს ეს რაიონი ყველაზედ სასწრაფოდ მიიღებდა დახმარებას ბათუმიდან თუ სამტრედიიდან. ამ ხაზზედ, ამ ორ ქალაქს შორის მუდმივად დადიოდა ორი ჯავშნოსანი მატარებელი.

ოზურგეთის რაიონი:

ოზურგეთის რაიონი, რომელიც მასში შემავალი თემებით გარს ერტყმოდა ქალაქ ოზურგეთს, დაკავშირებული იყო აგრეთვე ქობულეთის რაიონის ქართველ მუსულმანობასთან, რკინის გზის ხაზის ჩართვით გარდა ყველა თემში არსებული საადმინისტრაციო და პარტიული აპარატისა, ქალაქი ოზურგეთი იყო მაზრის ცენტრი, მთელი ზემოხსენებული ძალებით და აგრეთვე რუსის ჯარის ორი გუნდით და ორი ზარბაზნით.

ოზურგეთის სარაიონო შტაბს, თუ აჯანყება მოხდებოდა თანახმად მეორე გეგმისა, ევალებოდა თემების განთავისუფლებისთანავე ოზურგეთზედ მისვლა, იქ მყოფი ძალების შეჩერება მანამდე, სანამ სხვა რაიონებიდგან ჩვენი ძალები არ მოიყრიდნენ თავს.

ჩოხატაურის რაიონში ადგილობრივი შტაბის ორი წევრი დიდი ხანია იარაღით ხელში არალეგარულად ცხოვრობდა. მათთან ერთად იყო მესამე პირი ს. მათითაიშვილი, რომელიც შედიოდა სამაზრო სამხედრო შტაბში და იყო ფაქტიური ხელმძღვანელი მთელ აღმოსავლეთ გურიაში წარმოებული მუშაობისა. უკანასკნელი ზემოხსენებული კრებიდან დაბრუნების შემდეგ, ერთი შტაბის წევრი წავიდა თავის სოფელში, სადაც მას დაესხნენ თავზედ სხვა ადგილობრივ დევნილებთან ერთად, და ის იძულებული გახდა გაწეულიყო უფრო შორს, გურია-იმერეთის ერთს მოსაზღვრე სოფელში. იმავე დღეებში, ს. მათითაიშვილი, მუდამ ჯანმრთელი, გახდა ციებით საშინლად ავად და რამოდენიმე დღეში ისე დასუსტდა, რომ თავისი იარაღის ტარებაც კი აღარ შეეძლო. საჭირო გახდა განსაკუთრებული სიფრთხილის დაჭერა, ვინაიდან სერგო მათითაიშვილს, ისე როგორც თეოფილე მუხაშავრიას, კომუნისტური ხელისუფლება განსაკუთრებით ეძებდა და არავითარ ხარჯს და მსხვერპლს არ ერიდებოდა მის მოსასპობად. აჯანყების წინ კომუნისტებმა საშინლად გააძლიერეს რეპრესიები, და ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დღეში ჩაგვაგდო სერგო მათითაიშვილის ავადმყოფობამ: ყოველ დღე ბინის ცვლა, მისი ხელით ტარება, მუდმივი დარაჯობა, უძილობა და ნერვიულობა. აჯანყების შემდეგ არტაანიდგან ერთად ვიმგზავრეთ ჩვენ და ქა-

ქუცა ჩოლოყაშვილის ერთმა ჯგუფმა ლელო ჩიქოვანის მეთაურობით, და მათითაიშვილი ისეთ დღეში იყო, რომ საკაცით მოვეყვანდა; თითქმის ასეთ მდგომარეობაში იყო ის მთელი ორი კვირის განმავლობაში. როგორც იქნა საიდუმლოდ მოყვანილი ექიმის საშუალებით, მან ცოტათი მოიხედა და შეეძლო თავისით სიარული. ამ ხნის განმავლობაში, საიდუმლოების მიზნით, ჩვენ გარდა რამოდენიმე პირისა, მთელს ორგანიზაციას მოწყვეტილი ვიყავით და მხოლოდ მათიაშვილის მოკეთეების შემდეგ წავედით ერთ ყრუ ბინაზედ დასასვენებლად.

აი აქ, 27 აგვისტოს დილის 11 საათზედ, მივიღეთ ჩვენ სამაზრო კომიტეტის და დამკომის რწმუნებულის მიერ გამოგზავნილი დაშიფრული წერილი. ეს წერილი აღმოჩნდა ბრძანება აჯანყების დაწყებისა. წერილში გვიბრძანებდნენ მხოლოდ ადგილობრივი, ჩვენი საერაიონო ამოცანის შესრულებას. ამ ამოცანის შესრულების შემდეგ ჩვენ უნდა გვემოქმედა თანახმად მეორე ნომერი გეგმისა, ესე იგი რაიონის განთავისუფლების შემდეგ მთელი ძალების გაერთიანება და ერთად ოზურგეთზედ წასვლა. ჩვენს უფროსებთან, მაზრასთან, ჩვენ კავშირი განუწყვეტლივ შენახული გვქონდა, და მის გამოგზავნილ კაცს ერთი წუთიც არ დაუკარგავს ჩვენს საპოვნელად. მაგრამ ჩვენს ქვეყნიერ. თითქმის ყველა ორგანიზაციებიდგან მოწყვეტილი ვიყავით ს. მათიაშვილის ავადმყოფობის დროს და ამრიგად ეს დღე, 27 აგვისტო დავკარგეთ უნაყოფოდ, ვინაიდან იმ ადგილიდან, სადაც ჩვენ ვიყავით, დაღამებ.მდის წასვლა ყოვლად შეუძლებელი იყო. ამ დღეს ჩვენ მოვასწარით მხოლოდ ხიდისთავის სათემო ხელმძღვანელის გამოძახება, რომელსაც გავაცანით ბრძანება და მივეცით განკარგულებები ხალხის გამოსაყვანად და ხიდისთავის რაიონის ასაღებად. სანამ მას ამ ამბებს გავაცნობდით, ჩვენს თავში იდგა კითხვა: რას იტყვის ეს კაცი, როგორ შეხვდება ამ ამბავს? ის პირადად იყო ძველი ჯარისკაცი, გერმანიის ფრონტზედ ნამყოფი, დამოუკიდებლობის დროს თავდადებული მებრძოლი სამშობლოსათვის; დაპყრობის შემდეგ მუდამ არალეგალურად მომუშავე, თავისი მდგომარეობით ღარიბი გლეხი, ახალ ცოლ შერთული. მისმა ქცევამ ჩვენს ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა, უსიტყვოდ დაგვკოცნა, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა... არც ერთი კითხვა აჯანყების საერთო მომავლის შესახებ მას ჩვენთვის არ დაუსვამს, მან იცოდა, რომ მთელს თავის ბედნიერებას სასწორზედ დებდა, და ერთი წარბიც არ შეუხრია, განმეორებით მიიღო ახსნა-განმარტებანი თავისი ამოცანის შესახებ, ხელახლა დაგვკოცნა და თავის სოფლისაკენ გაეშურა. ეს იყო ვანო ლომთათიძე,

ძმა ცნობილი რევოლუციონერის სოლომონ ლომთათიძის და ბიძაშვილი მიხაკო ლომთათიძისა, რომლებიც ნიკოლოზის ტახტთან ბრძოლას შეეწირნენ. დღეს კი თვითონაც ამათ გვერდითაა, გადაჰყვა აჯანყების დამარცხებას.

მისი წასვლის შემდეგ ჩვენ ერთხელ კიდევ გავიმეორეთ ჩვენი მოქმედების გეგმა და გავიყავით ამოცანები. ხიდისთავში უკვე წავიდა კაცი, იქ მას მშვენიერი გუნდი ჰყავს ორი ტყვიის მფრქვეველით და რამოდენიმე ყოჩაღი ოფიცრით. ჩოხატაურის აღება და მთელი ამ რაიონის გაწმენდა იკისრა ს. მათიაშვილმა. ამ საღამოს ის გაეშურება ამ . რაიონში და მის განკარგულებაში რჩება მხოლოდ ერთი დღე 28 აგვისტო, რომ მან მოასწროს თვით ჩოხატაურის ამღები ძალის დაგროვება და ამოდენა მანძილზედ გაჭიმულ სოფლებზედ ცნობების მიწოდება. ვინაიდან ძალების გამოსაყვანად დრო არ გვყოფნის, ჩვენ გადაწყვიტეთ დავეცეთ ყველა რაიონებს, მიუხედავად ხალხის სიმცირისა, და ასეთივე ბრძანებები დავუგზავნოთ ყველა თემის ხელმძღვანელებს.

მე წილად მხვდა ნაგომრის რაიონი. ჩემს განკარგულებაშია სამი თემი: ბუკნარი, ასკანა და თვით ნაგომარი, ერთი ლიუისის ტყვის მფრქველით ნაგომარის აღებისთანავე მე კავშირი უნდა დავიჭირო სუფსას გალმა მყოფ სამაზრო ცენტრთან და დამკომის რწმუნებულთან და ჩემს ქვევით ოზურგეთის რაიონთან, კავშირი ჩემსა, ხიდისთავსა და ჩოხატაურს შორის.

27 აგვისტოს ნახევარი დღე მთელ საუკუნედ გეეჩვენება. როგორც იქნა დაღამდა და დავცილდით ერთმანეთს. მე წავედი ჩემი რაიონის განაპირა სოფელში, სადაც უნდა შევუდგე მზადებას ჩემი ამოცანის შესასრულებლად. 28 აგვისტოს დილით გამოვიძახე ასკანის, ბუკნარის და ნაგომრის რწმუნებულები, მივეცი თვითეულს განკარგულებები ხალხის გამოსაყვანად, დავუნიშნე დრო და ადგილი, თუ სად უნდა შევხვდეთ ერთმანეთს. გაუგებრობის ასაცილებლად თვითეულ მათგანს მივეცი თითო შეგზური, რომლებიც წინასწარ დღითი გავგზავნე იმ ადგილების დასათვალიერებლად, თუ სად უნდა შევხვდეთ ერთმანეთს ღამით. სამხედრო წყობა გუნდისა უკვე წინასწარ არის გამომუშავებული.

ნაგომრის რწმუნებულის საშუალებით თვით დაბა ნაგომარში მყავს ორი კაცი, რომელთაც დაღამებამდის ორხელ მაცნობებს ყველაფერი თუ რა ხდებოდა იქ.

წინასწარი და დღევანდელი განმეორებული ზეერვის საშუალებით, ვიცი, თუ რამდენი კაცია მილიციის სამმართველოში, რამდენი კაცი

ცავს ფოსტას, რამდენი დარაჯია საპარკეზედ, ოზურგეთიდგან და ჩოხატაურიდგან მომავალ გზებზედ, რამდენი შეიარაღებული კომუნისტია შიგ ბაზარში, ვინ სად წევს, ვინ სად იმყოფება ბაზრის გარეთ სოფელში. ამ ცნობების მიხედვით ყველასათვის მისაცემი ამოცანები მიჩენილი მაქვს და დამრჩა მხოლოდ თავის მოყრისას მოკლედ ავუხსნა თვითეულს თავისი მოვალეობა.

დილით გამოძახებულს და თემებში გაბრუნებულ რწმუნებულებს ვუბრძანე საღამომდის მაცნობონ, თუ რამდენი კაცი ინახულეს, რომ ვიცოდე წინასწარ თუ რა ძალა მყავს. რწმუნებულები თვითეულად უველიან აღრიცხვაზედ აყვანილ ჯარისლაცებს და მოკლედ აძლევენ ბრძანებას დანიშნულ დროზედ მივიდნენ ამა თუ იმ ადგილას, იქ ერთდება პატარა ჯგუფი 4—5 კაცისაგან შემდგარი, ეს ჯგუფები ერთდებიან და მხოლოდ მაშინ ღებულობენ ცნობას აჯანყების შესახებ. მანამდე კი ყველა მათგანს თავისი თავი ჰგონია უბრალო საქმეზედ გამოძახებული, რასაც ისინი დაჩვეულნი არიან არალეგალური მუშაობის დროს.

ამის შემდეგ დავიბარე ორი კაცი ადგილობრივი მეორეხარისხოვანი რაზმელების რიცხვიდგან და მივეცი განკარგულება: დაამზადონ ხალხი და როგორც კი ნაგომრიდან თოფის ხმას გაიგონებენ, დაესხან თავს თემის სამმართველოს, მოაწყონ იმწამსვე ადგილობრივი მართველობა, აცნობონ ხალხს აჯანყების დაწყება, მოაწყონ ფრონტისათვის სურსათ-სანოვაგის და სასანიტარო ნივთების მოწოდება, განაიარაღონ და დაატუსაღონ ყველა კომუნისტები და საეჭვო პირები, გამოგზავნონ ფრონტზედ ის რაზმელები, ვინც უდროობის გამო ვერ გამოვიყვანეთ პირველ დაძახებისთანავე. ასევე მოიქცეოდნენ ყველა თემებში დარჩენილი მეორე ხარისხის რაზმელები. ყველა ეს პირები, რომლებიც მე ამ დღეს ვინახულე. თითქმის ოთხი წლის განმავლობაში ჩემი ნაცნობები იყვნენ და ყველა მათი თვისებები და სამშობლოსათვის თავდადება ვიცოდი, მაგრამ ამ შემთხვევაში, ასეთი დიდი მოვლენის წინაშე, ყველა მათგანი ჩემთვის უდიდეს ამოცანას წარმოადგენდა: რას იტყვის ეს საწყალი ხალხი, ოთხი წლის რეპრესიებით წელში გატეხილი, მშიერი, ტანზე შემოცვეთილი, წვრილი ცოლ-შვილის პატრონი, დაჟანგული თოფით და სულ რამოდენიმე საეჭვო ვაზნით შეიარაღებული, როცა მე მათ ვეტყვი, რომ ამელამ საბჭოთა ხელისუფლებას და მის ზურგში მგდომ, დაუნდობელ რუსის ჯარს უნდა დავეჯახოთ?

უნდა ვთქვა მათდა და საქართველოს სასახელოდ: არც ერთ მათგანს ერთი საეჭვო საკითხი არ დაუსვამს, არც ერთს არ უკითხავს, თუ რის

იმედით ვაწყობთ აჯანყებას და რამდენი შანსია გამარჯვებისა. ყველა მათგანი მხოლოდ მისი ამოცანის კოხტად შესრულებაზე ფიქრობდა, მხოლოდ ამის შესახებ მოითხოვდა განმარტებებს, ყველას ისე ეჭირა თავი, როგორც რამოდენიმე წლით ყაზარმებში გაწვრთნილ მხედრებს. სხვადასხვა მდგომარეობის, განათლებისა თუ ხნის ხალხს, ყველას ერთი გადაწყვეტილება ეწერა სახეზედ: სამშობლოს განთავისუფლება, ამისათვის ბრძოლა. აი, აქ გამოჩნდა ნაყოფი იმ შრომისა, რომელსაც სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები აწარმოებდნენ გურიაში ოთხი წლის განმავლობაში. ამ პარტიის ხელმძღვანელების შეხედულება, რომ ეროვნული ბრძოლისათვის საჭიროა მთელი ხალხის დარაზმვა თვითეული პიროვნების მომზადებით და არა რამოდენიმე ყოჩაღ პიროვნებებზე იმედის დამყარება, აქ სავსებით გამართლდა.

საჭირო განკარგულებების გაცემის შემდეგ, ვუცდიდი მხოლოდ დაღამებას, რომ დანიშნულ ალაგს წავსულიყავით რაზმელებთან შესახვედრად. იმ დღეს მე დარწმუნებული ვიყავი, რომ გარდა ჩემს მიერ გამოძახებული პირებისა, ჩვენი მზადება არავინ იცოდა. მეორე დღეს კი გაირკვა შემდეგი: იმ პატარა კუთხეში, სადაც მე ვიყავი გაჩერებული, რამდენიმე ოჯახი სახლობდა, ყველა ჩვენი ხალხი. რამოდენიმე ახალგაზრდა ამ ოჯახებიდან ჩემთან მყავდა შიკრიკებად. გავაფრთხილე ყველანი სახლში არაფერი ეთქვათ. მიუხედავად ამისა მათ ოჯახებს ყველას გაეგო ჩვენი მზადება აჯანყებისათვის. ეს ამბავი მათთვის უაღრესად საესიხარულო იყო, ვინაიდან ისინი დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ თუ ჩვენ აჯანყებას მოვაწყობდით, ალბათ საამისო იმედებიც გექონდა გამარჯვებისა. მოსულიყვნენ ყველა იმ კუთხეში მცხოვრებ საიმედო ოჯახებში და დაეწყოთ სურსათ-სანოვაგის მზადება მთელი გუნდისათვის. რასაკვირველია, მათი დისციპლინა ისეთი იყო, რომ ჩვენს წრეს გარეთ ეს არ გასულა და მტერს არაფერი გაუგია.

მოხუცი დედები და ქალიშვილები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მუშაობაში, ამზადებდნენ რაც კი ჰქონდათ და ჩვენ გამოგვადგებოდა. ერთმა ღარიბმა ოჯახმა, მოხუცმა დედ-მამამ, თავისი ოთხი შვილი საქმეში ჩააბეს და სამშობლოს სამსახურში გამოგზავნეს! ვისაც იმ დროს ეს ხალხი არ უნახავს, მათთვის შეუძლებელია წარმოდგენა, თუ როგორ ყველა უბრალო გლეხი უდიდეს ისტორიულ პიროვნებას ჰგავდა. თითქოს ეს ის ხალხი არ იყო, რომელიც სულ ათიოდე წლის წინათ ყველაფერს იმით ზომავდა, თუ მისი შვილი სად იყო და რა „ვამოსარჩენ“ ადგილას მსახურობდა, ეს ის ხალხი აღარ იყო, რომელიც 1918 წელს გურიის

კარზედ მოსული ოსმალების წინაშე მიტინგს მართავდა, ესენი ჩვენი ძმებია თუ მტრებიო? ეს ის ხალხი აღარ იყო, რომელიც დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ თავს იმით ინუგეშებდა, რომ ჩვენში ბოლოს და ბოლოს „ბოლშევიკები" მოვიდნენ. ეს უკვე დამწიფებული, შეგნებული ერი იყო, თავისი ინტერესების მცოდნე და თავისი იდეალისაკენ ურყევად მიმავალი.

* * *

28 აგვისტო მშვენიერი დღე იყო, დილიდან საღამომდის ცაზედ ერთი ღრუბელი არ ყოფილა. ამ კუთხიდან ადამიანი დიდებულ სურათს ედავს, როცა მზე შავ ზღვას ამოეფარება და მთელი ბათუმ-ქობულეთის ნაპირი წითლად შეიღებება, თითქოს მთელ შავ ზღვის პირს ცამდისცეცხლი უკიდიაო. ეს დღე ძველი სტილით მარიობაა, საქართველოც ხომ ლეგენდის მიხედვით ღვთის მშობელს ერგო წილად! გურიაში დღეს ბევრ სოფლებში ამ დღეობას დღესასწაულობენ, ზოგან ქეიფია, ზოგან წარმოდგენები, ჩვეულებრივად მთავრობის ჯინაზედ, ძველებურად იხდიან ამ დღესასწაულს. დროს უქონლობის გარდა, ესეც არის მიზეზი იმისა, რომ ბევრი რაზმელის ნახვა არ ხერხდება, მაგრამ მეორე მხრივ, ეს ჩვენს მზადებას ჰფარავს. დღეს მშვიდად თავდება ეს დღე, მაგრამ ვინ იცის როგორი იქნება მისი მომდევნი? ბედნიერია ის, ვინც ჩვენ მოგვყვება, ვინც უსიტყვოდ გვენდობა, ვისაც სწამს, რომ ჩვენ მათ სასაკლაოზედ ტყვილ-უბრალოდ არ წავიყვანთ... მაგრამ ჩვენ, რომელთაც ყველაფერი ვიცით, ჩვენი მდგომარეობა შინ და გარეთ, ათას ეჭვებში გასვეულნი, ასეთი პასუხისმგებლობის წინაშე? მაგრამ ჩვენც ხომ ჩვენს უფროსებს ვენდობით, ვიცით რომ გავიმარჯვებთ თუ არა, მაინც უნდა ვეკვეთოთ მტერს, მტერს რომელიც სულ ერთია ნელ-ნელა გვსპობს. ოთხი წლის ტანჯვა, ათასგვარი შეურაცხყოფის ატანა, ყველაფრის მოთმენა, დღეს კი საშუალება გვაქვს მტერს პირისპირ დავუდგეთ, ჩვენც ვესროლოთ, თვითონაც ვნახოთ დაჩოქილი და ამ სურვილს ათას იმედს ვაბამთ ისე, როგორც ყველა მებრძოლმა ბრძოლის დაწყების წინ უნდა იფიქროს, გაიეღინთოს იმ აზრით, რომ ჩვენი მიზნის მიღწევა ჩვენს გამბედაობაზედ და სიმტკიცეზედ არის დამოკიდებული.

როცა დაღამდა, წავედით იმ ალაგს, სადაც ჩვენ პატარა საწყობი გვქონდა მოწყობილი. ამოვიღეთ ერთი ლუისის ტყვიის მფრქვეველი და 8 თოფი, დაეურიგეთ ვისაც თოფი არ ჰქონდათ, შემდეგ გავწიეთ

მთავარი შესახვედრი ადგილისაკენ. დავბანაკდით იქ, დავაყენეთ დარაჯები და დავუწყეთ ცდა სხვადასხვა მხრიდან მომავალ რაზმელებს. შუაღამისას უკვე ყველანი მოგროვდნენ. ხელმძღვანელებმა გადმოგვცეს, რომ ვინც კი სახლში ნახეს, არავის უარი არ უთქვამს და ყველანი წამოვიდნენო. ერთი ათეულის უფროსი ავად იყო ციებით, საშინელი სიცხე ჰქონდა, მაგრამ უფროსის რჩევას არ დაუჯერა, სოფელში არ დარჩა, ადგა ლოგინიდან და ტილოთი თავშეხვეული, ხელში ჯოხით და მხარზე თოფით გამოუძღვა თავის ათეულს. აქ მათ ერთხელ კიდევ ვუთხარი მოკლედ რაც საჭირო იყო.

როცა დანიშნული დრო მოვიდა, გავწიეთ ნაგომრისაკენ ჩვეულებრივი საამისო სამხედრო წყობით. ნაგომართან მიახლოვებისას, ჩვენ გავიყავით ყველა თავ-თავის ადგილზე წასასვლელად. ნაწილი დავტოვეთ ბაზრის პირდაპირ ერთ პტარა მაღლობზედ, თან დავუტოვე ტყვიის მფრქვეველი და ვუბრძანე ყველას კავშირი მასთან დაეჭირა. მე კი 12 რაზმელით წავედი ბაზრისაკენ. მილიციის სამმართველო მოთავსებული იყო სართულიან სახლში, და მე ვიცოდი, რომ მილიციელების ერთ ნაწილს, ვინც სადარაჯოზე არ იყო, ეძინათ იქ. იმ შენობის ახლოს იყო აგრეთვე ფოსტა. ხუთი კაცით მე უნდა შეევარდნილიყავი მილიციის სამმართველოში, სანამ ისინი გაიღვიძებდნენ, და დანარჩენი ექვსი კაცი ერთი ზემდეგის მეთაურობით აიღებდა ფოსტას. თითქმის ერთი კილომეტრის მანძილიდან ბაზრამდის სულ სიმინდის ყანებში მოგვიხდა სიარული, და მიუხედავად სიფრთხილისა, მაინც ჩალის შრიალმა ხმაურობა გამოიწვია, რასაც მოჰყვა ყველა ეზოებიდან ძაღლების ყეფა. ჩვენ ნაბიჯს მოვუჩქარეთ და ის იყო ბაზრის გასწვრივ გაყოლებულ მაღალ ღობეს მივატანეთ, რომ ხიდისთავში გავარდა პირველი თოფი და გაჩაღდა მაგარი სროლა. ჩვენ კიდევ ღობეზედ არ ვიყავით გადასული, რომ ხიდისთავის სროლის ხმაზედ გაღვიძებული მილიციელები, გამოცვივდნენ აივანზედ და შეგვამჩნიეს თუ არა, დაგვიწყეს სროლა. ჩვენ თორმეტივემ ერთად ვუპასუხეთ ქვევიდან, ისინი დარჩნენ გამომწყვდეულნი ზემო სართულში ჩიტებივით. ამავე დროს ტყვიის მფრქვეველმა ერთი თეფში მიაცალა შენობას. ჩვენც გადავხტით ღობეზე და შევცვივდით სამმართველოში. მილიციელებმა დაყარეს იარაღი და დატუსაღებულ იქმნენ. გაგვექცა მხოლოდ ერთი კაცი, პარტკომის მდივანი, რომელიც გადახტა უკანა კარებიდან, ჩაჯდა ნავში, გავიდა სუფსის გაღმა და მიაშურა თავის სოფელს, სადაც მისვლისთანავე ჩვენებმა დაატუსა-

ღეს, ყველაფერი ეს ერთს წუთში მოხდა. მაშინვე ერთი კაცით გავიქეცი ფოსტაში, რომელიც უკვე ავღოთ ჩვენებს, ყველა იქ მყოფი კომუნისტები ჩვენს ზემდეგს მიეყუდებინა კედელზე და გაუჩერებლივ აყვირებდა: „თავისუფალ საქართველოს გაუმარჯოს!“. სრული დილის სამი საათი იყო, როცა მე ფოსტაში შევედი. ფოსტაზე მისვლისას ერთ ჩვენს რაზმელს დაენახა, რომ ტელეგრაფისტი ფოსტის აპარატთან იყო, ესროლა თოფი და გაეფუჭებინა აპარატი. ტელეგრაფისტი კი იქვე ეგდო გულწასული და მაგიდაზედ იდვა ახლად მიღებული ტელეფონოგრამა. ეს ტელეფონოგრამა იყო ასლი იმ ბრძანებისა, რომელიც ოზურგეთის მთავრობას მიეღო აჭარისტანის სამხედრო კომისარიატისაგან, რომელიც უბრძანებდა ყველა სამაზრო და სარაიონო ადმინისტრაციას მომზადებულიყვნენ ორ დღეში რეგულარული ჯარების მისაღებად. განსაკუთრებით განმეორებული იყო დაეცლევინებინათ კერძო მცხოვრებთათვის მოზრდილი შენობები ჯარის საჭიროებისათვის.

ჩვენ იმ დროს კიდევ არ ვიცოდით, თუ ჭიათურა ერთი დღით ადრე გამოვიღა და გვეგონა, რომ მთავრობის წინასწარ მიღებულ ზომებს ჩვენ დავასწარით. მეორე დღესვე ეს ტელეფონოგრამა გადავეცით დამკომის რწმუნებულს.

სანამ ჩვენ მილიციის სამმართველოს და ფოსტას ავიღებდით, ყველა ჯგუფმა თავისი ამოცანა კოსტად შეასრულა და ამრიგად ნაგომარი ჩავიგდეთ ხელში. ის კომუნისტები, რომლებიც თავიანთ ოჯახებში იყვნენ, სროლით გამოღვიძებულნი, თანახმად ჩვეულებისა, მორბოდნენ ბაზრისკენ და საამისოდ ყველა შემოსავალთან დატოვებული რაზმელები ატუსაღებდნენ მათ. წამსვე მოეწყო ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც შეუდგა თავის საქმიანობას. ცოტა ხანში კიდევაც გათენდა და მე გავგზავნე შიკრიკები ხიდისთავში, ჩოხატაურში მათითაიშვილთან და აკეთში, სადაც იყო სამაზრო კომიტეტი და დამკომის რწმუნებული. ჩემს რაიონში, თემებში დარჩენილმა ხალხმა შეასრულა მისი მოვალეობა და განაიარაღა ადგილობრივი კომუნისტები, ზოგმა მათგანმა მოასწრო ტყეებში გაქცევა, მაგრამ ისინი დატუსაღებულ იქნენ შემდეგ დღეებში.

ჩოხატაურის რაიონში წავიდა მათითაიშვილი. 28 აგვისტოს მან დაგზავნა ცნობები სურებში, საჭამიაძერზედ, საჯავახოში და შეუღგა ჩოხატაურის ამღებ ძალების შეგროვებას. სურებში სამხედრო ხელმძღვანელად იყო ერთი დევნილი ოფიცერი, რომელიც თავის პატარა ჯგუფით იმალებოდა სურების ზემოდ მთებში და აჯანყების ცნობა მან ვ-

იღო ღამით 29 აგვისტოს, სწორედ სამ საათზედ, როცა ბრძანების თანახმად მას შეტევა უნდა დაეწყო. ის დაეშვა სოფელში თავისი ჯგუფით და ერთსა და იმავე დროს დაუწყო ღვიძება ჩვენს რაზმელებსა და მტერსაც: მიდიოდა ოჯახში, გააღვიძებდა კაცს, ჩვენიანს უბრძანებდა გამოეტანა თოფი და გაყოლოდა მას, კომუნისტს კი ჰკრიდა იარაღს და ატეხაღებდა. ამრიგად მან მთელი სურების რაიონი გაწმინდა, დაატუსაღა ყველა იქ მყოფი კომუნისტები, მოაწყო ადგილობრივი ხელისუფლება და დაეშვა ქვემოთ ჩოხატაურში, სადაც ის თავისი მშვენივრად გაწყობილი გუნდით მოვიდა ნაშუადღევის ხუთ საათზედ.

საჭამია-სერის რაიონის აღება მიენდო ერთ ოფიცერს, რომელსაც პირადად მთელ თავის იარაღად მხოლოდ ერთი ნაგანი ჰქონდა ოთხი ვაზნით. ამ რაიონში ამ დღეს თითქმის ყველა ოჯახში სტუმრობა იყო, და ჩვენს კაცს ერთ ალაგას მოქეიფე კომუნისტებთანაც კი მოუწია შეჩერება, ბევრი მიზეზების გამო მან ვერ მოახერხა საკმაო ხალხის დაგროვება, მაგრამ მიუხედავად ამისა დანიშნულ ვადაზედ დაესხა სარაიონო სამმართველოს, სადაც მას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. შეტაკებაში დაიჭრა რამოდენიმე კაცი, ჩვენებმა დატოვეს სამმართველო აუღებელი. შეუდგნენ ხელახლა ხალხის დაგროვებას და დილას უკვე გაწმინდეს მთელი რაიონი და სამმართველოც აიღეს.

საჯავახოში ჩვენს ორგანიზაციას ევალებოდა რკინის გზის ხაზის დაფუჭება საჭიროების დროს, მაგრამ ცნობის გვიან მიღების გამო, მათ ეს ვერ მოახერხეს, სამაგიეროდ მოიყარეს თავი და განაიარაღეს თავიანთი სოფლები.

თვით ჩოხატაურს მიადგა მათითაიშვილი მაგრამ სანამ შიგ შეეიჭრენენ, დაახლოებით ერთი კილომეტრის მანძილზედ, მდინარე სუფსის აღლო გორაკებზედ ჩვენები წააწყდნენ კომუნისტების რაზმს, ზემოხსენებული სამსონ ჭანიშვილის მეთაურობით. მოხდა შეტაკება, კომუნისტებმა ისარგებლეს ღამის სიბნელით და გაიფანტნენ ყანებში, ჩვენებმა კი გასწიეს ჩოხატაურისაკენ. მაგრამ ამ სროლამ გააფრთხილა იქ მყოფი კომუნისტების ძალა, რომელიც რიცხვით ყველა რაიონს სჯარბობდა და ჰქონდა ორი მძიმე ტყვის მფრქვეველი. მიუხედავად ამისა ჩვენები მაინც შეეიჭრნენ ბაზარში, აიღეს ფოსტა, მილიციის სამმართველო, სხვადასხვა პარტიული დაწესებულებები და დაატუსაღეს მრავალი კომუნისტები. ნაწილი კომუნისტებისა კი გამაგრდა ვიმნაზიის ქვის შენობაში. ჩვენები ხალხისა და ვაზნების სიმცირის გამო, უცლიდნენ გათენებას მათზედ მისასვლელად.

მთელს ამ ზემო გურიის თემებში, მიუხედავად ცნობების გვიან მიღებისა, ყველგან ჩვენმა რაზმელებმა გამოიჩინეს იმედვიათი თაოსნობა და გაწმინდეს თავიანთი კუთხეები. სოფ. ამაღლებაში კომუნისტებს დიდი ზეიმი და ღამის წარმოდგენა ჰქონდათ. ამ შემთხვევისათვის მათ ოზურგეთიდან ამოეყვანათ სამხედრო ორკესტრი, რომელიც კომუნისტებთან ერთად დაატუსაღეს ჩვენებმა. ამ სოფელში სულ ორმა კაცმა დაიწყო მოძრაობა. ისინი ყრიდნენ იარაღს კომუნისტებს თვითეულად და აიარაღებდნენ ჩვენება. ბოლოს დაესხენ თავზედ კომუნისტების ზეიმს და სულ ყველანი დაატუსაღეს. ეს ორკესტრი მეორე დღეს ჩოხატაურში ჩამოიყვანეს, ვიღაცამ „დიდების" ნოტები მონახა, გადაწერეს და საღამოს უკვე ჩვენს მეარეზედ ჩვენს ეროვნულ ჰიმნს უკრავდნენ. ასე ყოჩაღად მოიქცა ხალხი ყველა სოფლებში, მაგრამ დროს უქონლობამ გამოიწვია ის, რომ ბევრი კომუნისტი გაიქცა სხვადასხვა სოფლებიდგან და მათ იწყეს დაგროვება იქ, სადაც მოსახლეობა მათი ერთგული იყო შედარებით.

ხიდისთავში ჩვენებისათვის გაეწიათ მაგარი წინააღმდეგობა, მაგრამ ის მაინც აღებული იქმნა და ჩვენები შეუდგნენ მთელი რაიონის (8 სოფელია) გაწმენდას.

ამრიგად, ზემო გურიაში 29 აგვისტოს დილით მდგომარეობა იყო ასეთი:

. სრულიად აღებული იყო შემდეგი რაიონები: ნაგომარი, ხიდისთავი, სურები, საჯამია-სერი და ამ რაიონებში შემავალი სოფლები. დატუსაღებული იყო უმრავლესობა კომუნისტებისა, მხოლოდ სხვადასხვა რაიონებიდან გაქცეული კომუნისტები იყრიდნენ თავს ერკეთის და ხევის თემში, სადაც მათ დიდძალი ხალხი ჰყავდათ და საიდანაც ისინი ემუქრებოდნენ მთელი გურიის აჯანყებულთა ზურგს. ჩოხატაურში გამაგრებულმა კომუნისტების ერთმა ნაწილმა მოახერხა გაქცევა და მათ თავი შეაფარეს ნიგოითის მთის კალთებს. რკინის გზაზედ იმერეთის მხრივ იმყოფებოდა მხოლოდ პატარა ჯგუფი ჩვენი ადგილობრივი ორგანიზაციისა.

ამნაირად, მათითაიშვილის წინაშე დაისვა სამი ამოცანა:

1) მოსპობა იმ კომუნისტური რაზმის, რომელიც ერკეთში და ხევში გამაგრდა და ამ თემების გაწმენდა.

2) მოსპობა ჩოხატაურიდგან გაქცეული რაზმისა.

3) განსაკუთრებული ნაწილის გაგზავნა საჯავახოში იმერეთთან კავშირის გასაბმელად, თუ იქაც აჯანყება სწარმოებდა, და თუ არა საჯავა-

ხოს მხრივ გურიის უზრუნველყოფა სამტრედიაში მყოფი რუსის ჯარის მოსალოდნელი შეტევისაგან. გარდა ამ სამი მთავარი ამოცანისა, ყველა იმ საკითხების მოწესრიგება, რასაც ადგილობრივი მდგომარეობა მოითხოვდა.

პირველი ამოცანა მათითაიშვილმა მიანდო ხიდისთავიდგან გამოძახებულ გუნდს. ამ გუნდმა იბრძოლა დიდებულად და მიუხედავად კომუნისტების რიცხობრივი და შეიარაღებითი უპირატესობისა, დაამარცხა ისინი და გაწმინდა ორივე თემი. ამის შემდეგ ეს გუნდი გაიგზავნა საჯავახოში მესამე ამოცანის შესასრულებლად. საჯავახოში მისვლისთანავე ამ გუნდმა აიღო სადგური, და იმ წამსვე მოემწყვდა, ერთი მხრივ ჯავშნოსანის და მეორე მხრივ იმერეთიდან რიონზედ ბორანით გამოსული კომუნისტების რაზმის ცეცხლში. აქ საშინელი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ორივე მხრივ მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი 50-მდე იყო. ამ შეტაკებაში მოჰკლეს, სულ რამოდენიმე წუთის განმავლობაში ხიდისთაველი ძმები ევგენი და თეოფილე ცხოიძეები, ორთავენი დიდი ომიდგან ზემდეგები და წმინდა გიორგის ჯვრით დაჯილდოებულნი. ჩოხატაურის რაიონის შტაბის წევრი, რომელიც იარაღით ჩვენთან იმალებოდა და შემთხვევით აჯანყების წინ დაგვცილდა, ეხლა ამათთან იყო. თვითონაც ოფიცერი, იშვიათი ყოჩაღი კაცი, ხელჩართულ ბრძოლაში კომუნისტებმა ძირს დასცეს და დაჭერა მოუნდომეს, მაგრამ მან ქვემოდან „პარაბელუმით“ ორი კაცი მოჰკლა და ამ დროს სხვებმაც მოუსწრეს. ჩვენებმა ჯავშნოსანის ცეცხლს ვეღარ გაუძღვეს, სადგური დატოვეს და იქვე გორაკზე გამაგრდნენ. 30 აგვისტოს დილიდან 2 სექტემბრის დაღამებამდის, ეს ხალხი, მიუხედავად ზარბაზნის და ტყვიის მფრქეველის ცეცხლისა, აქედან ვერ არეკეს. მათ იცოდნენ თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მათ იქ ყოფნას მთელი გურიისათვის და სანამ აჯანყება არ დამთავრდა, თავისი პოზიციებიდან ფეხი არ დასძრეს, მიუხედავად მრავალ დაჭრილ-მოკლულებისა და თითქმის სრულიად უვაზნობისა. კომუნისტებს რომ ეს ფრონტი გაერღვიათ, მთელი აჯანყებული გურიის რაზმები, ქვემო გურიაში მოქმედნი, მათ რკალში მოექცეოდნენ.

მეორე ამოცანის შესრულება მიენდო ჩოხატაურელ ოფიცერს, რომელმაც სდია კომუნისტებს, გაფანტა მათი რაზმი, ზოგი დაატუსაღა და ამით საშუალება მოუსპო მათ ჩვენთვის ზარალის მოტანისა. აჯანყების დამთავრებამდის ისინი არსად აღარ გამოჩენილან.

ჩოხატაურიდან გაგზავნილი იქნა აგრეთვე ცნობა ბახმაროზედ, საცაც ჩვენებმა დაატუსაღეს ყველა იქ მყოფი კომუნისტები და განაიარა-

ღეს საძოვრების მეთვალყურე კომუნისტების რაზმი. ყველა ამ საქმეების მოგვარებამ მოითხოვა დიდი დრო და ამან გამოიწვია მათითაიშვილის დაგვიანება ქვემო გურიაში ჩამოსასვლელად.

29 აგვისტოს დილით ხიდისთავში, ჩოხატაურში და აკეთში ცნობების დაგზავნის შემდეგ, მე დავტოვე ნაგომარში ახლად შექმნილი ხელისუფლება და წავედი ოზურგეთის მიმართულებით ნასაკირალისაკენ. ოზურგეთზედ წასასვლელად ზემო გურიის და ლანჩხუთის რაიონებიდან ძალების მოსვლის მოლოდინში, მე მოვახდინე ზვერვა ოზურგეთის მიმართულებით და გავგზავნე ხალხი ოზურგეთში მოქმედ ჩვენს ნაწილებთან. დავტოვე აქ ნაწილი ჩემი გუნდის და დავბრუნდი ნაგომარზედ, სადაც უკვე დამხვდნენ სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარე და დამკომის რწმუნებული. მათ გადავეცი რაც ვიცოდი ზემო გურიისა და ოზურგეთის რაიონის შესახებ. მათაც გადმომცეს რაც იცოდნენ. ორთავენი ძალიან შეწუხებულნი იყვნენ იმის გამო, რომ უდროობის მიზეზით, არა თუ № 1 გეგმა არ შესრულდა, არამედ № 2-ეც არ იყო ჯერ განხორციელებული სავსებით, ესე იგი ქ. ოზურგეთი ჯერ კიდევ მხოლოდ იქაურების ანაბარად იყო მიტოვებული. განსაკუთრებით სწუხდა დამკომის რწმუნებული იმის გამო, რომ არ მოხერხდა ოზურგეთში შიგნიდან დარტყმა. მდგომარეობის ყოველ მხრივ გაშუქების შემდეგ. საერთოდ გურიაში პირველი ნაბიჯი დამაკმაყოფილებლად მიაჩნდათ. მავრამ საჭირო იყო მეორე ნაბიჯის გადადგმა, ესე იგი თავიანთ რაიონებში ჩაბმული ძალების გამოყვანა და ერთად ოზურგეთზედ მისვლა. ამ მიზნით კომიტეტის თავმჯდომარემ და დამკომის რწმუნებულმა შექმნეს ეგრეთ წოდებული სამხედრო ცენტრი, შემდეგი შემადგენლობით: ს. მათითაიშვილი, რომელიც ჩოხატაურში იმყოფებოდა, მუხაშავრია, რომელიც ლანჩხუთში იმყოფებოდა, და ერთი პირიც ოზურგეთის რაიონიდან. ეს გადაწყვეტილება იმ წამსვე ეცნობა მათ კატეგორიული მოთხოვნით, რომ დაეტოვებინათ მცირე რაზმები თავიანთ რაიონებში და სასწრაფოდ ჩამოსულიყვნენ ნასაკირალზედ, სადაც მოეწყობოდა ოზურგეთზედ შეტევის ცენტრი.

თვით ოზურგეთის მდგომარეობა ამ დღეს იყო შემდეგი:

აჯანყების ბრძანება ოზურგეთის რაიონის შტაბმა მიიღო 27 აგვისტოს ნაშუადღევის სამ საათზედ. შტაბმა იქაური დევნილების ჯგუფთან ერთად, პ. ჭანუყვაძის უფროსობით, გამოიმუშავა გეგმა თავისი ამოცანის შესასრულებლად, ესე იგი, ბახვის, შემოქმედის, ლიხაურის და სხვა თემების განთავისუფლება და ოზურგეთზედ მისვლა და გამაგრება სა-

ნამ სხვა რაიონები მოუსწრებდნენ. ამ რაიონმა ეს ამოცანა ჩინებულად შეასრულა. 29 აგვისტოს, დილის 5 საათზედ უკვე ზემოხსენებული თემები და ყველა ოზურგეთის ახლო მდებარე სოფლები განთავისუფლებულ იქნენ. დატუსაღებულ იქნა ყველა კომუნისტები, გაექცათ მხოლოდ ერთი ჩეკისტი ლიხაურიდან. (ამ მოძრაობის დროს დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა ახალგაზრდა სევერიანე თოიძემ, რომელიც რამოდენიმე წლის შემდეგ ვაჟკაცურად დაეცა ჩეკისტებთან ბრძოლაში.) დაგროვილი ძალებით ისინი მივიდნენ ოზურგეთზედ და გაშალეს ფრონტი ს. ექადიის მხრივ.

ამ ამბებმა და ცენტრთან და რაიონებთან მოწყვეტამ, ოზურგეთში მყოფი რუს-ქართველი კომუნისტები საშინლად დააბნია, ვერავითარი ინიციატივა მათ ვერ გამოიჩინეს და ქალაქს გარეთ გამოსვლა ვერ გაბედეს, ქობულეთის რაიონთან პირველ დღეს-კავშირის გაბმა არ მოხერხდა და 29-ს კი უკვე გვიანი იყო იმ რაიონში რამეზედ ფიქრი, ვინაიდან ბათუმში არაფერი მოხდა. ეს ამბავი ოზურგეთის რაიონს მოუტანა ბათუმიდგან გამოქცეულმა ორმა პირმა, აგრეთვე ყველა ის ჩავარდნები და უბედურება, რაც მათ იცოდნენ. რასაკვირველია ამ ამბებმა ყველაზედ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინეს, მაგრამ ბრძოლაზედ ხელი არავის აუღია და ყველანი უცდიდნენ სხვა რაიონების მოსვლას ოზურგეთის ასაღებად.

* * *

ლანჩხუთის რაიონის მთელი ხელმძღვანელობა თითქმის არალეგალურად ცხოვრობდა და უკანასკნელად მათთან ჰქონდათ ბინა სამაზრო კომიტეტს და დამკომის კაცს. ცნობის მიღებისთანავე მათ გაანაწილეს თავიანთი უბნები, ყველა თემები, რაიონები და რკინის გზის სადგური. ლანჩხუთის აღება დაევალა ოფიცერ შ—ძეს, თეოფილე მუხაშავრიას თანხლებით. ამავე დროს ეს ოფიცერი დაინიშნა მთელს მაზრაში სამხედრო ხელმძღვანელად და ლანჩხუთის აღებისთანავე უნდა გადმოსულიყო ზემო გურიაში თავისი მოვალეობის ასასრულებლად. უდროობის და ადგილმდებარეობის მიხედვით, ამათაც ცუდს პირობებში მოუხდათ მოქმედება, მაგრამ მაინც თავიანთი ამოცანა შეასრულეს. მთელი ეს მხარე გაწმინდეს, მრავალი კომუნისტი დაატუსაღეს და აიღეს ლანჩხუთი, სუფსა და სხვა დაბა-სადგურები. მხოლოდ ლანჩხუთში, ისე როგორც ჩოხატაურში, კომუნისტების ერთი ნაწილი გამაგრდა ერთ ქვის შენობაში, საიდანაც ისინი განაგრძობდნენ სროლას. ჩვენებმა შიუჩინეს მათ რამდენიმე დარაჯი და დატოვეს, თვითონ კი მთელი ყურადღება მიაქციეს რკინის გზის ხაზს. ამ ხაზზედ მოქმედებდა ორი ჯავ-

შნოსანი და ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო მათი შემოტევა ლანჩხუთზედ. ჩვენებმა სცადეს რკინის გზის გაფუჭება, ზოგს ადგილას ვაგონებიც გადაყარეს, მაგრამ ეს საკმაო არ აღმოჩნდა და ჯავშნოსნები განაგრძობდნენ მოქმედებას: ერთი უტევდა საჯავახოს და მეორე იცავდა ბათუმის ხაზს.

სუფსაში, რკინის გზის ტელეგრაფით ჩვენებმა მოისმინეს ბრძანება ხაშურში მდგომი რუსის ჯარის უფროსისა, რომელიც უბრძანებდა სამტრედიაში მყოფ თავის ნაწილს, დაეწყო მოქმედება აჯანყებული გურიის წინააღმდეგ. ბათუმში და ფოთში სიწყნარე იყო, სამტრედიიდგან მტერი გვემუქრებოდა, მაგრამ ამას არ შეუშინებივართ: ყველას გულში თბილისის აღების იმედი ტრიალებდა. აი, ამ მდგომაეობაში მოუსწრო ლანჩხუთელებს ცნობამ სამხედრო ცენტრის შექმნის შესახებ და ბრძანებამ დაუყოვნებლივ წამოსულიყვნენ ნაგომრისაკენ ოზურგეთზედ წასასვლელად. ასეთი იყო 29 აგვისტოს მთელი გურიის მდგომარეობა.

30 აგვისტოს დილით ლანჩხუთლები წამოვიდნენ ნაგომრისაკენ და მოვიდნენ ნასაკირალზედ ნაშუადღევს. დაგვიანა ჩოხატაურმა, ისინი მოვიდნენ მხოლოდ საღამოს და იმ წამსვე გაიმართა სამხედრო საბჭოს კრება, რომელსაც დაესწრო ახლად შექმნილი სამხედრო ცენტრის სამივე წევრი, სამაზრო კომიტეტი, დამკომის რწმუნებული, სამხედრო ხელმძღვანელობისათვის გამზადებული შ—ძე. რამოდენიმე ადგილობრივად მყოფი ნაწილების ოფიცრები და ბათუმიდან მოსული პოლკოვნიკი X.

ამ დროს დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა ჩვენთვის გარკვეული იყო. ჩვენ არ ვიცოდით რა ხდებოდა აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისის ბედი, ვიცოდით უკვე. რომ ადგილობრივი ძალების გარდა, ჩვენ საჭმე დაგვირჩებოდა გარედან მოსულ რუს-ქართველ ძალებთან და ორ ჯავშნოსანთან.

თვით ოზურგეთის მდგომარეობა ასეთი იყო: 29 აგვისტოს მთელი დღის სიჩუმის შემდეგ, ოზურგეთში მყოფმა ყველა ძალებმა და რუსის ჯარებმა, რომელსაც მოემატა ჯავშნოსანი მატარებელი, მხოლოდ 30 აგვისტოს ნაშუადღევს დაიწყო შეტევა ჩვენებზედ ექადიის ხაზზედ. მთელი დღის ზარბაზნების და ტყვიის მფრქვეველის ცეცხლის შემდეგ, ჩვენებმა, ვაზნებგამოლეულებმა და მარტოდ დარჩენილებმა, დაიხიეს მაკვანეთის ხაზზედ — შემოქმედისაკენ. ლიხაური და ექადია ჩაიგდეს ხელში კომუნისტებმა. ამავე დღეს ბათუმიდგან მოსულმა ჯარმა ჩაიგდო

ხელში. სუფსა. ჩვენებმა გადმოიარეს ნიგოითის ქედი, თან მოყავდათ ყველა ტყვეები.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, თათბირზედ გადაწყდა ოზურგეთზედ შეტევა, მისი აღება და გამომუშავებულ იქმნა საამისო გეგმა. შ—ძე დამტკიცდა ხელმძღვანელად.

სურების გუნდს, სამხედრო საბჭოს წევრის მუხაშავრიას თანხლებით, დაევალა წასვლა სიროულ ჯუმათის მიმართულებით, ამ სოფლების ხელახლა აღება, ნიგოითის მთაზედ გადმოსული კომუნისტების გადარეკა და ამ ხაზის ადგილობრივი ძალებით გამაგრება. ამის შემდეგ შემობრუნება და ოზურგეთზედ შეტევა მოდინახეს მხრიდან, საერთო შეტევისათვის დანიშნულ დროს.

ლანჩხუთის ორ გუნდს და ერთს ნაგომრისას დაევალა მდინარე ნატანებზედ გასვლა, რომ ზურგში მოქცეოდა იმ რაზმს, რომელიც მოსდევდა ჭანუყვაძეს და რომელიც იდგა ს. ცხემლის-ხიდში. ჭანუყვაძეს ეცნობა ეს გეგმა და ებრძანა არავითარ შემთხვევაში არ დაეხია უკან და ემოქმედა ამ გეგმის მიხედვით.

ამ ორი ამოცანის შესრულების შემდეგ ეს ნაწილები შეადგენდნენ ჩვენს მარცენა და მარჯვენა ფრთას და ცენტრი, რომელიც ნასაკირალზე იდგა, შეუტევდა მათთან ერთად ოზურგეთს. ამ გეგმის მიხედვით ოზურგეთი უნდა აგვეღო ღამით 1 სექტემბერს. 31 აგვისტო მოუნდა მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებას და 1 სექტემბერს დილით დაიწყო ჩვენი მოქმედება ამ გეგმის მიხედვით.

სურების გუნდმა შეასრულა თავისი ამოცანა, გაანთავისუფლა სიროული და ჯუმათი, გაამაგრა ნიგოითის ქედი, ხელახლა დაატუსაღა განთავისუფლებული კომუნისტები და თეიმონ მობრუნდა ოზურგეთისაკენ, თავის ბრძანების მეორე ნაწილის შესასრულებლად.

ასე არ მოხდა მარცხნივ, ცხემლის-ხიდთან. იმ დროს როცა შემომრები ნაწილები გავიდნენ მდინარე ნატანებზედ, ჭანუყვაძემ ჩვენთვის უცნობებლად დასტოვა თავისი პოზიციები და შეუდგა ს. ბაღდადის სიმაღლეებს. მისი სიტყვით მან ეს ჩაიდინა იმიტომ, რომ მისი ცნობების თანახმად, ოზურგეთს მოემატა ბათუმიდგან ახლად მოსული ჩონის ნაწილები, რომლებიც სასწრაფოდ გამოექანენ შემოქმედ-ასკანა-ბასილეთის მიმართულებით, ესე იგი გვიელიდნენ მარცხნიდან და ამ პირობებში, ცარიელი თოფებით შეტევაზე გადასვლა მე სისულელედ მიმაჩნდაო. მიუხედავად ამ მიზეზებისა, მან დიდი საყვედური მიიღო შ—ძისაგან და ამან გამოიწვია მათში პირადი უთანხმოება.

როგორც კი ჭანუყვაძემ დაიხია უკან, ოზურგეთიდგან მაშინვე გადაიტანეს გაძლიერებული ზარბაზნის ცეცხლი ბაღდადის სიმაღლეებზედ და ამავე დროს მოწინავე ხაზებისაკენ გაგზავნეს ახალი ნაწილები ამრიგად ჩვენი შემომრები ნაწილები მოექცნენ ორ ცეცხლში და მათი გამოსვლა რაღაც იღბალს უნდა მიეწეროს. ამ რაიონში ჩვენ მოქმედება გვიხდებოდა მეტად ცუდ პირობებში: მთელი ეს რაიონი დაფარული იყო მაღალი სიმინდის ყანებით და თხმელის ხშირი ჭალებით. თითქმის ყველა გლეხის ეზოს მაღალი ქვის ყორე აქვს შემოვლებული და ყოველივე ეს ძალიან აძნელებდა მხედველობას და ჯარის წესიერად მოხმარებას. ვაზნები სულ ცოტა გვქონდა: ჩემს გუნდში მაგალითად 75 კაცზედ იყო სულ 800 ვაზნა და ისიც არასაიმედო. ჩვენი იმედი. ჩვენი მოქმედების მოულოდნელობა იყო. აქამდე დაჭერილ კომუნისტებს სულ ცოტა ვაზნები აღმოაჩნდათ და როცა ასეთი პოზიციური გაშლილი ბრძოლა გაიმართა, ჩვენი მდგომარეობა საშინელი შეიქნა.

ჭანუყვაძის მიერ მიღებული ცნობები ჩვენ თითქმის იმავე დროს შეეამოწმეთ და მართალი აღმოჩნდა. ეს ნაწილები, დიდი სისწრაფით მიიწევდნენ წინ, ჩვენი გზის მოსაჭრელად მარცხენა ფრთიდან, თან დარწმუნებულნი მთელს საქართველოში აჯანყების ჩაქრობაში საშინელ სიმხეცეს იჩენდნენ: პირველივე ტყვეები 9 კაცი გაუსამართლებლად დახვრიტეს. ეხლა უკვე ჩვენც ვიცოდით ჩვენი აჯანყების ბედი და ისიც თუ რა მოგველოდა საბჭოთა ხელისუფლებისაგან. ჩვენ დაგვრჩენოდა ვხოლოდ ჩვენი თავის ძვირად გაყიდვა.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ჩვენი ხელმძღვანელობა დინჯად მოიქცა: 1 სექტემბერს საღამოს, მოხდა ახალი სამხედრო თათბირი და გადაწყდა უკან დახევა. მაგრამ საჭირო იყო ამის ისე. მოწყობა, რომ არეულობა არ მომხდარიყო და რამოდენიმე ჩვენი ნაწილები მტერს არ ჩავარდნოდა ხელში. მთელ ხალხს დიდებულად ეჭირა თავი. ყველა ნაწილები იხევდნენ უკან დანიშნული მიმართულებით და თან მიყავდათ ტყვე კომუნისტები. ოზურგეთელებმა ჭანუყვაძის მეთაურობით და მათთან შეერთებულმა აკეთის ერთმა გუნდმა პ. თოხაძის მეთაურობით დაიხიეს ბრძოლით ხიდისთავისაკენ ასკანა-ბასილეთ-ჭაჭიეთის ხაზით. ოზურგეთის ქვემოთ მყოფ სოფლებში ჩვენს ნაწილებს ეცნობა საერთო მდგომარეობა და თუ როგორ წამოსულიყვნენ ზემო გურიაში ჩვენთან შესაერთებლად.

ოზურგეთისაკენ მყოფ სურების გუნდს გაეგზავნა ასეთივე ცნობა. ეს გუნდი ყველაზედ მოწყვეტილი დარჩა, მაგრამ მიუხედავად ამისა,

ბრძოლით კომუნისტების ორს ცეცხლში გავიდა, მთელი აღმოსავლეთი გურია გადასჭრა და რამოდენიმე დღის შემდეგ შეუერთდა სხვა ნაწილებს ბახმაროს მთებზედ. ჩვენმა ცენტრმა დაიხია ნაგომრისაკენ, სადაც ის მივიდა დილით. ჩვენ არ დაგვრჩენია უკან არც ერთი რაზმელი. არ დაგვეიწყებია არც ერთი დარაჯის მოხსნა და არ დაგვიტოვებია არც ერთი ტყვე.

2 სექტემბერს დილით მდგომარეობა იყო ასეთი:

1. ოზურგეთიდან მოგვსდევდნენ იქაური ნაწილები ხშირი ზარბაზნის ცეცხლით.

2. მარცხენა ფრთას მოსდევდა ბათუმიდან მოსული ჩონის ნაწილები, რომლებიც ცდილობდნენ ჩვენთვის გზის მოჭრას.

3. ლანჩხუთიდგან გადმოიარა თბილისიდან მოსულმა ჯარმა და შეეცადა გაყოლოდა მთის კალთებს, რომ შესულიყო ჩვენზედ ადრე ჩოხატაურში, და ამნაირად გაესკვნათ რკალი ჩვენს უკან. ამ ჯარის მოწინავე ნაწილებმა. სოფლებში შემოსვლისას, პირველსავე ოჯახში დახვრიტეს ორი მოწაფე და მოხუცი მამა, რომელიც მათ გადაეფარა თავზედ. რუსები საშინლად გამხეცებულნი იყვნენ და არ ინდობდნენ არავის, მოსახლეობა გარბოდა მათ მოახლოვებაზედ.

ამ დილით ნაგომარზედ გამოჰყვეს ერთი ნაწილი სუფსის ველმა გასაგზავნად, რომ ლანჩხუთიდან მომავალი ძალა დროებით შეეჩერებინათ, მაგრამ ჩვენ კიდევ ნავში ვიყავით, რომ ლანჩხუთიდან გადმოტანილი ზარბაზნებით დაგვიწყეს შრაპნელების სროლა. ეს ბრძანება მოიხსნა და ჩვენ გავეშურეთ, ნაწილი ჩოხატაურისაკენ და უფრო დიდი ნაწილი შ—ძის მეთაურობით ხიდისთავისაკენ, სადაც იყო დაგროვილი მთელი ჩვენი ტყვეები და ქვემო გურიიდან გამოქცეული ხალხი. საჭირო იყო ყველაფრის პატრონობა: ჯარის კვება, ჭანუყვაძეზედ მიშველება მტრის ნაწილების დროებით შესაჩერებლად, ტყვეების წაყვანა და უიარაღოდ მყოფი ხალხისთვის გზის ჩვენება, ვინაიდან ჩვენს ჯართან ერთად ბევრი მამაკაცი და ბევრი ქალები მოდიოდნენ. ჩვენი მიზანი იყო ყველა ამ ხალხის და ტყვეების გაყვანა ჩვენთან ერთად მთებში, რომ ხალხი არ ჩავარდნოდათ ჩვენს წინააღმდეგ მოქმედ ჯარებს. თუ ამას შევძლებდით, იმედი გვქონდა, რომ ბრძოლების გათავების შემდეგ. უფრო ნელი ხასიათის იქნებოდნენ მთავრობის რეპრესიები.

ხიდისთავში სამაზრო ცენტრს შეედგინა კომისია ტყვეებში პასუხისმგებელი კომუნისტების ასარჩევად. ჩვენი აღრიცხვით მთლად გურიაში ჩვენ გვყავდა დატყვევებული 1800 კაცი. ყველა ესენი 2 სექ-

ტემბერს იმყოფებოდნენ ხიდისთავში და ჩოხატაურში. ამ რიცხვიდგან კომისიამ ამოარჩია 38 კაცი: ცენტრალური მთავრობის წევრი ანდრო დოლიძე, ობოლაძის რეპრესიების დროს გურიის აღმასკომის თავმჯდომარე, ხალხის მსვრეტელი ხუთეულის შემქმნელი და მისი თავმჯდომარე, ამ ხუთეულის რამოდენიმე წევრი, ცნობილი ჩეკისტი რუსი პოლშინი, ჩეკის გამომძიებელნი, მილიციის უფროსები, მათ შორის ფიჩხის-ჯვარის გმირი ჭანიშვილი, თითქმის ყველა ის პირები, ვინც 4 წლის განმავლობაში გურიის ხალხი ხვრიტა, თვითეული მათგანის სინდისზედ რამოდენიმე კაცის სიცოცხლე იყო ცოდვად. ეს ხალხი გამოყვეს ცალკე და გადაწყვიტეს მათი მძევლებად წაყვანა. მე მივიღე ბრძანება მათი ციხიდან გამოყვანის და დანიშნულ ადგილას წაყვანის შესახებ. ამოვარჩიე ჩემს გუნდში საუკეთესო რაზმელები, გამოვიყვანე ტუსაღები ციხიდგან, მივაკარი ორ-ორი ხელებით ერთმანეთზედ და გავუდექით გზას. ამათში ერია ერთი ყოვლად საზიზღარი პიროვნება კომუნისტი ნინიძე, რომელიც დიდი ომის ინვალიდი იყო, ფეხი ჰქონდა მოტეხილი, შემეცოდა და ჩემს ცხენზედ შევსვი. სულ ყველას ფერი დაკარგული ჰქონდათ. ისინი ჰხედავდნენ, რომ ჩვენ დავმარცხდით და ფიქრობდნენ, რომ ჩვენ მათ დავხვრეტდით. ჩემი მხლებელი ჯარისკაცები წინასწარ გავაფრთხილე, რომ ტუსაღებისათვის არავითარი შეურაცხყოფა არ მიეყენებინათ. მართლაც, არც ერთი სიტყვა მათთვის არავის არ უთქვამს; ჩვენ გავუდექით ნაჩვენებ გზას.

ჩემი წამოსვლის შემდეგ ხიდისთავში მოხდა შემდეგი: ჩვენმა ხელმძღვანელებმა მიიღეს ზომები ჯარის, უიარაღო ხალხის და ტუსაღების საევაკუაციოდ ხიდისთავიდგან ჩოხატაურისაკენ. გაიგზავნა დამხმარე ძალა ხიდისთავის ზემოდ ს. ჭაჭიეთის მაღლობებზედ ჩვენ ნაწილებთან შესაერთებლად და აქ მოხდა უკანასკნელი მაგარი შეტაკება ბათუმიდგან მოსულ ჩონის ნაწილებთან და რუსებთან. აქ განსაკუთრებით დაზარალდა ლანჩხუთის გუნდი, რომელსაც მოუკლეს რამოდენიმე კაცი. აქ ბრძოლა კიდევ გათავებული არ იყო, რომ ხიდისთავს მოადგნენ ოზურგეთის მხრიდან მოსული რუსის ნაწილები და დაუშინეს ტყვიის მფრქვეველები ბაზარში დარჩენილებს და აგრეთვე მდინარე გუბაზოულზედ ახლად გამოსულ ჩვენს ნაწილებს, რომლებიც ნელ-ნელა იხევდნენ უკან სოფელ ახალშენ-ჯვარცხმით ჩოხატაურისაკენ. აქაც მოჰკლეს და დაჭრეს რამოდენიმე ათეული კაცი, ჩვენს და რუსების მხრივაც. ხიდისთავში სროლის გაჩაღებით ჭაჭრეთში მებრძოლ ჩვენს ნაწილებს მოეჭრათ ზურგი და მათ იბრუნეს პირი ს. მეწიეთისაკენ, შეუდგნენ მთის კალთებს და უბრუ

ძოლველად იარეს სურებ-ბახმაროს მთებამდის, სადაც შემდეგ დღეებში ისინი შეუერთდნენ ჩვენს გაფანტულ ნაწილებს.

ჩოხატაურისაკენ მიმავალმა ჩვენმა ნაწილებმა გაშალეს ფრონტი ს. ჯვარცხმის მაღლობებზედ. ეს იყო ორ სექტემბერს, დაახლოებით 13 საათზედ. ნაგომრიდან მათითაიშვილის და სხვების მეთაურობით ჩოხატაურისაკენ წამოსული ხალხი შეუერთდა აქ ჩვენებს, სადაც ამ დროს იმყოფებოდა მთელი ჩვენი ხელმძღვანელობა: გურიის კომიტეტი, დამკომის წარმომადგენელი, სამხედრო საბჭო, შ—ძე და იესე კაპაყძაძე, რომელიც 29 აგვისტოდან ლიხაურლებთან იყო და მათთან ერთად იბრძოდა. როგორც გუნდის უფროსი. სწორედ ამ დროს, მე ჩემი ტუსაღებით, მივაღწიე ს. გუთურს, სადაც დაპირების თანახმად უნდა დამხვედროდა საგანგებოდ ამისათვის გამოყოფილი ნაწილი, რომელიც ჩაიბარებდა ტყვეებს და მე კი უნდა დავბრუნებულიყავი ფრონტზედ. ადნიშნულ ალაგს არავინ არ დამხვდა, მოვათავსე ტუსაღები ერთი ვლეხის ეზოში, დავაყენე დარაჯები და გავგზავნე კაცი ჩოხატაურში საქმის გამოსარკვევად და დავუწყე ცდა მის მოსვლას. ადგილობრივი მცხოვრებლები, სახლში დარჩენილი ქალები და მოხუცები მოგროვდნენ ჩვენს გარშემო. მათ უკვე იცოდნენ, რომ ჩვენ დავმარცხდით და ჩვენთვის საშინელი ტანჯვა იყო მათი ნაღვლიანი სახეების ცქერა. არც ერთი საყვედურის სიტყვა მათგან არ გვსმენია, არავის არ უკითხავს თუ სად და რა დღეში იყო ამ სოფლითგან ფრონტზედ წასული ხალხი. მე პირადად უფრო ადვილად ავიტანდი ამ ხლხისაგან საყვედურებს, თუნდაც წინააღმდეგობას, და ეს იმიტომ, რომ ვიცოდი თუ რა დღე მოელოდა ამ საწყალ ხალხს მხოლოდ იმისათვის, რომ მათ თავიანთი ქვეყნის თავისუფლება უნდოდათ... ჩვენ ძალზედ დაღლილები ვიყავით, მათ მოგვიტანეს წყალი, დაგვბანეს ხელ-პირი. ფეხები, გამოგვიცვალეს წყლ-ქალამნები და შეუდგნენ სასწრაფოდ სადილის მზადებას. თან მთხოვეს ებართვა ტუსაღებისთვისაც მიეტანათ საჭმელი. მე გავითვალისწინე მომავალი და დავთანხმდი, კიდეე მეტი, სადილი პირველად ტუსაღებს ვაჭამეთ და შემდეგ ჩვენ ვისადილეთ რიგ-რიგობით. კომუნისტები არ მოელოდნენ ასეთ მოპყრობას და ლაჩრებს თვალებზედ სიხარულის ცრემლი ადგათ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თავისუფალ საქართველოს და ჩვენს ლოცვაში. ილოცებოდნენ როგორც მესენაკე მონაზონები... თუ როგორ გადაუხადეს მათ ამ სოფელს პატივისცემა, ამაზედ ქვემოთ.

ჩემი გაგზავნილი კაცი დაბრუნდა ჩოხატაურიდგან და მას თან მოყვა გურიის კომიტეტის ერთი წევრი ა. ვ. მათ გამაცნეს რა ხდებოდა ჩოხა-

ტაურში და თან გადმომცეს. რომ არავინ არ მოვა ტუსაღების წასაყვანად და არც არავითარი განკარგულება მათ შესახებ არ ვიცითო, ვინაიდგან ყველა პასუხისმგებელი ხალხი იმ დროს ფრონტზედ იყო ს. ჯვარცხმაში. ამავე დროს მივიღე მათითაიშვილის ბრძანება წავსულიყავი მასთან ჯვარცხმაში. იმ წამსვე წავიყვანე ტუსაღები ჩოხატაურში, ჩავაბარე იქ ადგილობრივ ადმინისტრაციას კერძოდ სატუსაღოში მოსათავსებლად და მე გავწიე ჯვარცხმისაკენ. გზაში მხვდებოდა ასობით ტუსაღები. რომლებიც ჩვენებს მოჰყავდათ ხიდისთავიდგან. ყველანი საშინლად შეშინებულნი იყვნენ, თუმცა უკვე იცოდნენ, რომ აჯანყება დამარცხდა. მაგრამ რადგანაც ჩვენ მათ არ ვტოვებდით, ალბათ ფიქრობდნენ, რომ უკანასკნელ წუთებში ჩვენ მათ დავხვრეტდით. სოფ. ჯვარცხმაში მოხდა პატარა შეტაკება რუსის მოწინავე ნაწილებთან და ჩვენ დავიხიეთ ჩოხატაურისაკენ. მოვაწყვეთ სადარაჯოები მის მაღლობებზე მდინარე სუფსის პირას და შევედით დაბაში. ეს იყო ორი სექტემბერი, საღამო.

ამ ხნის განმავლობაში, 29 აგვისტოდგან 2 სექტემბრის საღამომდე, ჩვენები იდგნენ საჯავახოში მთის კალთებზედ და არ უშვებდნენ მტერს. აქ მყოფმა ჩვენმა ნაწილებმა გამოიჩინეს უდიდესი ვაჟკაცობა ამ ხუთი დღის განუწყვეტელ ბრძოლაში, არ მოიხსნენ აქედან და ამით გვიხსნეს ჩვენ რუსის ჯარის შემოვლისაგან. ჩვენი ჩოხატაურში მისვლისთანავე, 2 სექტემბერს საღამოს, მათ გაეგზავნათ ცნობა, რომ ჩვენ ამ ღამეს გავსწევდით სურებისაკენ და მათაც შეეძლოთ მოხსნილიყვნენ და წამოსულიყვნენ საჯამია-სერით სასწრაფოდ, რომ შემოგვერთებოდნენ ჩვენ პირდაპირ ზემო-სურებში. ამ ღამეს მტერი ჯვარცხმას არ გამოსცილებია. ასევე შეჩერდა ოზურგეთიდგან მომავალი ნაწილები ბერეჟოულში და ლანჩხუთიდგან გადმოსული რუსის ნაწილები ჩოხატაურის ქვემო სოფლებში. ვინაიდგან აქამდის მათი ცდა ჩვენთვის რკალის შემორტყმისა უნაყოფოდ ჩატარდა, მათ ალბათ შეაჩერეს შემოტევა იმ იმედით რომ საჯავახოს ხაზს გაარღვევდნენ მათი ნაწილები და შემოგვიევლიდნენ ზურგში. მაგრამ ჩვენ დაეტოვეთ ჩოხატაური იმ ღამესვე, საჯავახოში ჩვენები მოიხსნენ მხოლოდ ჩვენი ბრძანების მიღების შემდეგ და ამრიგად ჩვენ გავუსხლტით მტერს ხელიდან.

ჩოხატაურიდგან სურებისაკენ წასვლის წინ ჩვენს შტაბში დაისვა კითხვა ტყვეების შესახებ, მათი წაყვანა ჩვენ უკვე აღარ შეგვეძლო და არც იყო საჭირო. ამასთანავე ბევრი პირისაგან შემოტანილ იქნა შტაბში პირადი თხოვნები მთავარი კომუნისტების დახვრეტის შესახებ. ეს

საკითხი მეტად მწვავე იყო, მე აქ არ მიმაჩნია საჭიროდ ყველაფრის თქმა, რაც იქ ითქვა, მოკლედ კი გადაწყდა: არავინ არ დაიხვრიტოს. ამის შემდეგ კიდევ მოითხოვეს რამოდენიმე პირებმა უფლება გამოეყვანათ ციხიდგან რამოდენიმე კომუნისტი მაინც, თავისი ჯალათობით ცნობილნი, მაგრამ შტაბმა ამაზედაც უარი უთხრა და რომ თავის ნებით ვინმეს ეს დახვრეტები არ მოეწყოს, მიბრძანეს მე ამომერჩია აჯანყებულებში უბრალო რაზმელები და დამეყენებინა ისინი დარაჯად სატუსალოებზედ. ეს დარაჯები უნდა დარჩენილიყვნენ იქვე რუსის ჯარის შემოსვლამდე, იმ იმედით რომ თავის მხრივ კომუნისტები მათ დაინდობდნენ ამ პატივისცემისათვის. უნდა ვთქვა, რომ ჩვენ ამ დროს არ ვიცოდით, თუ რა ზღვა სისხლი დაეაქციეს ჩვენმა მტრებმა საქართველოს სხვა ნაწილებში. ეს რომ ხალხს სცოდნოდა, ჩვენ მათ ვერაფერით ვერ გავაჩერებდით, თავის დახვრეტის მოლოდინში ყველა შეეცდებოდა უწინ ეს ტყვეები მაინც მოესპო.

3 სექტემბერს შუადღისას ავედით სურებში. მთელი ეს ვიწრო ხევი გაჭედილი იყო მთებისკენ მიმავალი ჯარით და უიარაღო ხალხით, მოწაფეებით და ქალებით. საჭირო იყო ამ მთებისაკენ მიმავალი ხალხის პატრონობა, მეგზურების მიცემა, საგზლის დაბზადება და დარიგება. თუ რომელი კუთხის ხალხი სად გაჩერებულიყო და ეცადათ [illegible] გზას დაადგებოდა გამარჯვებული ხელისუფლება.

ყოველივე ამის შესრულებაში დიდი სამსახური გაგიწიეს [illegible] მცხოვრებლებმა. მათი შვილები, ორი გუნდი ქვემო გურიაში [illegible] ჩენილი და მათი ბედი არავინ იცოდა. მთელ სოფლებში უმეტესობა მხოლოდ ქალები შეადგენდნენ. მათი ქცევა ყველა ქართველი ქალისათვის საამაყო იქნება: გვიელიდნენ ყველას, გვიმზადებდნენ საგზლებს, აძლევდნენ ხალხს ფეხსაცმელს, ტანისამოსს, ამხნევებდნენ ყოველ მხრივ. კაცებმა იკისრეს მეგზურობა და ამრიგად მთელი ჩვენი ხალხი გავიდნენ მთებზედ მთელი გურიის გასწვრივ და იქიდგან უცდიდნენ მდგომარეობის გარკვევას.

თვით ჩვენი ხელმძღვანელობა მოთავსდა ერთ მთაზედ და იქიდგან გაგზავნა შიკრიკები, იმერეთში ამბერკი ადეიშვილთან და მეორე მხრივ ოსმალეთში, საზღვარგარეთთან კავშირის აღსადგენად. სურებშივე შემოგვიერთდა იმერეთიდგან გადმოსული ელასა მგელაძე და გადმოგვცა რაც იცოდა იქაური ამბების შესახებ. მისი მოსვლა ჩვენთვის დიდად სასიხარულო იყო, ყველა მას შემოეხვია და თვითონაც თავისებური ცეცხლით ანთებული სიტყვებით ამხნევებდა ყველას და აგონებდა მათ

მაღალ პატრიოტულ მოვალეობას. როცა სავსებით ტიტველ მთებზედ გავედით, ჩვენს თავზედ გადაფრინდა ავიონი, ისროლა ტყვიის მფრქვეველისაგან და ჩამოყარა ძირს ფურცლები, რომლითაც დამკომი ყველა აჯანყებულებს აცნობდა აჯანყების დამარცხებას და მოუწოდებდა იარაღის ჩაბარებას და მორჩილებას...

ამ ეპიზოდის შემდეგ ჩვენს ჯგუფს შემოგვეფეთა ახალციხიდგან გურიის წინააღმდეგ წამოყვანილი სომეხი კომუნისტების გუნდი ქართველების მეთაურობით. ჩვენ მოვემზადეთ მათდა ღირსეულად შესახვედრად, მაგრამ მათ აგვიარეს გვერდი და წავიდნენ სხვა მიმართულებით. აგრეთვე შეხვდნენ სხვა ჩვენი ნაწილები აჭარიდგან ბახმაროში ჩამოყვანილი კომუნისტების რაზმს.

გამარჯვებული საოკუპაციო ხელისუფლება 3 სექტემბერს შემოვიდა ჩოხატაურში და ოთხს კი ჯარის ნაწილები ამოვიდნენ სურებში. ციხეებიდგან განთავისუფლებული კომუნისტები დაუბრუნდნენ თავიანთ სოფლებს და სხვებთან ერთად შეუდგნენ თავისებურ საქმიანობას. გურია მებრძოლი ხალხისაგან დაცლილი იყო, მაგრამ მაინც გაავსეს დარჩენილებისაგან სატუსაღოები. შეუდგნენ შურისძიებას მათ მიმართ, ვინც აშკარად რაიმე დახმარებას უწევდა აჯანყებულთ, დაატუსაღეს მოზრდილი მოწაფეები და მიყვეს ხელი ათასგვარ ცილის წამებას აჯანყებულების მიმართ. გუშინ ჩვენს ხელში მყოფი და შიშისაგან მტირალი კომუნისტები, ისინი ვინც აჯანყებამდის ორ-ორ მაუზერს ატარებდნენ და აჯანყების დროს კი მოწაფეებმა და ქალებმა განაიარაღეს, ეხლა ლომებად იქცნენ. ჩოხატაურში მოჰკლეს ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ცინცაძე იარაღის ჩაბარების შემდეგ. ს. ხიდისთავში, ბათუმიდგან ამოსულ ჩეკისტებთან ერთად, პოლშინის და ფეხმოტეხილ ნინიძის მეთაურობით, ამოირჩიეს ადგილი მდინარე გუბაზოულის პირად, სადაც უნდა გაემართათ სალხის ხვრეტა. აი. ამ დროს მოუსწრო მათ ფ. მახარაძემ და ორჯონიკიძემ. მახარაძე აჯანყების წინ გურიაში იყო თავის სახლში. აჯანყების დაწყების წინ ადგილობრივმა ორგანიზაციამ დაავალა რამოდენიმე მის ახლო მცხოვრებ ჩვენს რაზმელებს თვალ-ყური ედევნებინათ მისთვის და პირველსავე თოფის გავარდნასთან ერთად დაეტუსაღებინათ. ეს ასეც მოხდა, მაგრამ სხვა საქმეებით გატაცებულმა რაიონის ხელმძღვანელებმა იმ წამშივე არ მიაშურეს მას. როგორც ვფიქრობ, მახარაძემ მოახერხა მისი დარაჯები, მისივე მეზობლები დაერწმუნებინა ჩვენი განზრახვის უნაყოფობაში და ურჩია მათ გაეშვათ ის. ის გაშვებულ იქნა და რამოდენიმე მისი კაცის თანხლებით,

ვინაიდან ოზურგეთის გზები ჩვენებს ეჭირათ, დაადგა მთის გზებს და აჭარის მხრით ჩავიდა ბათუმში. ჩვენებს ის დატუსაღებული ეგონათ და ეს ამბავი მხოლოდ 29 აგვისტოს საღამოს გაიგეს, როცა ყოველივე ზომის მიღება უკვე გვიან იყო.

აჯანყებამ გურიაში გამოააშკარავა, რომ მთელი მაზრა, გარდა კომუნისტებისა, საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ იყო. გარდა ბრძოლაში მოკლული ხალხისა, ჩვენ არ დაგვიხვრეტია არც ერთი კაცი. პირიქით, ხელი შევუშალეთ ყოველგვარ შურისძიებას კერძო ნიადაგზედ, არავითარ ექსცესებს ჩვენის მხრივ არსად ადგილი არა ჰქონია. მთელს მაზრაში კომუნისტების ლაშქარი გამოდგა მეტისმეტად ლაჩარი და ჩვენ 1800 კაცი დავატუსაღეთ, და ეს ის ხალხი, ვინც აჯანყებამდის საბჭოთა მთავრობას თავის თავდადებულ გმირებად მიაჩნდა. კიდევ მეტი ჩვენი გამოსვლის შემდეგ, ადგილობრივმა კომუნისტებმა ჩოხატაურში გაატაცეს საქონელი კოოპერატივიდგან იმ იმედით, რომ ეს აჯანყებულებს დაბრალდებოდა. მაგრამ მთავრობა ხედავდა, რომ ჩვენ არსაიდან ერთი შუშა იოდიც კი საბუთის გაუცემლად არ წაგვიღია. და მართლაც ეს ნაძარცვი კომუნისტებს აღმოუჩინეს და რამოდენიმე მათგანი დატუსაღებულ იქნა.

თავისიანების ქცევით უკმაყოფილო მთავრობამ ბევრი მათგანი მოხსნა თავიანთი ადგილებიდან. აჯანყების დროს, გარდა ქ. ოზურგეთისა, მთელი გურია თავისუფალი რესპუბლიკა იყო, ჩვენი წესწყობილება მოქმედებდა ყველა თავისი ფუნქციებით. ყველა სოფლებში ხდებოდა თავისუფალი მიტინგები. სადაც ხალხთან ერთად მოდიოდა მშვენივრად დაწყობილი მოწაფეები. თავიანთი მასწავლებლებით, წარსულში დახვრეტილთა ოჯახები. კრებებზედ გამოდიოდნენ ყოფილი „ლიკვიდატორები“ და თავიანთ წარსულ ცოდვებს ინანიებდნენ. თვით დატუსაღებულ კომუნისტებში გაჩაღდა ერთმანეთის დასმენა, უმცროსები და უფროსები ერთმანეთს ასწრებდნენ დაბეზღებას, ჩუმი ჯაშუშების ვამოაშკარავებას. ერთი სიტყვით მთავრობამ აშკარად დაინახა და დააფასა თუ ვინ უღგა მას მხარში და ვინ იყო მისი მტერი.

გურიაში შეთქმულთა აჯანყება კი არ მომხდარა, ეს იყო მთელი რევოლუცია და ქ. ოზურგეთის გამოკლებით მთელი გურიის მიწა-წყალზედ საქართველოს რესპუბლიკის დროშა თავისუფლად ფრიალებდა.

ეხლა ყველაფერი გათავდა:

საქართველო დამარცხდა, ჯალათებმა რამდენიმე ათასი კაცი დახვრიტეს, დამკომმა სისხლის ღვრის შეჩერების მიზნით ცნობილი მოწო-

დება გამოუშვა. თვით გურიაში რამოდენიმე ათეული კაცი მოკვდა ბრძოლაში და 9 კაცი იქმნა დახვრეტილი. ამას გარდა საქართველოს სხვა ქალაქებში დაიხვრიტა რამოდენიმე ასეული გურული და ყველა სოფლებში გლოვა გაისმოდა. ადგილობრივად მებრძოლნი კი მთლიანად იარაღით ტყეში იყვნენ გახიზნულნი. დახვრეტის შიშით მთავრობას აღარ ენდობოდნენ. სოფლებში განადგურებული იყო მოსული ჯარების მიერ ყანები და ვენახები, და რაც დარჩა, ეხლა სწორედ ჭირნახულის აღების დროს, უპატრონოდ იყო, ვინაიდგან ხალხი ტყედ იყო.

მთავრობამ გაუწია ანგარიში ყოველივე ამას და შეუდგა აჯანყებულთა შემორიგებას. მოხსნეს სოფლებიდგან ჩეკისტები, ვინც ხალხს დასახვრეტად ამზადებდა, გაანთავისუფლეს ტუსაღები, გამოაცხადეს თითქოს სრული ამნისტია, მათთვის ვინც კი გამოცხადდებოდა და ჩააბარებდა იარაღს. ხალხიც დაადგა ამ გზას და დაუბრუნდა თავიანთ ოჯახებს. დავრჩით არალეგალურად ისევ ჩვენ, ძველი დეევნილები, მაზრის პარტიული ხელმძღვანელობა და ჩვენთან ვლასა მგელაძე და დამკომის წარმომადგენელი.

რამოდენიმე პატარ-პატარა ჯგუფი ასევე ინახავდა თავს გურიის სხვა კუთხეებში. ჩვენს წინააღმდეგ მთავრობამ დატოვა მთის სოფლებში რუსის ჯარის ნაწილები.

მე არა მაქვს მიზნად ავწერო ყველა ის სასიქადულო აქტები, რასაც გურიაში ჰქონდა ადგილი აჯანყების დროს, მოხუცები, ბავშვები, ქალი და კაცი, მდიდარი და ღარიბი, ჯარისკაცი და ოფიცერი, სულ ყველა ისეთ სულიერ სიმაღლეზედ იყვნენ ასულნი, რომ ვერავითარი მეოცნებე ამაზედ მეტს ვერ ისურვებდა.

თვით სამხედრო მოქმედება შეიძლება დაფასდეს შემდეგნაირად:

1). აჯანყებამდის ჩვენი პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ჩვენ ძალებს უფრო მცირედ აცნობდა დამკომს, ვინემ ეს სინამდვილეში იყო. თუ ის ყოყმანობდა აჯანყების საკითხში, ეს იმიტომ, რომ იცნობდა საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობას და არ ჰქონდა გამარჯვების იმედი.

2). თვით გურიისათვის გამზადებული პირველი გეგმა არ შესრულდა უდროობის გამო და ამის პასუხისმგებლობა სავსებით დამკომს ეკუთვნის.

3). ამავე მიზეზით და გურიის ირგვლივ ბათუმ-ფოთ-სამტრედიაში

სიწყნარის გამო და იქიდგან მოსული მტრის შემოტევით დაგვიანდა მეორე გეგმის შესრულებაც.

4). როცა მეორე გეგმის შესასრულებლად ჩვენი ძალები გავაერთიანეთ, ჩვენ უკვე გარკვეული ვიყავით საერთოდ აჯანყების დამარცხებაში. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც წავედით შეტევაზედ, რომელიც ჩაიშალა იმის გამო, რაც ამ ბრძოლების აღწერის დროს დავასახელე.

5). როცა ბრძოლაში საქმე კარგად მიდის, ლაჩრებიც კი გმირებად იქცევიან, და პირიქით, წაგებული ბრძოლის შემდეგ ღირსეულად უკან დახევა, დიდებულად გაწყობილ ჯარებსაც კი უჭირთ. მიუხედავათ ამისა, ჩვენ ეტყვიოთ. მხოლოდ ფეხოსანი კავშირის მქონე, სამი მხრიდან მტრის ზარბაზნების და ტყვიის მფრქვეველების ცეცხლში გახვეული, სამი დღის განმავლობაში ვებრძოლეთ მტერს, მივეცით რამოდენიმე მაგარი შეტაკება, დავიხიეთ მწყობრად, არ დაგვიტოვებია არც ერთი ტყვე, არ დაგვრჩენია არც ერთი კაცი, გავედით სამშვიდობოზედ. დავტოვეთ მტერი პირში ჩალაგამოვლებული და ამის შემდეგ ვუპატრონეთ ხალხს.

ასე დათავდა ჩვენი აჯანყება.

სულ რამოდენიმე დღის შემდეგ, როცა გურიაში ჯერ კიდევ ჯარები იდგა, ჩვენ გავგზავნეთ კაცი ცნობებით თბილისში. მოხსენება, გადასაგზავნად სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკას სახელზედ, შეადგინეს კომიტეტის თავმჯდომარემ და დამკომის წარმომადგენელმა: როგორც პარტიულმა ხალხმა. მათ ყურადღება უფრო ხალხის სულისკვეთებას და წმინდა მშვიდობიანი პარტიული ორგანიზაციების მოქმედებას მიაქციეს. შეიძლება ეს ბუნებრივიც იყო იმ პირობებში: მტერი თავის პრესაში მხოლოდ თავადების და სასულიერო წოდების გამოსელებზე წერდა. მაგრამ აქ, უცხოეთში, ჩვენი ჩამოსვლის შემდეგ, როცა ეროვნულმა მთავრობამ ყველა კუთხის ხალხისაგან, რამოდენიმე პირები გამოიწვია პარიზში მოხსენებისათვის, აქაც ისეთივე შინაარსის მოხსენება გაეკეთებინათ, და ამან გამოიწვია ბატონ ნოე ჟორდანიას მიერ თავის პატარა წიგნაკში ის ნაჩქარევი დაფასება გურიის აჯანყებისა, რომელიც სრულიად უსამართლო და მიუღებელია ყველა იმათთვის, ვინც ამ აჯანყებას იცნობს, ვინც იმ დროს ბათუმში, ფოთში ან სამტრედიაში იყო და თავისი ყურებით ისმენდა სამი დღის განმავლობაში ზარბაზნების განუწყვეტლივ სროლას, ვინც თვითონ ხედავდა თბილისიდგან და ბათუმიდგან გურიაში მომავალ რუსების ეშელონებს.

ჩვენი გაგზავნილი კაცი დაეშვა ქვემო გურიაში, გაიარა ის უნებ-

ლად და დაუკავშირდა თბილისს. პირველი ცნობა, რომელიც თბილისმა მიიღო აჯანყების შემდეგ პროვინციიდგან, იყო ჩვენი ბარათი. ჩვენი გაგზავნილი კაცის ასე კოხტად გასვლა მოწმობდა იმას, რომ სოფლებში ჩვენი ორგანიზაციები კვლავ აღსდგნენ და მაშასადამე ხალხი სულიერად მაგრად იყო.

* * *

მაგრმ თავზარდამცემი იყო ჩვენთვის პასუხი, რომელიც მივიღეთ თბილისიდგან: მხოლოდ მაშინ მივიღეთ მთელი შეკვრა გაზეთებისა დახვრეტილების სიებით და ცეკას ცნობა დახვრეტილთა დაახლოებითი რიცხვით. ამ ამბავმა ბევრი ნაღველი, ბევრი სინანული და საყვედური გამოიწვია უფროსებისადმი, რომ ჩვენც არ დავხვრიტეთ სამშობლოს მოღალატენი. უკვე გვიანი იყო...

პირველ ხანებში გურიას დახვრეტები ასცილდა ადგილობრივად, მაგრამ ის ხალხი, ვინც მაშინ მტერს ებრძოდა, საბჭოთა ხელისუფლებამ სხვა ხერხით გაანადგურა: ათი წელია მას შემდეგ რაც გურიიდგან ასობით იგზავნება ხალხი ციმბირში; 3-6-9 წელიც კი ციმბირში ყოფნა... ვინ იცის, რამდენი წმინდა საფლავი გაითხარა იქ ქართველი კაცისა! ის დარაჯები, რომლებიც ჩოხატაურში კომუნისტებს მცველად დაეუტოვეთ, გადაასახლეს და უმეტესობამ ციმბირში დალია სული. ის ოჯახები, სადაც 38 კომუნისტს სადილი დაუმზადეს, ქალიან კაციანად რამოდენიმე წელი ციმბირში ამყოფეს. ბევრს მოხუც მამას, რამოდენიმე წელი ციმბირში მყოფს სახლში დავაჟკაცებული შვილი ციმბირში აასლეს. ერთი თუ მეორე საშუალებით, იმ თაობას, ვისაც თავისუფლება ახსოვს, სპობენ, სპობენ იმათაც კი, ვისაც ეს პირადად არ ახსოვს, მაგრამ ვინც სამშობლოს დამპყრობლებთან ბრძოლაში ოჯახის სხვა წევრი დაჰკარგა.

ტყუილი იმედია! ჯალათები ქართველ ერს თავის მეობას ვეღარ დაავიწყებენ. ამის საბუთია ყველაფერი ის, რაც დღეს საქართველოში ხდება და რასაც თვით მტრები აღიარებენ. საქართველომ მხოლოდ იარაღი გამოიცვალა და არა სული.

ქართველი ერის ისტორია, ეს მუდმივი, შეუწყვეტელი ბრძოლაა არსებობისათვის, თავისუფლებისათვის. ჩვენს წარსულში ხშირად გვქონია შავი დღეები, როცა ქართველი ერი მოსპობაზედ იყო მისული. და ამ დროს ერთი ნაწილი ქართველებისა. მტერთან შეგუების გზას ადგებოდა, ხან სპარსელობდა, ხან კი ფურქობდა, ხან მონგოლი იყო ხან რუსი და ყოველივე ამას უდიდეს გონიერ ხერხად სთვლიდა, თავი ერის

მხსნელად მოჰქონდათ. ქართველი ერი რომ ამ პოლიტიკას გაჰყოლოდა, დღეს ჩვენ ყველაფერი ვიქნებოდით გარდა ქართველებისა. საბედნიეროდ იყო კიდევ სხვა ქართველობა „გიჟი“, „უანგარიშო“, „წინდაუხედავი“, მუდამ შეთქმული, მუდამ აჯანყებული, მოუსვენარი, მტრის რიცხვისაგან თითქმსი მუდამ ძლეული, მაგრამ მაინც გაუტეხელი... აი, ამ ხალხს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენ კი არ მოვისპეთ, არამედ ჩვენი მტრების მოსპობას და დაგლახებას მოვესწარით.

1921—1924 წლებში საქართველოს ასეთი ხალხი უძღოდა წინ, ასეთმა ხალხმა დაჰკრა უძლიერეს მტერს. ასეთმა ხალხმა მორეცხა საქართველოს გუშინდელი სირცხვილი... და ჩაჰყარა სამუდამო საფუძველი, საკუთარი ძვლებით და სისხლით შედუღებული, სულიერად მკვდრეთით აღმდგარი ეროვნული საქართველოსი.

აი, ამ საზომით უნდა მივუდგეთ ჩვენ 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას და მის მომწყობთ. ვინც ამ შეხედულებას იზიარებს, მან იცის, რომ ჩვენი მომავალი ბრწყინვალეა, რომ საქართველო მიიღებს იმას, რისიც ღირსია ის, რომ „მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი, სიხარულად შეეცვლება ამდენი ხნის გასაჭირი“.

* * *

P. S. მე აქ აღვწერე ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ აჯანყების დროს. შეიძლებოდა თუ არა მეტის გაკეთება, ან თუ ვინ რა შეცდომა ჩაიდინა, ეს მეორე საკითხია და ამაზედ კი — თავისუფალ საქართველოში.

ს. ბ.

1935 წელი. აგვისტო. ქ. სენ-კლუ.

ბ ო ლ ო თ ქ მ ა

ქართული მემუარული ლიტერატურის ფონდს ამ ბოლო ხანეში არაერთი ღირებული ნაწარმოები შეემატა. მათი უმრავლესობა პოლიტიკური შინაარსისაა და საზღვარგარეთელ ქართველ მოღვაწეთა შემოქმედების ნაყოფია. ის გარემოება, რომ ჩვენი მემუარული ბიბლიოთეკა უმთავრესად ემიგრაციული წარმოშობისაა, ყველასათვის გასაგები მიზეზით არის განპირობებული. საქართველოში ტაბუდადებული წარსული ცხოვრების ეგრეთ წოდებული „მენშევიკური“ პერიოდი (1918-1921წ.წ.) და გასაბჭოების შემდგომი ხანა (1921-1924წ.წ.) ემიგრირებულ მამულიშვილთა წრეებში ხშირი მოგონებისა და განხილვა-შეფასების საგანს წარმოადგენდა. საქართველოს „აღდგომა-გამოხსნისათვის“ პოლიტიკური ბრძოლის ეპოქა დასრულებული იყო. ერთადერთ დახმარებას მონობაში მყოფი მამულისათვის იმ ბობოქარი ისტორიული პროცესების უტყუარი, მიუდგომელი ასახვა შეადგენდა „არა მარტო წარსულის სინამდვილის აღდგენისათვის, არამედ და რაც უმთავრესია, მომავალ ბრძოლებისათვის“. ასეთი მუშაობისათვის უცხოეთში „ბევრად უკეთეს პირობებში“ მყოფი ქართველი მოღვაწეები შეძლებისდაგვარად აცოცხლებდნენ სურათებს იმ მოვლენებისა, რომელთა მონაწილე და ხშირ შემთხვევაში შემოქმედნიც თვითონვე იყვნენ.

უკვე გამოიცა მოგონებანი სოლომონ ზალდასტანიშვილისა, გიორგი მაზნიაშვილისა, ნოე ჟორდანიასი, თუ სხვათა. მათი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის ზემოთ აღნიშნული პერიოდის მეცნიერული შეფასების საქმეში განუზომელია. წინამდებარე წიგნის გამოცემაც ამავე საჭიროებითაა ნაკარნახევი.

ავტორი ამ ნაშრომისა — სიმონ ლევანის ძე გოგიბერიძე — ქართულ ემიგრაციაში საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო. აუცილებელია ქართველი საზოგადოებრიობა იცნობდეს ამ მივიწყებულ მოსაქმეს ჩვენი

ეროვნული ცხოვრებისა. მით უფრო, რომ წლეულს მისი დაბადების 90 და გარდაცვალების 20 წლისთავი სრულდება.

სიმონ გოგიბერიძე 1900 წელს დაბადებულა ოზურგეთის მაზრის სოფელ ხიდისთავში „ტახტის აზნაურის“ ლევან გოგიბერიძისა და სოფიო მგალობლიშვილის საკმაოდ შეძლებულ, ტრადიციულ ოჯახი. სადაც მის გარდა ორი ქალიშვილიც იზრდებოდა—ნინო და თამარი. ლევან გოგიბერიძე, დროის შესაფერად საკმაოდ განათლებული (დამთავრებული ჰქონდა სასულიერო სემინარია), პროგრესული შეხედულებების პიროვნება სოფლის სკოლაში მასწავლებლობდა. მაგრამ სრულიად ახალგაზრდა — ოცდაცხრა წლისა გარდაიცვალა 1906 წელს. ოჯახის გაძღოლისა და შვილების აღზრდის მთელი სიმძიმე მგალობლიშვილის სათნო ასულს დააწვა.

სიმონმა მშობლიურ ხიდისთავში მიიღო პირველდაწყებითი ორკლასიანი განათლება. შემდეგ ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა და თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩაირიცხა. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ დისციპლინებში (შემორჩენილია ერთი მისი საკლასო თემა 1916 წლით დათარიღებული), მაგრამ უმთავრეს ყურადღებას მაინც თვითგანვითარებას უთმობდა. როგორც თვითონ აღნიშნავდა მოგვიანებით, განსაკუთრებით გაუტაცნია საქართველოსა და მსოფლიო ისტორიას, გეოგრაფიასა და სამხედრო ხელოვნებას. მისი სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაზე წარუშლელი კვალი „ახალი თაობის კაცებმა“—რევოლუციურად განწყობილმა პედაგოგებმა დატოვეს.

საერთოდ, ეს ხანა — 1900—1917 წლები — ერთი მნიშვნელოვანი პერიოდია ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში. ერის მოწინავე ძალები, ძველი თუ ახალი თაობა ჩაბმული იყო ამ მოძრაობაში და ქვეყნის „აღდგომა-გამოხსნისათვის“ მუშაობდა. მოსწავლე ყმაწვილობის ფხიზელი გონება, სპეტაკი შეურყვნელი სული ქართველობისათვის „ხალხთა საპყრობილესთან“ ბრძოლის ცინცხალი მაგალითებით იკვებებოდა და ამ ბრძოლის შთაბეჭდილებათა ტყვეები, ისინი არათუ თანაუგრძნობდნენ მებრძოლთ, არამედ მტკიცედ და გადაჭრით დგებოდნენ მათს რიგებში.

თბილისის სემინარიაში ყოფნის პერიოდში სიმონ გოგიბერიძის ნაცნობ-მეგობართა უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდა. თვითონ დაახლოებული იყო ახალგაზრდა სოციალისტ-ფედე-

რალისტებთან, მაგრამ არც ამ პარტიაში შესულა, რადგან „არ აკმაყოფილებდა მათი ბუნდოვანი ეროვნული პროგრამა“.

როგორც ცნობილია, თებერვლის რევოლუციის შემდეგ მოვლენები კავკასიაში საქართველოს საზიანოდ განვითარდა. ქვეყანა თურქული ოკუპაციის საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. ქართულ პოლიტიკურ პარტიათა ერთობლივი მოწოდებით იქმნებოდა ქართული სამხედრო ნაწილები. ქართველი ახალგაზრდობა მასობრივად მიეშურებოდა ფრონტის ხაზისაკენ. სიმონ გოგიბერიძე სემინარიელთა უმრავლესობასთან ერთად „თბილისის მსროლელთა ათასეულში“ გაერთიანდა, რომელიც ვაკეში იყო მოთავსებული. აქედან მოკიდებული იგი დამოუკიდებელი საქართველოს ბოლო დღეებამდე ირიცხებოდა მებრძოლ შემადგენლობაში. მოგვიანებით დაამთავრა „ნაცვალთა და მეტყვიამფრქვევთა“ სასწავლებელი და 1820 წლისათვის ოფიცრის სარისხიც მიიღო, მონაწილეობდა თურქეთისა და დენიკინელების წინააღმდეგ ბრძოლებში.

დემოკრატიული საქართველოს დამხობას ის გაგრის ფრონტზე შეხვდა, სადაც „ახალი საქართველოს“ შემოქმედებმა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში მონაწილეობა სამშობლოს ღალატად ჩაუთვალეს და რამდენიმე თვით დაატუსაღეს. ამ დროისათვის იგი უკვე სოციალ-დემოკრატიის რიგებში ითვლებოდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდგომი მოვლენები დღეისათვის გარკვეულწილად ცნობილია ჩვენი საზოგადოებისათვის. ამაზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ბრძოლა, რომელსაც ძმათა მკვლელი ხასიათი ჰქონდა, მძაფრი და ხანგრძლივი გამოდგა. იგი ფიტავდა და ანადგურებდა ხალხის ძალებს, ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა ადამიანის სულიერ-ზნეობრივი დეგრადირებისა და დამონებისათვის. მთელი სისასტიკით გრძელდებოდა ერის დენაციონალიზაციის ცარიზმისეული პოლიტიკა. საქართველო კატასტროფის წინაშე იდგა. საჭირო იყო აღდგენა იმ იდეალისა, რომელიც აგრძნობინებდა ქართველობას ააკუთარ პიროვნულობას, ეროვნულ და პოლიტიკურ სუვერენულობას. საჭირო იყო დამოუკიდებლობის იდეის გამოცოცხლება, რისთვისაც გაჩაღდა კიდეც არალეგალური საქმიანობა მთელს საქართველოში. ამ მუშაობის ორგანიზატორ-სულისჩამდგმელთა შორის გურიაში იყო სიმონ გოგიბერიძეც, ჩოხატაურის სამხედრო ორგანიზაციების შტაბის უფროსი და 1924 წლის გამოსვლების დროს გურულ მოჯანყეთა ერთ-ერთი მეთაური.

აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ იგი სხვებთან ერთად საფ-

რანგეთს შეეხიზნა და ფიზიკური შრომით გაჰქონდა თავი. მალე ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებამ განათლების სრულყოფის საშუალებაც მისცა და ისიც მთელი არსებით დაეწაფა სოციოლოგიისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა შესწავლას.

პარიზის ქართულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში სიმონ გოგიბერიძე არცთუ უმნიშვნელო ფიგურას წარმოადგენდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ რაიმე პარტიული თანამდებობა არასოდეს სჭერია. თავისი ემიგრაციული ცხოვრების მეტ დროს ის თვითგანვითარებას ახმარდა.

საგულისხმოა მისი შეხედულებანი „დიად საბჭოეთში მიმდინარე ექსპერიმენტზე". „თავისუფალ ერთა ძმურ კავშირში" აზვავებულ უნიფიკაციის წამლეკავ პროცესებში ერის ფიზიკურ-ბიოლოგიური და პოლიტიკურ-ინტელექტუალური არსებობის შენარჩუნების მთავარ იარაღად იგი სწავლასა და შრომას თვლიდა. ეს აზრი დღესაც საარსებოდ მნიშვნელოვანია ჩვენთვის.

სიმონ გოგიბერიძის პარიზული ცხოვრება 1938 წლის შემოდგომამდე გაგრძელდა. ცნობილი ამბავია, ფაშისტური ხელისუფლება არსებობის პირველი დღეებიდანვე ცხოველ აგიტაციას ეწეოდა რუსეთის იმპერიიდან ემიგრირებულ ხალხებში. იქმნებოდა ძლიერი, სამხედრო წესზე გაწყობილი „დამკვრელი ჯგუფები" საბჭოთა კავშირთან მომავალ ომში კავშირში შემავალი ერების პროვოცირებისა და მათი ანტისაბჭოური გამოსვლების ორგანიზებისათვის ამ საქმეში ბევრი გზააბნეული და აშკარა ავანტიურისტიც ჩაება. საბჭოთა ქვეყნის მესვეურისათვის კარგად იყო ცნობილი ქართული ემიგრაციის პრინციპული პოზიცია ფაშიზმთან დამოკიდებულების საკითხში. სიმონ გოგიბერიძის ცნობით 30-იანი წლების ბოლოსათვის სუკს ხელთ ჰქონია და პრესაშიც გამოუქვეყნებია ნოე ჟორდანიას ერთი მოწოდება ქართველი ერისადმი, სადაც ასეთი ფრაზაც ყოფილა: „ფაშისტები საქართველოში არ გააჭაჭანოთ". მიუხედავად ამისა საქართველოში მაინც ერცელდებოდა ხმები ყოფილი მთავრობის ჰიტლერელებთან თანამშრომლობის შესახებ. დეზორიენტაციის ეს ბინძური ტალღა, როგორც ითქვა, ქართველთა პროვოცირებას ვარაუდობდა, რაც თავის მხრივ კრემლს მშვენიერ საბაბს მისცემდა ქართველთა ახალი გენოციდისათვის. ხალხმა არ იცოდა სიმართლე საკუთარი კანონიერი, ემიგრირებული მთავრობის შესახებ. ამიტომაც პარიზის ქართულ წრეებში მომწიფდა აზრი საქართველოსათვის მარ თალი

ინფორმაციის მიწოდებისა. ეს უაღრესად სამძიმო საქმე სიმონ გოგიბერიძეს მიენდო.

1939 წელს სიმონი აფრიკისა და არაბული ქვეყნების გავლით ჩადის თეირანში, საიდანაც დათიკო ერქომაიშვილთან ერთად თურქეთის ტერიტორიაზე სასაზღვრო ქართულ სოფელ მაჭახელში ბინავდება. აქ ისინი შთელი ზამთრის განმავლობაში აკვირდებიან შავშეთის ქედზე საბჭოთა საგუშაგოების განლაგებას, სასაზღვრო პატრულირების წესებსა და გრაფიკს, რამაც სათანადო ნაყოფი გამოიღო. 1940 წლის აპრილის ბოლოს ორივენი უხიფათოდ დაეშვნენ თოვლიანი მთის კალთებით, ზუსტად დროის განსაზღვრულ მონაკვეთში გადალახეს საზღვარი და თავი აჭარა-გურიის მთებს შეაფარეს. საფრანგეთიდან მათ ქართულ და ფრანგულ ენებზე გამომავალი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოველთვიური ჟურნალის — „ბრძოლის ხმა“ — რამდენიმე ეგზემპლარი შემოიტანეს, სადაც განმარტებული იყო საქმის ნამდვილი ვითარება და პრეზიდენტის სიტყვიერ დირექტივებთან ერთად მისი ხალხში გავრცელების შემდეგ უკანვე გაბრუნდნენ, აი, რა გვიამბო სიმონ გოგიბერიძის დისწულმა ქალბატონმა ლილი კუკულაძემ: გურიაში სიმონი გაციებულა და რამდენიმე დღით საკუთარი ოჯახისათვის შეუფარებია თავი. ოდნავ მომჯობინებულს დედამ მეგზური უშოვა, მათივე მეზობელი და ბოგვარე, რომელმაც ემიგრანტები კი მშვიდობიანად გადაიყვანა საზღვარზე, მაგრამ შემდეგ ხიდისთავის ბაზარში ნასვამს წაუტრაბახნია ამის შესახებ და ამ უნებლიე სითამამეს საკუთარი თავიც გადაატანა და გოგიბერიძეთა ოჯახის ცაც მოაშავბედა. დაიწყო გაუთავებელი დაკითხვები, დაშინება, წამება. დააპატიმრეს სიმონის დედა სოფიო მგალობლიშვილი და მისი ნათლული მაგნოლია კუტუბიძე, რომელიც გოგიბერიძეთა ოჯახში იზრდებოდა. სოფელ ქვენობნის მცხოვრებთ ახლაც ახსოვთ ჩეკისტებისათვის განაწამები დედის ნათქვამი: — „შვილი მესტუმრა და კარები არ გამეღო ხომ თქვენნაირი შვილის დედა ვიქნებოდიო.“ საქართველოს ჩეკა ზედმიწევნით ასრულებდა პარტიული ბელადისა და „ხალხთა მამის“ მითითებას: გოგიბერიძეებს ქონება ჩამოართვეს, ოდა სახლი კოლმეურნეობის კანტორად აქციეს, ხოლო ეზო-ნარგაობა გადახნეს და გააერანეს.

სოფიო მგალობლიშვილი 1940 წელს გაასამართლა სამხედრო ტრიბუნალმა. „შვილი რომ გაგეცა, სურათს გადაგიღებდნენ და მსოფლიო გაგიცნობდაო“ — დაუმოძღვრია პროცესზე პროკურორს. გულწრფელი კაცი ყოფილა ის პროკურორი. იმ დროს ეს იყო ნიმუში ლენინ-სტალი-

ნური იდეების ერთგულებისა, პროლეტარიატის დიქტატურის, სამშობლოს სიყვარულისა. მშობელს შვილის სიძულვილს უნერგავდნენ, შვილს მშობელზე ალესინებდნენ დანას. სატანური გახელებით ზრდიდნენ „ახალ ადამიანებს“, აყალიბებდნენ საბრალო პავლიკ მოროზოვებს. ცხრაწლიანი პატიმრობის შემდეგ ნატანჯი მოხუცი შორეულ ყარაგანდაში გადაასახლეს, სადაც 1955 წელს განისვენა მისმა დაღლილმა სულმა. (მის შვილობილს მაგნოლია კუტუბიძეს, როგორც არასრულწლოვანს ორი წელი შეუფარდეს).

აქ გვინდა მკითხველს შევახსენოთ ამ რამდენიმე წლის წინ გაზეთ „ვეჩერნი ტბილისში“ დაბეჭდილი ნარკვევი მაიორ გ. კაპანაძის წიგნიდან „ფარი — საიმედო, მახვილი — ბასრი“, სადაც მოთხრობილია „საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის სპეცსამსახურების აგენტის“ სიმონ გოგიბერიძის შეპყრობის ამბავი. (ვეჩერნი ტბილისი, 1987. 19. XII). ფაქტების მსგავსი ფალსიფიკაცია ახალი არ არის საბჭოთა სინამდვილისათვის. საქმის ფაქტიური მდგომარეობა კი ასეთი იყო.

1942 წლიდან გერმანიისა და მის მოკავშირეთა სპეცსამსახურების საქმიანობა საქართველოს მიმართ საგრძნობლად გააქტიურდა. ცდილობდნენ ემიგრანტ ქართველთა გადაბირებას. მეორეს მხრივ ინგლისის პოლიტიკურ წრეებში უკვე იგრძნობოდა შეშფოთება კავკასიაში გერმანელთა მოსალოდნელი შემოჭრის გამო. „კავკასიის პრობლემა“ დიდი პოლიტიკის საგანი გახდა. ბრიტანეთის ხელისუფლება მიისწრაფის გაარკვიოს კავკასიელი ერების, მათ შორის საქართველოს პოზიცია გერმანელთა მიმართ. სიმონ გოგიბერიძე დაუკავშირდა „ინგლისისა და პოლონეთის საელჩოების წარმომადგენლებს“ და მდგომარეობის ანალიზის შემდეგ გადაწყდა მისი გერმანელთა აგენტურულ საქმიანობაში ჩაბმა, რათა ამ გზით საქართველოში შემოსულს ჩაეშალა პროვოკატორთა ზრახვანი. 1942 წლის ივნისის თვეში იგი ხელმეორედ შემოვიდა საქართველოში და აქ 35 დღე დარჩა. უკან გაბრუნებისას ნისლში მოულოდნელად წააწყდა საბჭოთა საგუშაგოს. იგი დააპატიმრეს.

ოცდაშვიდი თვის განმავლობაში წამების სრულყოფილი მეთოდებით ცდილობდნენ პატიმრისაგან გერმანიის აგენტობის აღიარებას. (ეს ჟორდანიას მთავრობის სახელის გატეხასაც ითვალისწინებდა. ჩეკას ჩანაფიქრს, მიუხედავად ამ დაწესებულების ყოვლისშემძლეობისა, განხორციელება არ ეწერა. გამოძიებამ „აღიარა“ სიმონ გოგიბერიძის ანტიპროვოკაციული, ანტიფაშისტური საქმიანობა. „ჰუმანური“ საბჭოთა

მთავრობა იძულებული შეიქნა ოცდახუთწლიანი სასჯელი ეკმარებინა შეპყრობილთათვის. იგი ვლადიმირის ციხეში გაამწესეს.

მოვუსმინოთ ქალბატონ ლილის: „ჩემი ბიძა (დედის ძმა) სიმონ გოგიბერიძე პირველად 1955 წელს გავიცანი. მე — მაშინ თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი, დედაჩემის ბიძაშვილი დარეჯან მგალობლიშვილი და მისი მეუღლე გავემგზავრეთ ვლადიმირში,სადაც სასჯელს იხდიდა ბიძაჩემი. მახსოვს ციხის ადმინისტრაციის განცვიფრება, როცა გაიგეს, რომ საქართველოდან „ვიღაც ბიძის და მამიდაშვილის“ სანახავად ჩავედით. შეგვიყვანეს ციხის ტერიტორიაზე მნახველებისათვის გაკუთვნილ ოთახში, რომელშიც მაგიდა და ორი გრძელი მერხი იყო დამაგრებული. ლოდინში სული მელეოდა. ნეტავ როგორი უნდა ყოფილიყო ის კაცი, რომელიც ასე საყვარელი, მონატრებული და საფიცარი იყო ჩემი ბებიის, დედისა და ,ეიდისათვის. ჩემმა ბავშვობამ ხომ სულ მის მოგონებაში და მონატრებაში გაიარა. „სიმონიკას ვფიცავ“ — ყველაზე დიდი, კეთილშობილი ფიცი იყო ჩვენს ოჯახში. როგორც იქნა მაღალი, კარგად აღნაგი, ლამაზი მამაკაცი შემოვიდა ,და ჩვენს პირისპირ დაჯდა. კარგა ხანს ვათვალიერებდით ერთმანეთს. ბოლოს ისევ მან — „რა კარგები ყოფილხართო“ — ალერსით გვითხრა. მოიკითხა მისი ტანჯული დედა (იგი მაშინ რუხაძის დაჟინებული მოთხოვნით თავისუფალ გადასახლებაში იყო ყაზახეთში) და სულიერად განადგურებული დები. ჩვენ სულ ვტიროდით. უცბად გავიდა შეხვედრისათვის განკუთვნილი დრო!“

სიმონ გოგიბერიძემ „პატიოსნად მოიხადა სასჯელი“. როგორც შემდეგ თვითონ იტყვის: „მე ვარ ერთადერთი, პირველი და უკანასკნელი, რომელმაც ეს სასჯელი მოვიხადე საბჭოთა კავშირში. ახლა ასეთი სასჯელი აღარ არსებობს. ვერავინ წარმოიდგენს თუ რა გადამხდა ...“ 1967 წელს იგი სამშობლოში დაბრუნდა და საცხოვრებლად თბილისში მოეწყო (1956 წლის დათბობასთან დაკავშირებით ისიც გაანთავისუფლეს, მაგრამ თვენახევრის შემდეგ ისევ ვლადიმირის გზას გაუყენეს და გაცდენილი დღეებიც აუნაზღაურეს). „მზრუნველმა“ ხელისუფლებამ როგორღაც ერთოთახიანი ბინაც უბოძა თემქის დასახლებაში. სულიერ შეებას გრძნობდა ნათესავ-მოკეთეთა გარემოცვაში ახალგაზრდობიდან სამშობლოს ხილვას დანატრებული კაცი. გონებრივ შრომაში ჰპოვებდა თავისუფლების სიამეს და თავდაუზოგავადაც შრომობდა, ცდილობდა „მისი მიზეზით“ გაუბედურებული დების ოჯახსაც შეხიდებოდა როგორმე; თარგმნიდა, აკეთებდა კორექტურებს სხვადასხვა ენებზე (მისი

ფრანგული თარგმანი გრ. ჩხიკვაძის „ქართული ხალხური საკრავებისა“ კალისტრატე სალიას „ბედი ქართლისაში“ გამოქვეყნდა), რეპეტიტორობდა კიდეც — ფრანგულ, გურმანულ და თურქულ ენებს ასწავლიდა. განსაკუთრებულ ბედნიერებას მაინც პატარა რუსუდანზე — ქალბატონ ლილის ასულზე მზრუნველობა ანიჭებდა: ჩემი გურია, სიდისთავი და გუბაზოული მენატრებაო—“წერდა ერთ კერძო ბარათში და მათი ხილვის მოლოდინით ტკბებოდა, მაგრამ...

1970 წლის 8 დეკემბერს სიმონ გოგიბერიძე მოულოდნელად გარდაიცვალა. იგი თბილისში კუკიის სასაფლაოზე განისვენებს სათაყვანებელი დედისა და დების გვერდით.

არცთუ დიდი, მაგრამ ძალზედ საინტერესოა სიმონ გოგიბერიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა. ყოველ მის სტრიქონში, ისე როგორც მისი ცხოვრების წესში, მამულიშვილური მადლით შემკული დიდბუნებოვნება და მაღალნიჭიერება მეტყველებს. გარდა აღნიშნული მოგონებების წიგნისა სიმონ გოგიბერიძის კალამს ეკუთვნის ეთნოგრაფიული ხასიათის, სამწუხაროდ დაუმთავრებელი, ნარკვევი მაჭახელის მუსულმან ქართველობაზე, რამდენიმე თაგრმანი და ლექსები, რომლებიც შეიძლება პოეტური სრულქმნილებით არ გამოირჩეოდეს, მაგრამ გულწრფელი განცდისა და ღრმა ეროვნული შეგნების ამოძახილია.

„ბრძოლა სამშობლოსათვის“ სიმონ გოგიბერიძის ემიგრაციული შემოქმედების ნაყოფია. იგი 1938 წელს გამოქვეყნდა პარიზში. წიგნი 1924 წლის გურიის ამბებს შეეხება. დღეს, როცა გარკვეული ცოდნა მოიპოვება 1924 წლის აგვისტოს გამოსვლების შესახებ საქართველოში, გარდა ორიოდ დაინტერესებული სპეციალისტისა, ყველასათვის უცნობია გურიაში განვითარებული მოვლენები. უნდა ითქვას, რომ ეს მოგონებანი ჯერ-ჯერობით ერთადერთია გურიის ამბებზე და მკვლევარ-ისტორიკოსებისათვის მას პირველწყაროს მნიშვნელობაც ენიჭება.

ნაშრომის ღირსებას ისიც აორკეცებს, რომ იგი აღწერილი ამბების თვითმხილველსა და მონაწილეს ეკუთვნის. ავტორი მიუკერძოებლად, საკუთარი თვალსაზრისის მკითხველისათვის თავსმოხვევის, განყენებულ მსჯელობათა თუ დასკვნათა გარეშე წარმოგვიდგენს ფაქტებსა და მოვლენებს. იგი ერთგულია საუკუნეთა მანძილზე ქართველ მემატიანეთა სამუშაო პრინციპისა — „ყამთააღმწერილობა ჭეშმარიტების მეტყველება არს.“ ეს შესაშური პრინციპულობა კი უდავო ღირსებაა ამ ჟანრის ნაწარმოებისა.

უხვ ფაქტობრივ მასალაზე აგებული ეს წიგნი „დროის სულისკვეთებით“ გაჟღენთილ დინამიურ სურათს იძლევა იმდროინდელი გურიის სოციალური თუ პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. ზედმიწევნით სიზუსტითაა გადმოცემული ვასაბეოების შემდგომი ფსიქოლოგიური გარემო, მოსახლეობის დამოკიდებულება ბოლშევიზმისა და საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ამაში იმ ამბების მომსწრე გურულ დღეგრძელებთან საუბარმაც დაგვარწმუნა, მით უფრო, რომ მათ წარმოდგენაც არ გააჩნდათ ამ წიგნზე, თუმცა კი ძალიან კარგად ახსოვთ სიმონ გოგიბერიძეც და 1924 წლის სხვა გმირებიც: სერგო მათითაიშვილი, თეოფილე მუხაშავრია, გიორგი სალუქვაძე და სხვები.

ნაშრომში წარმოდგენილი დღემდე უცნობი ფაქტები გვიმხელენ საბჭოთა და პარტიული მუშაკების ანტიეროვნულ, უზნეო, ამაზრზენი სისასტიკით აღბეჭდილ საქმიანობას და რაც უმთავრესია, ჟამთა სიავით მივიწყებულ მტვერმიყრილ სანეებს გვიცოცხლებენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მამულიშვილებისა.

წიგნიც სწორედ მათ ხსოვნას ეძღვნება.

გურამ კუტალაძე

მხატვარი თ. სამსონაძე
ტექრედაქტორი შ. კობიაშვილი

გადაეცა წარმოებას 5.12.90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.01.91 წ. ფორმატ 60×84 1/16. სააღრ. საგამომც. თაბ. 5,6. ნაბეჭდი თაბ. 6,5. ტირაჟი 10000, შეკვ.№ 23

ფასი 4 მან.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის
მოყვარულთა საზოგადოება
თბილისი, რუსთაველის გამზ. 40/1.

სამეცნიერო ცენტრი „უნივერსიტეტი"
თბილისი, ჭავჭავაძის, 1

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის სტამბა, თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50